ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეშვიდე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისთვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 4 იანვარი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 3 (1158)

დ ღ ი უ რ ი

— რუმინეთის ციხეები გავსებულია რევოლიუციონერებით.

— ამერიკას სურს მოიწვიოს ახალი კონფერენცია განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის და გერმანიის მონაწილეობით.

— გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა რეიხსტაგის წევრი—კომუნისტი კაცი.

— ა/კ. ცაკის კომისია განაგრძობს საბჭოთა სომხეთის შემოვლას.

მასწავლებელთა ყრილობისათვის

სხვადასხვა ყრილობები თუ კონფერენციები ხშირად იმართება ჩვენში. თავისი გამართლება და მნიშვნელობა მათ უეჭველათ აქვთ. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენ ვაკუთვნებთ სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პირველ ყრილობას, რომელიც დღეს იხსნება თბილისში. ამიტომაც ჩვენი გაზეთი აქცევს მას შესაფერ ყურადღებას.

მასწავლებელთა დღევანდელი ყრილობა პირველ ყოვლისა არის პოლიტიკურ მნიშვნელობის ყრილობა.

ფაქტია, რომ საბჭოთა წყობილების დამყარებას ჩვენში მასწავლებლობა, როგორც საერთოდ ინტელიგენცია, მტრულად შეხვდა. იგი გაჟღენთილი აღმოჩნდა წვრილ-ბურჟუაზიული და ნაციონალისტური პსიქოლოგიით. მან ერთბაშად ვერ შეითვისა საბჭოთა გადატრიალების შინაარსი და აზრი, ის განზე გაუდგა, ზოგიერთ შემთხვევაში აშკარა ბრძოლაც გამოუცხადა განთავისუფლებულ მუშებს და გლეხებს და მათ ხელისუფლებას.

მაგრამ დროს თავისი გაქონდა საბჭოთა ხელისუფლება დღითი-დღე მტკიცდებოდა. ანტისაბჭოთა პარტიები, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ინტელიგენცია და მათ შორის მასწავლებლობა, იშლებოდნენ. ქვეყნის სამეურნეო აღორძინება წინ მიიწევდა. ამასთან დაკავშირებით მასწავლებლთა ნივთიერი მდგომარეობაც შედარებით უმჯობესდებოდა.

ყველა ამან გამოიწვია მნიშვნელოვანი გარდატეხა მასწავლებლობაში, იგი თავისი მდგომარეობით ახლოს დგას მშრომელ ხალხთან. ბოლოს და ბოლოს მისთვის არ შეიძლებოდა უცხო დარჩენილიყო მუშების და გლეხების აღმშენებლობითი მუშაობა და ის მიზნები, რომლებსაც ისინი, ისახავენ

მასწავლებლობამ ხელი აიღო ბრძოლაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან და პირი იბრუნა მისკენ. იგი თანდათან ებმება საბჭოთა აღმშენებლობაში და იჩენს სურვილს მუშურ-გლეხურ, მთავრობასთან თანამშრომლობისას.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელთა შორის არ ერიონ ელემენტები, რომელნიც ძველებურად არ იყურებოდნენ შავი ზღვისაკენ. მენშევიკური ავანტიურის დროს ეს გამოაშკარავდა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ ავანტიურის განადგურების შემდეგ მოხდა ღრმა გარდატეხა მრავალ იმ პირებსა თუ ჯგუფებში, რომელიც ხანამდე ძველი რეჟიმის აღდგენის ოცნებას ატარებდენ გულში.

კერძოდ მასწავლებელთა სამაზრო კონფერენციებზე გამოირკვა, რომ მასწავლებლების პოლიტიკური გათვითცნობიერება სწრაფი ტემპით მიდის წინ, რომ ისინი მოწადინებულნი არიან იარონ ხელი-ხელ ჩაკიდებული საბჭოთა ხელისუფლებასა და მშრომელ ხალხთან ერთად.

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პირველმა ყრილობამ უნდა სთქვას ამ მხრივ გარკვეული და საბოლოო სიტყვა. ეს არის ყრილობა მასწავლებლობის დაახლოვებისა ჩვენს პარტიასა და ხელისუფლებასთან. სამაზრო კონფერენციათა შედეგების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყრილობა მოგვცემს ამ კავშირის, ერთობის დემონსტრაციას.

განუსაზღვრელია საბჭოთა მასწავლებლის როლი ჩვენი სინამდვილის პირობებში. ჩვენ უმთავრესად პროვინცია, სოფელი გვაქვს მხედველობაში. მასწავლებელი მარტო სკოლის კედლებში არ უნდა ჩაიკეტოს, თუმც, თავის თავად ცხადია, მისი სასკოლო მოღვაწეობა მეტად რთულია და საპასუხისმგებლო. მასწავლებელი არის სოფლის უმთავრესი და ხშირად ერთად ერთი კულტურული ძალა. სოფლის საზოგადოებრივობაში მან უნდა მიიღოს ფართე მონაწილეობა. გლეხობის პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერება, ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლა, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, ქოხსამკითხველოების, კლუბების მოწყობა, გლეხთა კომიტეტები, საბჭოები, კოოპერატივები და სხ.—აი თვალუწვდენელი და ნაყოფიერი ასპარეზი მასწავლებლის მუშაობისათვის.

რა თქმა უნდა, მასწავლებელმა რომ პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა, საჭიროა ის ჩაყენებულ იქნეს არსებობის და საქმიანობის რიგიან პირობებში.

მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა დღეს წარსულთან შედარებით გაცილებით უკეთესია, მაგრამ, ცხადია, სასურველ მდგომარეობასთან მაინც შორსა ვართ. ამ მხრივ არამარტო ცენტრმა უნდა მიიღოს შეძლებისდაგვარად სათანადო ზომები, არამედ უფრო კი ადგილობრივმა ორგანოებმა. მათი მუშაობის შეფასების საზომად ისიც უნდა იყოს, თუ როგორია მასწავლებლის ნივთიერი მდგომარეობა.

საჭიროა სკოლის მოწყობა და მისი უზრუნველყოფა სასწავლო ნივთებით. დღეს ბევრგან მეცადინეობა სოფლად უვარგის შენობებში წარმოებს. ზოგან აწვიმს, მინები ჩამტვრეულია, დგამიც საკმარისი არა აქვთ. წიგნები არ მოეპოვებათ საკმარისი რაოდენობით არც ბავშვებს, არც მასწავლებლებს. საჭიროა ყველა ამის გამოსასწორებლად სათანადო ზომების მიღება. ეს უეჭველად უფრო შესაძლებელია. ადგილობრივი თვითმოქმედებით, ადგილობრივი ძალების და ორგანიზაციების ამოძრავებით.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და საბჭოთა ორგანოებმა ზომები უნდა მიიღონ, რათა მასწავლებელი აქტიურად ჩაებას სოფლის აღმშენებლობაში, რათა სავსებით დაცულ იქნას მისი უფლება და ღირსება, რათა მას გარშემო შეიქმნას ამხანაგური ატმოსფერო.

ახალი სკოლა, ახალი ცხოვრება მოითხოვს მასწავლებლისაგან სათანადო მომზადებას, როგორც სპეციალურ-პედაგოგიურ დარგში, ისე პოლიტიკურს და საერთოს.

ამ გარემოებას ექცევა ყურადღება. პერიოდულად ეწყობა მასწავლებელთა გადამზადების კურსები, კონფერენციები და სხ. მუშაობა ამ მიმართულებით შემდეგშიც უნდა გაგრძელდეს.

მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ მასწავლებლობამ საქმებით შეიგნოს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები და ამის მიხედვით თავისი მოვალეობაც მშრომელთა წინაშე.

ამ მხრივ მასწავლებელთა ყრილობა იტყვის გარკვეულ სიტყვას.

ჩვენი მხურვალე სალამი სოფლის ჩუმ მუშაკებს, სახალხო მასწავლებლებს.

ჩვენი პარტია და მასწავლებლობა

ამჟამად ჩვენი პარტიის მთელი ყურადღება სოფლისაკენ არის მიპყრობილი. პარტია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, რომ სოფელი ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად წინ წასწიოს, ფეხზე წამოაყენოს. ცხადია, განათლების სისტემამ საეროოდ, სოფლის სკოლამ და სოფლის მასწავლებლობამ ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ; ისინი უნდა დაეხმარონ საბჭოთა ხელისუფლებას ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებაში. მათ კიდეც შეუძლიათ ამ დახმარების გაწევა. სოფლის სკოლა არის სოფლის ერთი კულტურული ცენტრთაგანი, სოფლის მასწავლებლობა კი ის არხია, რომლითაც კულტურის ნაკადი შეიჭრება ქალაქიდან სოფელში.

ასე უცქერის ამ საკითხს პარტია. ასე უცქეროდა მასწავლებლს, განსაკუთრებით კი სახალხოს, ე. ი. სოფლის მასწავლებელს ამხ. ლენინი. ჯერ კიდევ 1900 წელს „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტში“ ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ სახალხო მასწავლებლობა არის სოფლის ინტელიგენციის ისეთი ძალა, რომელიც თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით ადვილათ დამორჩილება რევოლიუციონურ, სოციალისტურ გავლენას. ამ იდეას ვ. ი. არა ერთხელ უბრუნდება, ის ეხებოდა მასწავლებლობას სხვადასხვა ეპოქაში; იმ წლებშიც კი, როდესაც მშრომელებს საშინლად უჭირდათ, როდესაც მასწავლებლობა ან საბოტაჟს ეწეოდა, ან სდუმდა, გულგრილად ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს,—ვლად. ილ. მაინც სულ იმას ამბობდა, რომ მასწავლებლობასა და მშრომელებს ერთ და იგივე გზა აქვთ, რომ აუცილებელია შრომისა და მეცნიერების კავშირი. ერთ-ერთ თავის უკანასკნელ წერილში, ცნობილ „ფურცელი დღიურიდან“-ში ის კვლავ მკაფიოდ იმეორებს თავის აზრს მასწავლებლობის შესახებ, ამბობს, რომ ეს აზრი საბჭოთა რეჟიმის დროსაც ძალაში რჩება, ამბობს, რომ სახალხო მასწავლებელი აუცილებლათ შეიქნება „საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდნობ ძალათ“, რომ ის წინ წასწევს მუშაობას, აამუშავებს აზრს, შეებრძოლება სხვადასხვაგვარ ცრუმორწმუნეობას.

კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხელისუფლების მთელ მუშაობას, დიდ ყურადღებას აქცევს მასწავლებლობას საზოგადოთ და განსაკუთრებით კი სოფლის მასწავლებლობას; მასწავლებლობა მშრომელთათვის სასარგებლო საზოგადოებრივ ჯგუფად მიაჩნია და სცდილობს ჩააბას ის საბჭოთა სახელმწიფოს შემოქმედებით მუშაობაში და ამ სახელმწიფოს ინტერესები მასწავლებლობისათვისაც საჭირო და აუცილებელი გახადოს. ჯერ კიდევ პარტიის მე-13 ყრილობამდის გვქონდა ჩვენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი იმის შესახებ, რომ აუცილებლად საჭიროა სოფლის მასწავლებლობის ჩაბმა სოფლის ყოველგვარ საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაში. ეს უეჭველია, იმის დამამტკიცებელია, რომ მუშებისა და გლეხების მხრივ მასწავლებლობა თანდათანობით მეტ ნდობას და პატივისცემას იმსახურებს. ხოლო პარტიის მე-13 ყრილობის გადაწყვეტილება, რომ სოფლის მასწავლებლობა პარტიაში მიიღო და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში ისინი მუშებსა და გლეხებთან ერთად გაეხადა პასუხისმგებელი,—თვალსაჩინოდ ხდის, რომ მასწავლებლობამ, ყოველ შემთხვევაში მისმა ნაწილმა მაინც, საბოლოოდ დაიმსახურა მუშათა კლასის ნდობა და სიყვარული; რომ მას, ე. ი. მასწავლებლობას, თვისი ძალ-ღონის მიხედვით შეუძლია გაავრცელოს სოფელში პროლეტარული კულტურა.

ჩვენში, საქართველოში, ქალაქის მასწავლებლობა ხელი ნაბიჯით გადადის ოქტომბრის რევოლიუციის პოზიციებზე. ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოში ძალიან რთულ პირობებში მოხდა მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარება, აიხსნება აგრეთვე იმ ფსიქოლოგიური მემკვიდრეობით, რომელიც ჰქონდა ჩვენს ინტელიგენციას ეროვნულ საკითხში. მაგრამ ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტელიგენციის თითქმის ყველა ფენები თანამშრომლობენ საბჭოთა ხელისუფლებასთან; რაც შეეხება სოფლის მასწავლებლობას, უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ის მზად არის აწარმოოს სოფლად ცხოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომ ის მზად არის განაგრძოს ბრძოლა პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის.

ჩვენი პარტია იქითკენ მისწრაფის, რომ შექმნას ხელსაყრელი პირობები, რათა მასწავლებლობამ წარმატებით იმუშაოს როგორც მოზარდი თაობის კომუნისტური განათლების დარგში, აგრეთვე სოფლის მოზრდილი მოსახლეობის უვიცობასა და სიბნელესთან ბრძოლის დარგშიც. ამ მხრივ ბევრი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი და დასასრულებელი. სოფლის მასწავლებლობის მატერიალური მდგომარეობა, უეჭველია, გაუმჯობესდა; ჩვენი მეცადინეობის სისტემაში შევიდა სოფლის მასწავლებლობის გადასამზადებელი მუშაობაც, ე. ი. მისი კვალიფიკაციის გაუმჯობესება; ეს მუშაობა, ცხადია, უნდა ვაწარმოოთ კიდევ მთელი წლების განმავლობაში.

ახლა ვაწარმოებთ მუშაობას იმ მიზნით, რომ მასწავლებელს მივცეთ ახალი პროგრამები, სახელმძღვანელოები, პედაგოგიური წიგნები და ჟურნალები, რაც ფრიად სერიოზულ დახმარებას გაუწევს მას მის ახალ და დიდ მუშაობაში. თვითეულ სკოლას ეგზავნება უფასოდ გაზეთი. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ არის საკმარისი. სოფლის კომუჯრედების ამოცანაა: რათა მასწავლებლობას მათ მიაქციონ ყურადღება, დიდის ნდობით აღჭურვონ მასწავლებელი გაამხნევონ ის, მტკიცე რწმენით შეამაღლონ, დაუკავშირდენ მას, დაუკავშირონ ის მუშებისა და გლეხების „ახალგაზრდათა გვარდიას“, ახალგაზრდათა კომკავშირს, ქალთა განყოფილებათა მუშაობას და სხვა. მასწავლებელმა და კომუჯრედმა ერთად უნდა იმუშაონ ყველგან: კოოპერატივებში, ახალგაზრდათა კომკავშირში, გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტში, ბიბლიოთეკაში, ქოხ-სამკითხველოში და პიონერთა ორგანიზაციაში. შემთხვევითი როდია ის მოვლენა, რომ ახლა ერთ კავშირში არიან განათლების მუშაკნი და პარტიული მუშაკნი. კავშირში ხდება მათი გაერთიანება, კავშირი არის რგოლი, რომელიც პარტიასა და მასწავლებლობას აერთიანებს.

პარტიული მუშაკები კავშირში დახმარებას გაუწევენ მასწავლებლებს, რომ მათ თავიდან მოიშორონ ძველი სულიერი განწყობილებანი და აზრები. პარტიამ კარგად იცის, თუ როგორია მისი მოვალეობა მასწავლებლობის მიმართ. პარტია ამ მოვალეობას შეასრულებს. მასწავლებლობამ კარგად იცის თავისი ძირითადი ამოცანები —დააკავშიროს სკოლა და ჩვენი რევოლიუციონური თანამედროვეობა და ეს უკანასკნელი დაუკავშიროს ჩვენს რევოლიუციონურ სკოლასა და რევოლიუციონურ განათლებას—მოახდინოს „რევოლიუცია განათლებაში და განათლება რევოლიუციაში“. პარტიამ მოუწოდა მასწავლებლობას ბრძოლა ეწარმოებინა საბჭოთა კულტურის გამტკიცება-გამარჯვებისათვის და მასწავლებლობა გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მასწავლებლობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ მშრომელები გაანთავისუფლოს უვიცობის და სიბნელის ბრჭყალებიდან და საქართველო აყვავებულ, განათლებულ ქვეყნად გადააქციოს.

მარიამ ორახელაშვილი.

გერმანეთის საკითხი ევროპის ქაოსში

უკანასკნელი დეპეშების ცნობით თვით შტრეზემანიც აღიარებს გერმანიის პოლიტიკის გაკოტრებას დოუესის გეგმის საკითხში. ინგლისს არ სურს დასცალოს კელნის ზონა. ასე როგორც საფრანგეთს არ ეჩქარება რურის ოლქის დაცლა. დღეს ინგლისის პრესა თავხედური, მედიდური და დამცინავია გერმანეთის მიმართ. გუშინ კი, ლონდონის კონფერენციამდე, ის „მეგობრობდა“ გერმანეთს. დღეს ინგლისი ფეხს არ იცვლის კელნის ზონიდან, გუშინ კი ის აღშფოთებული იყო პუანკარეს პოლიტიკით, რურის ოკუპაციის გამო და მოითხოვდა ამ უკანასკნელის დაცლას.

რა მოხდა? რა შეიცვალა?

საქმე იმაშია, რომ გუშინ ინგლისი უპირისპირდებოდა საფრანგეთს გერმანეთის საკითხში. ამდენათვე, იგი უნდა ალაპარაკებულიყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ლონდონის კონფერენციაზე დოუესის გეგმამ გერმანეთი აქცია ინგლის-ამერიკის ფინანსისტების სათარეშო ასპარეზათ. საფრანგეთი დარჩა შეზღუდვილი გერმანეთის საკითხში. ამიტომ, ეხლა ინგლისის საქციელი გერმანეთის მიმართ აღარ არის ზრდილობიანი და „ჯენტლმენური“ იგი უკვე ბატონით გრძნობს თავს ნაწილობრივ მაინც და აღარ საჭიროებს ნიღაბის ტარებას. ამასთან ერთად, ის უეჭველათ ერთგვარ დამოკიდებულებაშია საფრანგეთთან, რომ თავისუფალი გზა მისცეს თავის იმპერიალისტურ ზრახვებს საფრანგეთის მიმართ, სამაგიეროს დათმობის ნიადაგზე. შემთხვევითი არ იყო ჩემბერლენის შეხვედრა ერრიოსთან. ის უეჭველათ დაკავშირებული იყო კელნის ზონის ევაკუაციის საკითხთან, რომლის დრო, ვერსალის ზავის ხელშეკრულების თანახმათ, ახლოვდებოდა. უეჭველათ გათვალისწინებული იქნებოდა ამერიკასთან დამოკიდებულების საკითხიც.

კელნის ზონის საკითხის ირგვლივ გამართული პოლიტიკური ვარჯიშობა ნათელს ხდის არა მარტო კონსერვატორების იმპერიალისტობას, არამედ ერრიოს კაბინეტის, „მემარცხენე ბლოკის“ კაპიტულიაციასაც ნაციონალური ბლოკის წინაშე. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერრიოს ჯეინი პუანკარეს აზრთა გამტარებელ ორგანოთ იქცა. დღეს უკვე ნათელია, რომ ერრიო, რომელმაც კარგი გაკვეთილი მიიღო მაკდონალდის ხედით, ცდილობს პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას ნაციონალური ბლოკის ერთგული სამსახურით. ამიტომ ის განაგრძობს გერმანეთის მიმართ განმანადგურებელ პოლიტიკას, რომელიც მოწარჯვებული ჰქონდა ნაციონალური ბლოკის კაბინეტს. კელნის ზონის საკითხში იმარხება ამერიკის ინტერესებიც, რომელიც სდგას დოუესის გეგმის ნიადაგზე.

ვერსალის ზავიდან, ვიდრე დღემდე გერმანეთი, უკეთ მისი ბურჟუაზია, იჩენს საარაკო დათმობის უნარს. ის განუკითხველათ აწერს ხელს ყოველ ხელშეკრულებას, რომელსაც აწვდიან მას მოკავშირენი. არ უფიქრებია იმ გარემოებასაც კი, თუ რამდენათ შესძლებს გერმანეთის მშრომელი ხალხი აუტანელი ტვირთის ატანას. დოუესის გეგმის ირგვლივ დღეს უკვე თავი იჩინა უკმაყოფილებამ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანეთის მთავრობა, ან უკეთ მთავრობა მთავრობის მაძიებელი, ვერ შესძლებს რაიმე რეალური წინააღმდეგობის გაწევას მოკავშირეთა მიმართ.

დიდხნობით გასტანს ასეთი მდგომარეობა? გერმანეთი შეურიგდება თავის განაწილებას, გაძარცვასა და განადგურებას? არ მომწიფდება სამაგიეროს გადახდის გრძნობა?

თვით ლოიდ-ჯორჯიც, რომლის სიტყვები ეპიგრაფათ წარუმძღვანეთ ჩვენს წერილებს, ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ დიდხნობით გერმანეთის დანაწილებულ მდგომარეობაში ჩაყენება არავითარ ძალას არ შეუძლია. მართალია, გერმანეთის ბურჟუაზია უძლური გამოდგა ამ საქმისათვის. მისი უძლურობა შედეგია იმ გარემოების, რომ ის ორ ცეცხლს შუა იმყოფება. მას ეშინია მარცხნიდან კომუნისტების, რევოლიუციის, მარჯვნიდან მოკავშირეების წინააღმდეგობის და ნაციონალისტების და ამიტომ მიდის მოკავშირეების მიმართ კაპიტულიაციაზე, რომ თავი იხსნას რევოლიუციის საფრთხიდან.

მიუხედავათ მუშათა კლასის დამარცხებისა ნოემბერში (1923), კომუნისტების გავლენა მაინც არ მიდის დაცემის ხაზით, რაც ჩვენ დაგვანახა რეიხსტაგის არჩევნებმა. გერმანეთის საკითხის გადაჭრისათვის მეორე ხარისხოვანი გარემოება როდია კომუნისტების ზრდა. ჩვენთვის კერძოთ გერმანეთის საკითხი მხოლოდ ამ სიბრტყეზე ისმის. თუ ერთი მხრივ ინგლის-ამერიკის კაპიტალი მიდის გერმანეთში ამ უკანასკნელის დამონებისათვის, ხოლო მეორე მხრივ საფრანგეთი „მემარცხენე ბლოკით“ კვლავ განაგრძობს ნაციონალური ბლოკის განმანადგურებელ პოლიტიკას, რომ ევროპის კონტინენტზე თვით მოიპოვოს პირველობა, მესამე მხრივ ჩვენ მივდივართ გერმანეთის საკითხთან გერმანეთის კომპარტიის სახით, როგორც მებრძოლნი ყოველი სახის დამცირებისა და დამონების და ვანადგურების წინააღმდეგ. გერმანეთის საკითხის გადაჭრა ჩვენ მიგვაჩნია გერმანეთის კომპარტიის გამარჯვების შედეგათ.

რამდენადაც ლონდონის კონფერენციამ, დოუესის გეგმამ ვერ გადასწყვიტა გერმანეთის საკითხი, რამდენადაც გერმანეთი ვერ გამოდის ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის კრიზისებიდან, იმდენათ ამ საკითხის რევოლიუციონური, „უკანონო გზით“, გადაწყვეტის შესაძლოება მოხსნილათ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ცხადია გერმანეთის საკითხი რთულია, რეაქციასაც და რევოლიუციასაც დიდი სიძნელენი ელობება ამ საკითხის დაძლევისათვის. ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ რეაქციის უკანასკნელი ცდებიც ვერ სწყვეტს გერმანეთის საკითხს. ამ საკითხის გადაუწყვეტლობა კი შეუძლებელია. ის არყევს მთელი ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგს. თუ რევოლიუციამ შესძლო ამ საკითხის გადაჭრა, ეს იქნება ევროპის კაპიტალიზმის ნახევრად დამარცხება. ვერ ვიტყვით რომ მიმდინარე მომენტში შესძლებს რევოლიუცია ამ საკითხის გადაჭრას, მაგრამ მას დააჩქარებს, დააყენებს რეაქციის თავხედობა, რეაქციის მიერ შექმნილი გამოუვალი კრიზისები.

ხ. ამალობელი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობებით)

ლენინგრადი მონაწილეობას ღებულობს პარიზის სამხატვრო გამოფენაზე

ესტონეთის მენშევიკებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ მთავრობის რეაქციონურ პოლიტიკას.
პარიზში მყოფ ჩინელებმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ამხ. კრასინს.
გერმანიის კომპარტია დღეს მოაწყობს დიდ დემონსტრაციის ამნისტიის სასარგებლოთ.
გერმანიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი; რეიხსტაგი ხვალ გაიხსნება.

მენშევიკებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს

რეველი 2 იანვარი. მეორე ინტერნაციონალის პრეზიდიუმმა ესტონეთის სოციალ-დემოკრატებს მიმართა წინადადებით წარუდგინონ მას სწორი ცნობები პირველ დეკემბერს მომხდარ ამბების და მთავრობის ტერორის შესახებ. ესტონეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ცეკამ მეორე ინტერნაციონალს წარუდგინა მოხსენება, რომელიც შეიცავს ესტონეთის პროფკავშირების „ანტი-სახელმწიფოებრივი“ მოღვაწეობით გამოწვეულ სხვადასხვა პირების დაპატიმრების აღწერას.

მოხსენებაში ნათქვამია: „წინეთ ჩვენ მთავრობას ბრალს ვსდებდით 149 კომუნისტის დაპატიმრების მიზანშეუწონლობაში, მაგრამ პირველი დეკემბრის ამბებმა ჩვენ თვალი აგვიხილა. ეხლა ჩვენ ყველაფერში ვამართლებთ მთავრობას და იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ მთავრობის ყველა ღონისძიებები მიზანშეწონილი იყო. ამავე მოსაზრებით ჩვენ მივეცით წინადადება იმის შესახებ, რომ მთელი ძალაუფლება გადაცემოდა სამხედრო პირებს, ჩვენ შევედით მთავრობაში იმ მიზნით, რომ დავეხმაროთ მას კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. მთელი საშიშროება იმაშია, რომ კომუნისტების უკან სდგას „დიდი სახელმწიფო“.

მასიური ტერორი გრძელდება.

რეველი. 2 იანვ. რეველში, უმთავრესათ მუშათა უბნებში, გრძელდება მუშების დაპატიმრება. 30 დეკემბერს დილით, მუშაობის დაწყების წინ, ესტონეთის პოლიციამ ალყა შემოარტყა რეველის ნავთსადგურს და „საქმის გამორკვევამდი“ დააპატიმრა 100 მუშა, რომლებიც სამუშაოზე მიდიოდენ. დაბეჭდეს მუშების ბინა ნავთსადგურში. მუშაკების უყოლობის გამო, დატვირთვა და გადმოტვირთვა შეჩერებულია.

კონფერენცია განიარაღების შესახებ

რუსეთი და გერმანია უნდა მოიწვიონ

ნაუენი, 3 იანვარი ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს დაჟინებით მოსთხოვოს პრეზიდენტ კულიჯს ახლო მომავალში მოიწვიოს ეკონომიური კონფერენცია ყველა მსხვილი სახელმწიფოთა, მათ შორის გერმანიის და რუსეთის მონაწილეობით. ამ კონფერენციაზე, [illegible] აზრით, ეკონომიურ საკითხებთან ერთად უნდა გაირჩეს განიარაღების საკითხიც. კონფერენციის მთავარი ამოცანა უნდა შეადგენდეს კონტრიბუციის იმ ჯამის გამორკვევა სისწორით, რომელიც გერმანიამ უნდა გადაუხადოს მოკავშირეებს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია ვერასოდეს ვერ შესძლებს თავისი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროვოკატორების „მუშაობა“

პარიზი. 2 იანვ. რამოდენიმე პირმა, რომლებიც თავის თავს ბურჟუაზიული ორგანიზაციის „ახალი დემოკრატიის“ წევრებს უწოდებენ და რომლებიც, როგორც ფიქრობენ, პროვოკატორები-აგენტები არიან, სცადეს არეულობის გამოწვევა დუარნენში. დაჭრილია ხუთი კაცი; თანამდებობიდან გადააყენეს ქალაქის თავი ლეფლანშე და მისი ძმისწული; უკანასკნელი მძიმეთ არის დაჭრილი.

ამ პირებს დაედევნა ადგილობრივი მოსახლეობა და ისინი დაპატიმრებული იქნენ.

ამის გამო დუარნენში და მის ახლო-მახლო სოფლებში ძლიერი მღელვარებაა.

პარიზი. 2 იან. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა დუარნენში მომხდარ ამბების შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ მიღებულია ზომები წესრიგის დასაცავათ; **ჟანდარმერიამ და პოლიციამ დააპატიმრა 11 მუშა.** შეტაკების დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაფიცულებსა და პოლიციის შორის დაჭრილია ხუთი კაცი. მთავრობის განკარგულებით, თანამდებობიდან გადაყენებულია ქალაქის თავი ლეფლანშე და მისი ძმისწული, რომლის მდგომარეობა მეტათ მძიმეა.

კაციჭამიას თვითმკვლელობა

ბერლინი 2 იანვ. მიუნსტერბერგში (სილეზია) პოლიციის კამერაში თავი ჩამოიხრჩო ყოფილმა წვრილმა მემამულემ დენკემ, რომელიც დაპატიმრებული იყო თავისი შეგირდის მოკვლის განზრახვისათვის. **გამოძიებამ დაამტკიცა, რომ დენკემ გასული წლის განმავლობაში მოკლა 8 შეგირდი, მათი ხორცი დაამარილა, ძვლებიდან კი ამზადებდა ქამრებს. თავლაში ქვის ყუთებში იპოვეს ადამიანის დამარილებული ხორცის და ძვლის ნაშთები,**

დენკემ მკვლელობა ჩაიდინა არა სექსუალური მოტივებით, არამედ იმ მიზნით, რომ ეჭამა თავისი მსხვერპლთა ხორცი.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი. 2 იანვარი. კვირას 4 იანვარს გერმანიის კომპარტია აწყობს ბერლინში მიტინგს, რომელიც მოითხოვს პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებას.

მთელი რიგი წარმოებებისა გავზავნიან რეიხსტაგის გახსნის დღეს, 5 იანვარს სპეციალურ დელეგაციებს, რომლებიც პროტესტს განაცხადებენ ამნისტიის გადადების წინააღმდეგ; დელეგაციები რეიხსტაგს წარუდგენენ აგრეთვე მოთხოვნილებას, რომ დაუყონებლივ გამოცხადდეს საყოველთაო ამნისტია პოლიტიკურ პატიმრებზე.

მთავრობას ყოველი კუთხიდან მოსდის მუშათა ორგანიზაციების დეპეშები, რომლებშიაც მოითხოვენ ამნისტიას.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ბერლინი. 2 დეკ. რეიხსკანცლერი მარქსი აწარმოებს ებერტთან მოლაპარაკებას კაბინეტის შედგენის შესახებ.

ბურჟუაზიული გაზეთების საერთო აზრი ისეთია, რომ შედგენილი იქნება საქმიანი კაბინეტი, ამავე დროს ახლანდელი მინისტრების უმრავლესობა დარჩება თავის პოსტებზე. განთავისუფლებული პორტფელები გადაეცემა სპეციალისტებს. ნამდვილად კი სპეციალისტების სახით კაბინეტში შევლენ ნაციონალისტებთან ახლო მდგომი პირები. ნაციონალისტების გაზეთი „კრეი-ცეიტუნგ“ საქმიანი კაბინეტის შექმნის გეგმას თანაგრძნობით უცქერის.

„ფორვერტს“ აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატია ამ გეგმას დიდი უნდობლობით უცქერის. „ალბად—სწერს გაზეთი,—კონტრაბანდათ უნდათ გაატარონ ბურჟუაზიული ბლოკი „ზეპარტიული კაბინეტის“ ნიღაბს ქვეშ.

შტრეზემანის გაზეთი „ცეიტ“ აყენებს ლოზუნგად ისეთი ზეპარტიული ბურჟუაზიული კაბინეტის შექმნას, რომელიც არ იქნება დამყარებული ფრაქციებზე.

ჩინელ კომკავშირელების კონფერენცია

პარიზი. 2 იანვარი. ამ დღეებში პარიზში შესდგა იქ მცხოვრებ ჩინელ კომკავშირელთა კონფერენცია. კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კრასინს. მიღებულ რეზოლიუციაში ჩინელი კომკავშირელები აღტაცებული არიან რუსეთის რევოლიუციით და ისინი მადლობას უძღვნიან რუს ამხანაგებს წარმატებითი ბრძოლისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის რევოლიუცია დაამარცხებს ფაშიზმს და თეთრგვარდიელთა მოძრაობას და გაანთავისუფლებს საერთაშორისო პროლეტარიატს, რომელიც იტანჯება კაპიტალიზმის უღლის ქვეშ“.

გემ „ჩიჩერინის“ მოგზაურობა

ოდესა, 2 იან. ოდესაში მოვიდა პორტ-საიდიდან გემი „ჩიჩერინი“. კომანდის წარმომადგენლებმა „ჩიჩერინის“ მოგზაურობის შესახებ შემდეგი განაცხადეს:

სტამბოლში მოგზაურებსაც და მეზღვაურებსაც ნება მისცეს ქალაქში ჩასვლის. სტამბოლში ძალიან ბევრი რუსი ლტოლვილი იმყოფება. ოსმალეთის მთავრობა ყოფილ რუს ოფიცრებს ნებას არ აძლევს იარონ ქუჩებში ძველ მეფურ ფორმით. ლტოლვილები დიდ გაჭირვებას განიცდიან. საბჭოთა კავშირის საელჩო ყოველ დღე სავსეა სამშობლოში დაბრუნების მსურველ ლტოლვილებით.

პირეიში საბჭოთა მეზღვაურებს მხოლოდ პატარ-პატარა ჯგუფებათ აძლევდენ ნებას ნაპირებზე გადმოსასვლელად.

იაფაში ნაპირზე გადაუშვეს მხოლოდ მოგზაურები. მეზღვაურებს კი ნება არ მისცეს.

პორტ-საიდშიც ძალიან მტრულათ შეხვდენ გემს ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლნი, გემის ბაქანზე დააყენეს პოლიციელები და თვით გემის გარშემო კი მუდმივათ დასცურავდენ საპოლიციო მეთვალყურე ნავები, რომლებიც სრულიად არავის არ უშვებდენ გემის მახლობლათ.

მდგომარეობა ჩინეთში

დუან-ჩუი-ჩუის დეკლარაცია

პეკინი. აღმასრულებელ ხელისუფლების მეთაურმა დუან-ჩუი-ჯუიმ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს კონფერენციის მოწვევას სრულიად ჩინეთის სამოქალაქო კრების პროექტის განსახილველად.

დეკლარაცია იძლევა განმარტებას, რომ კონფერენციის მიზანია გართულებულ მდგომარეობის მოწესრიგება და სახელმწიფოებრივი გეგმის განხილვა. კონფერენციას დაესწრება 4 კატეგორიის მოქალაქენი: ის პირები, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს სახელმწიფოს, უმაღლესი სამხედრო პირები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მექრთამეობასთან ბრძოლაში და ხელი შეუწყვეს სამოქალაქო არეულობის ჩაქრობას; მონღოლეთის, ტიბეტის და ჩინეთის სხვადასხვა პროვინციების სამხედრო და სამოქალაქო პირნი; ის პირები, რომელნიც სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით თავიანთი გამოცდილებისა და ცოდნისათვის.

პირველ კატეგორიაში შედიან მხოლოდ დუან-ჩუი-ჯუი, სუნ-იატ-სენი, ჩჟან-ძო-ლინი, ფინ-იუ-სიანი, რომელთაც აქვთ უფლება გაგზავნონ თავიანთ ნაცვლად სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

კონფერენციის პროგრამა: სრულიად ჩინეთის სამოქალაქო კრების მოწყობა, სამხედრო სისტემის რეფორმა, ფინანსების მოწესრიგება და სხვა საკითხები, რომელსაც აღძრავს აღმასრულებელ ხელისუფლების მეთაური.

420 პატიმარი

ვენა, 1 იანვარი, რუმინეთში დაპატიმრებულთა რიცხვი აღწევს 420 კაცს. ოფიციალურ ცნობის თანახმად 230 დაპატიმრებული გადაეცა სასამართლოს, ხოლო დანარჩენები განთავისუფლებული არიან, მაგრამ გადასახლებული იქნებიან.

შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა განუცხადა პრესის წარმომადგენელს, რომ დაპატიმრებულთა მიმართ მთავრობა ჯერ კიდევ არ ისარგებლებს საგანგებო კანონებით, ვინაიდან დაპატიმრებულთა ქმედობანი ჩადენილი იყო კანონის ძალაში შესვლამდე.

შინაური სესხი

ამხ. სოკოლნიკოვის განცხადება

ლენინგრადი 2 იანვარი. საფინანსო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. სოკოლნიკოვმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა ოქროს სესხის მნიშვნელობას და ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ.

„სახელმწიფოს პირველ სესხის გამოშვების დროს—სთქვა სოკოლნიკოვმა, ჩვენი მტრები უწინასწარმეტყველებდენ მას დამარცხებას და სცდილობდენ დაეკარგათ ნდობა სესხისადმი. ისინი აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც აუქმებს მეფის დროს აღებულ ყველა ვალებს, არ შეასრულებს თავის ვალდებულებასო. **მაგრამ მეფის დროს აღებული იყო მშრომელთა დასამონავებლათ, ომების და ავანტიურების საწარმოებლად, სესხები რომელთა უკანონობას აღიარებდენ კადეტებიც კი—სულ სხვა საქმეა, ხოლო საბჭოთა მთავრობის სესხი, რომელიც ხმარდება მეურნეობის აღდგენას, მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას—სულ სხვა საქმეა.**

ყოველი შეგნებული და სინდისიერი მოქალაქე თანდათან რწმუნდება რომ საბჭოთა სესხში მონაწილეობით ის ხელს უწყობს სახალხო მეურნეობას და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებას. **საბჭოთა მთავრობა მომავალში ფიქრობს უარი სთქვას სესხის იძულებით გაწერაზე უმნიშვნელო რაოდენობითაც კი. მოქალაქეთა უმნიშვნელო მონაწილეობასაც კი საბჭოთა სესხში საშუალება მიეცა მთავრობას შეემცირებინა ემისია 100 მილიონი მანეთით და განეხორციელებინა ფულის რეფორმა.** ეხლა საჭიროა განმტკიცებულ იქნეს დასრულებული რეფორმა და ეს კი მოსახერხებელი იქნება საბჭოთა შინაური სესხით.

შინაური სესხი—ეს საუკეთესო პასუხია საბჭოთა კავშირის ყველა მტრებისათვის, რომელნიც სცდილობენ ჩვენს გარშემო შექმნან ფინანსიური ბლოკადა, ჩვენ უპასუხებთ მათ: თქვენ ვერაფერს გახდით ხმაურით, ვერაფერს დაგვაკლებთ ოქროთი. ინგლისში აღებულ სესხის გარეშე ჩვენი ქვეყნის განვითარება შესაძლებელი იქნება.

უკანასკნელი ცნობები

მუშების მოღალატეები

პარიზი. 2 იანვარი. პარიზის მემარჯვენე გაზეთები საახალწლო მიმოხილვებში აღნიშნავენ, რომ განვლილი წელი დამღუპველი იყო საფრანგეთისათვის, ვინაიდან ამ წლის არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე ბლოკმა, გამოყვანილ იქნა ჯარები რურიდან და ერრიოს მთავრობამ იცნო საბჭოთა კავშირი.

მემარცხენე გაზეთები, პირიქით აღნიშნავენ, რომ ერრიოს პოლიტიკის წყალობით მდგომარეობა განმტკიცდა. მემარცხენე გაზეთები სწერენ: „თუ მემარცხენე ბლოკმა ვერ მიაღწია ყველა თავისი დაპირებების შესრულებას საშინაო პოლიტიკის დარგში, პასუხისმგებლობა ამისათვის სავსებით ეკისრება მემარჯვენე ოპოზიციას, რომელიც სისტემატიურად ხელს უშლიდა მთავრობის ღონისძიებებს“.

კომუნისტების ორგანო „ლ'იუმანიტე“ სწერს: „მემარცხენე ბლოკის 8 თვის ბატონობა წარმოადგენს განუწყვეტელ მოღალატეობას მშრომელთა მიმართ. მუშების მდგომარეობა ყოველდღიურათ უარესდება. მუშებმა თავისი ინტერესების დასაცავად უნდა შეამჭიდროონ თავისი რიგები და ყოველ წარმოებებში მოაწყო პროლეტარული მთლიანობის კომიტეტები“.

ამერიკა მოკავშირეს ექებს ინგლისის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი. 2 იანვარი. პირველი აღელვება, რომელიც გამოიწვია ამერიკის საქმიან წრეებში იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთის 1925 წლის ბიუჯეტში არ არის შეტანილი თანხა, რომელიც საფრანგეთმა ამ წელს უნდა გადაუხადოს ამერიკას, მიწყნარდა. პრესა უფრო თანაგრძნობით ეკიდება საფრანგეთთან შეთანხმების საკითხს.

ეკონომიური კრიზისი პოლონეთში

ვარშავა. 2 იანვარი. ფინანსთა სამინისტროს ცნობებით ლოძში ახალი წლისათვის დაიხურა სავაჭრო სამრეწველო ფირმების 30 პროცენტი. იხურება უმთავრესად საფეიქრო წარმოებები.

პოლონეთის მთავრობის აგიტაცია

ვარშავა. 2 იანვარი. ქ. ოლშტანში დაიდგა პიესა „ბოლშევიკები“, რომელშიც დასცინოდნენ ბოლშევიკებს. წარმოდგენის შემდეგ მუშები დაეცენ თეატრს და სცემეს მსახიობებს. დასი, რომელიც ამ პიესით დახეირობს პოლონეთის პროვინციებში, სუბსიდიას იღებს მთავრობისაგან. პოლონეთის განაპირა ოლქებში ამ დასს კინწის კვრით ისტუმრებდა მოსახლეობა.

პოლონეთი და საბჭოთა კავშირი

ვარშავა. 2 იანვარი. პოლონეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სკშინსკი შეეხო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

სკშინსკიმ განაცხადა: „დიდ სიძნელეს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის და კომინტერნის პოლიტიკის გამიჯვნა. პოლონეთი იძულებულია შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირს, მაგრამ ამ შეთანხმებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ აღმოჩნდა, რომ საბჭოთა მთავრობის და კომინტერნის პოლიტიკა ერთი და იგივეა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

100.000 მანეთის მოგება

ლენინგრადი. 2 იანვარი პირველ მომგებიან სესხის მეხუთე ტირაჟის 100.000 მანეთიანი მოგება ერგო ობლიგაციას № 740491, სერია 2.

მუშის გამოგონება

ნიკოლაევი. 2 იანვარი მარტის სახელობის ქარხნის ზეინკალმა ნიკონოვმა გამოიგონა მოწყობილება დიზელის სეტების გასაღებად. ახალი აღმოჩენა იძლევა 75 პროც. ეკონომიას და მნიშვნელოვნად აიაფებს მუშაობას. ქარხნის გამგეობამ ფულით დაასაჩუქრა მეინბეური მუშა.

რადიოთი სიტყვის გადაცემა.

მოსკოვი. 2 იანვარი. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ მოსკოვის რადიო სადგურის აღმშენებელთა ინჟინრებმა ვინოგრადოვმა და მინცმა მოახერხეს რადიოთი კრებებზე წარმოთქმულ სიტყვების გადაცემა. საცდელად გადასცეს კავშირთა სახლის დიდ დარბაზიდან ამხ. ზინოვიევის სიტყვა და აგრეთვე მოსკოვის საბჭოს პლენუმის სხდომა. ცდას სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყვა.

ეკონომიური კონტრ-რევოლუცია

ოდესა. 2 იანვარი. მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ დაასრულა გამოძიება ეკონომიურ კონტრ-რევოლუციის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა შავი და აზოვის ზღვების სახლმ. სანაოსნო სამმართველოში. მთავარ როლს ასრულებდა, სამმართველოს დირექტორი ლევინი. რევოლუციამდე ის იყო სანაოსნო საზოგადოება: „ბ. შპოლიანსკის და შვილების სავაჭრო სახლის“ მმართველი. აქვს ბერდიანსკში საკუთარი სახლი. ლევინს აქვს ნაოსნობის კაპიტანის სახელწოდება, ამიტომ ითვლებოდა საზღვაო საქმის მცოდნეთ. მუშაობაში ლევინს დახმარებას უწევდენ სამმართველოს მთავარი ინჟინერი ერმაკოვი და ტეხნიკური ნაწილის უფროსი ტიშჩენკო. ლევინმა სამმართველოში დაჰყო ერთი წელიწადი და შვიდი თვე, აქედან რვა თვე მან დაჰყო სხვა და სხვა მივლინებაში, რომლის დროსაც დახარჯა 11,775 მანეთი და 1,123 დოლარი მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში მოიპოვებოდა მთელი რიგი შენობებისა სახლთა დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის, ლევინმა იქირავა ბინა 2800 მანეთად, აქედან 500 მანეთი მიიღო სამმართველოს სალაროდან. ხარჯები სამმართველოს თანამშრომელთა სამგზავროთ წლიურად უდრიდა 33.000 მანეთს. ლევინმა გადასწყვიტა სამმართველოს განკარგულებაში გადარიცხოს გემები, რომლებიც არ არიან გამოყენებული სხვა სანაოსნო საზოგადოებებში, კერძოდ ბალტიის და შორეულ-აღმოსავლეთის სანაოსნო საზოგადოებაში. გემების გადაყვანა სამმართველოს დაუჯდა 450,000 მანეთი. ზოგიერთი გემები იმდენად გაცვდნენ, რომ მათი ღირებულება ვეღარ კი დაფარავდა გადასაყვან ხარჯებს. ლევინი სამმართველოში ეწეოდა გემების მტაცებლურ ექსპლოატაციას. ზღვაში გადიოდნენ გემები დიდი ნაკლულოვანებით და მგზავრობა ფრიად სახიფათო ხდებოდა. ლევინის მოღვაწეობის წყალობით სანაოსნო სამმართველომ დიდათ იზარალა. ლევინის საქმე გადაეცა უმაღლეს სასამართლოს.

საბჭოთა სომხეთში

ა.-კ. ცაკის კომისიის მოგზაურობა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

1 იანვარს ამიერ-კავკასიის ცაკის კომისია ამხ. ცხაკაიას, იაკუბოვის, ხანოიანის შემადგენლობით ჩავიდა ნახიჩევანში. სადგურში ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებს შეხვდნენ: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ახუნდოვი, სახალხო კომისრები, ცაკის თავმჯდომარე და სხვები. პროფკავშირების, პარტიის და კომკავშირის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომაზე კომისიის წევრებმა წარმოსთქვეს სიტყვები. ამხ. მიხა ცხაკაიამ თავის სიტყვაში განაცხადა შემდეგი: „მოგესალმებით თქვენ სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მუშების და გლეხების სახელით. დღემდე ამ დროს ჩვენში ყოველთვის იმართებოდა ყრილობები, თათბირები, სესიები. ჩვენ ეხლა ისინი რამდენიმე ხნით გადავდევით, ამიტომ ჩვენ ვიშოვნეთ დრო და გინახულეთ თქვენ, რომ გავცნობოდით როგორც ქალაქის, ისე სოფლის ცხოვრებას. ჩვენ ვერ შევძლებთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, თუ მასებმა არ მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის საერთო აღმშენებლობაში. ჩვენ სოფლების დათვალიერებით გავეცნობით მათ ავკარგს, გავიგებთ თუ დგანან თავიანთი მდგომარეობის სიმაღლეზე სასოფლო საბჭოები სასოფლო აღმშენებლობაში, როგორ აქვთ დაყენებული მიწათმოქმედების საქმე, ხომ არ განიცდიან გლეხები მიწის სიმცირეს“.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ხანოიანმა, რომელიც შეჩერდა დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის დროს ამიერ-კავკასიის ერებს შორის არსებულ ბრძოლის მომენტებზე; მან დაახასიათა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მნიშვნელობა, გაშუქა ნაციონალური საკითხი, მუშათა ერთნაირ უფლებიანობათა შორის. ამხ. ხანოიანი მოუწოდებდა მუშებს და გლეხებს შეთანხმებული ძმური მუშაობისაკენ საბჭოთა ქვეყნის ასაღორძინებლად.

ამხ. იაკუბოვი სიტყვას ამბობს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით.

ის ლაპარაკობს: „წინად ამიერ-კავკასიის ხალხთა ოჯახში პროვოკატორები სთესავდნენ შუღლს, მოუწოდებდნენ ხოცვა-ჟლეტისაკენ. სომხებისა და თურქების მიერ დაწყებული ომი ხელს უწყობდა მხოლოდ ბურჟუაზიის ჯიბეების გასქელებას, ის იყო სოფლების და ქალაქების გამანადგურებელი. სომხეთის და ნახიჩევანის მხარის დათვალიერების დროს ეხლა სულ სხვა სურათს ვხედავთ: ერთ სახლში, ერთს ქუჩაში ცხოვრობენ სომხები და თურქები.

საბჭოთა ხელისუფლებამ მშვიდობიანობა დაამყარა მთელს ამიერ-კავკასიაში, ის მისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ მთელს მსოფლიოში.

თუ ჩვენ წინათ ვმუშაობდით ბურჟუაზიის ჯიბის გასასქელებლათ, ეხლა ჩვენ ჩვენთვის ვმუშაობთ, ამაშია საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე.

ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებს მისალმებს მარილის სამრეწველოების მუშები, ფეიქართა კავშირი, უპატრონო ბავშვთა სახლები, ქალთა განყოფილებები, კომკავშირელების, უპარტიოების და სხვ. წარმომადგენლები. ცაკის წევრებმა დაათვალიერეს ბავშვთა თავშესაფარები, ქალაქის საავადმყოფო, მუშათა კლუბი. საღამოს კომისიის წევრები დაესწრენ საზეიმო წარმოდგენას. 2 იანვარს კომისია გაემგზავრა ჯულფაში.

ი. ბ.

საახალწლო წვეულება სასახლეში

1 იანვარს, ახალ წლის დღეს, სასახლეში ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მამია ორახელაშვილს ეწვიენ ამჟამად თბილისში მყოფი უცხო სახელმწიფოების ყველა წარმომადგენლები. როგორც მაგ. ოსმალეთის, სპარსეთის, გერმანიის და იტალიის და აგრეთვე ოსმალეთის სანაპირო შერეული კომისიის დელეგაცია.

წვეულებას დაესწრენ საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა, ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების და საბჭ. კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

სასახლეში გამართულ საუზმის დროს ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებმა და სხვებმა ხაზი გაუსვეს იმ მეგობრობის მნიშვნელობას, რომელიც აკავშირებს საბჭოთა რესპუბლიკებს აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებთან პირველ რიგში ოსმალეთთან და სპარსეთთან.

სიტყვებში აღნიშნული იყო, რომ ეს მეგობრობა, ეს საერთო ცდა უკუაგდონ იმპერიალისტურ მტაცებელთა ზრახვები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული თავხედობით თავს ესხმიან აღმოსავლეთის ქვეყნების ერებს,—უნდა იყოს გარანტია იმისა, რომ მშვიდობიანობის დაცვის მიზნით, საერთაშორისო მტაცებლებს დაუპირდაპირდება სერიოზული ძალა.

ამიერ-კავკასიის საბჭ. ფედ. რესპუბლიკის მთავრობას მიესალმენ აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებმაც გამოსთქვეს რწმენა, რომ ახალ წელში ყოველგვარ ზომებს მიიღებენ, რათა განამტკიცონ ეს მეგობრობა და დაიცვან მშვიდობიანობა, რომლისაკენაც ილტვიან მთელი მსოფლიოს ხალხები.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელით მთავრობას მიესალმენ გერმანიის და იტალიის წარმომადგენლები, რომელთაც აღნიშნეს, რომ ამ ქვეყნების ინტერესები მჭიდროთაა დაკავშირებული საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესებთან.

ორივე მხარის ინტერესების დასაკმაყოფილებლათ ისინი მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რათა განმტკიცდეს საერთო კავშირი.

უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლების მიღება სასახლეში გაგრძელდა დაახლოვებით 2 საათი.

ქარბუქი ამიერ-კავკასიაში

(დამით მიღებული ცნობები)

რკინის გზებზე

საქართველო

დარები დასავლეთის ხაზზე კარგია. მოძრაობა ნორმალურად მიმდინარეობს. მუშაობა სრული ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად სწარმოებს

ნორმალურია მდგომარეობა საღელტეხილო ხაზზეც, მხოლოდ ძლიერი ყინვებია.

ხაშურში ყინვა უდრის 18 გრადუს ნულს ქვევით.

კახეთის ხაზზეც ძლიერი ყინვებია. სადგურ გურჯაანში ვაგონებით დაკავებულ ლიანდაგზე შეცდომით მიღებულ იქნა საპარგო მატარებელი, მოხდა მატარებლების დაჯახება. დაიმსხვრა სამი ვაგონი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ტყიბულის ხაზზე ლიანდაგზე თოვლის გაყინვის გამო გზას აცდა მუშათა ვაგონი. მსხვერპლი არ არის.

ამავე ხაზზე ძლიერი ყინვის გამო შეჩერდა მატარებელი ნომერი მეოთხე.

ბათომისაკენ ქარბუქი შეწყდა. თოვლის სიმაღლე ერთ არშინს არ აღემატება.

ქუთაისში ყინვა უდრის 11 ნულს ქვევით.

აზერბეიჯანი

გზა ბაქოსა, ბალაჯარსა და ეიბატს შუა უკვე გაწმენდილია. **ორი იანვრის ღამის 12 საათზე მოძრაობა განახლდა. მატარებლები, რომლებიც იდგენ ამ სადგურებზე დაიძრენ დანიშნული მიმართულებით.**

დღეს ამინდი მზიანია. ბაქოში ყინვა უდრის 5 გრადუსს ნულს ქვევით.

გზა დერბენტიდან, რომელზედაც მოძრაობა შეჩერებული იყო, 2 იანვარს გაწმენდილ იქნა. ამ დღესვე შუადღის 12 საათიდან განახლდა მატარებლების მიმოსვლა დერბენტიდან, სადაც დაგროვილი იყო 700-დი მგზავრი.

ბალაჯარა-პუტას შუა დამხმარე მატარებელი ორთქმავლით დიდი თოვლის გამო ლიანდაგს ასცდა, მსხვერპლი არ ყოფილა.

ორშაბათს 1925 წლის 5 იანვარს, საღამოს 6 საათზე წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში **დანიშნულია**

თბილისის საბჭოს [illegible]

მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1) თბილისის საბჭოს 1924—1925 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

568 1—1 **პრეზიდიუმი.**

დღეს, 4 იანვარს, საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება **ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრების**

საზოგადო კრება

ადგილკომის წევრები უნდა შეიკრიბონ 4 საათზე

ადგილკომი.

სასოფლო მეურნეობა

მესაქონლეობა ახალციხის მაზრაში

ვინც ცოტათი მაინც დაინტერესდება მესაქონლეობის მდგომარეობით საქართველოში და ახლო წარსულის ცნობებს მაინც გადახედავს, ის დაინახავს, რომ ახალციხის მაზრას ამ მხრივ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, ყოველ შემთხვევაში არ იყო უკანასკნელი სხვა მაზრებთან შედარებით. მაგრამ ჯერ იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ ახალციხის მაზრაში შექმნილმა არანორმალურმა მდგომარეობამ ახალციხის გლეხობას ამ მხრივ მახვილი ჩასცა. თუ წინათ ჩვენი მაზრის გლეხობისათვის მესაქონლეობას შესამჩნევი სარგებლობა მოჰქონდა, დღეს ეს შემოსავლის წყარო უკვე თვალსაჩინოდ შემცირებულია.

ახალციხის მესაქონლეობას განსაკუთრებული ზარალი მიაყენა რევოლუციის პერიოდში საქართველოს საზღვრებში ოსმალეთის ასკერების ხშირმა „სტუმრობამ“. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენს ტერიტორიაზე ველარავინ დათარეშობს.

ამან, რასაკვირველია, გლეხობას სული მოათქმევინა და მესაქონლეობაც კვლავ აღორძინების პროცესშია. ზარალი რომ დიდი იყო ახალციხის მაზრაში, ამას ამტკიცებენ შემდეგი ცნობები, ამოკრებილი ახალციხის სტატბიუროს მასალიდან:

საქონლის რაოდენობა მაზრაში

1917 წლ. აღწერით.

მსხვილფეხი				**წვრილფეხი**	
ხარი და ძროხა	ცხენი	სახედრები	კამეჩი	ცხვარი	თხა
50468	2168	2589	6322	62721	15836

ასეთი იყო საქონლის რაოდენობა რევოლუციის პირველ დღეებში. აქედან ძალზე შემცირებულია ისეთი საქონელი, რომელიც წარმოადგენს გადასაზიდ საშუალებას და სახორცე საქონელს. 1923 წ. აღწერა ამ დარგში ასეთ სურათს იძლევა:

მახვილფეხი			**წვრილფეხი**
ხარი, ძროხა და კამეჩი	ცხენი	სახედარი	ცხვარი და თხა
47.238	729	2.204	44.712

აქედან ნათელია, რომ მეცხვარეობა, რომელსაც 1917 წ. ახალციხის მაზრაში ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა, დღეს თითქმის განახევრებულია; ეს კი აუცილებლად მძიმე ლოდათ აწევია მაზრის გლეხობას. საჭიროა მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემმა“ ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, დააარსოს ახალციხის მაზრაში კავშირი და ამ დარგის განვითარებას ხელი შეუწყოს, მით უმეტეს, რომ ამ საქმისათვის ახალციხის მაზრა მდიდარ მასალას იძლევა. რაც შეეხება მუშა-საქონელს, ესეც საგრძნობლადაა შემცირებული. თუ შევადარებთ ამ ორი აღწერის ცნობებს, სჩანს, რომ ხარ-კამეჩ-ძროხა შემცირებულია 9.552 სულით. მუშა-საქონლის ასეთ შემცირებას აუცილებლად გავლენა აქვს მაზრის მოსავლიანობაზედაც. საჭიროა მაზრას ამ მხრივ ყურადღება მიექცეს.

კორდელი.

მენშევიკების ახალი ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები*)

IV

მენშევიკების ახალი ტაქტიკა, როგორც ეს ჩვენ გამოვარკვიეთ მათი თეზისებიდან, მდგომარეობს ორგანიულ მუშაობაში, რომელიც საკმაოთ ხანგრძლივათ უნდა სწარმოებდეს და ცალკე ლოზუნგების წამოყენებაში.

ეს—ასე ვსთქვათ—პროგრამა მინიმუმია. როგორ ლოზუნგებს აყენებენ მენშევიკები? ისინი სწერენ, რომ ძირითად მოთხოვნილებათ უნდა ჩაითვალოს „ოკუპაციის მოხსნა და საოკუპაციო ჯარების გაყვანა“.

ყოველგვარ ახალ მდგომარეობაში, ყოველგვარ ახალ „ცნობის“ და კონსტიტუციაზე დაყრდნობის დროს, ისინი ამ სიმპატიურ „პატარა მუხლს“ მაინც სტოვებენ. ეს მეტად დამახასიათებელია, რომ ისინი სცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და საბჭოთა კონსტიტუციასაც კი, მაგრამ მაინც ლაპარაკობენ ოკუპაციის მოხსნისა და საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ ეს იმიტომ ხდება, რომ მათ სურთ არა თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, არამედ რაღაც სხვა რამ. ისინი, მაგალითად, თეზისებში, რომლებიც მეტათ მოხერხებულათ არის შედგენილი, სხვა ადგილას აღნიშნავენ, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს მათი მუშაობა გარდამავალ პერიოდში, როდესაც მათ ჯერ კიდევ ხელში არ ჩაუგდიათ ძალაუფლება, მაგრამ სცდილობენ, რომ უეჭველათ დაიპყრონ ის.

აი რა უნდა მოითხოვონ მათ და წამოაყენონ ლოზუნგების სახით: ქართული წითელი არმიის გადიდება, გაძლიერება და მამობრივი ზრუნვა ამ არმიაზე, ქართული ენის მთლიანათ გატარება (ცხოვრებაში, ყველა ქაღალდების ქართულ ენაზე შედგენა, გლეხების მოწყობა თავისუფალ მიწებზე, შემდეგ ქართული წიგნების ხელოვნების და მეცნიერული ნაწარმოებების გამრავლება ბაზარზე და სხვა.

აი რაში უნდა მდგომარეობდეს მათი კულტურული მუშაობა. მეტათ დამახასიათებელია ის, თუ რა აქვთ მათ ნიშანში ამოღებული, აქ ისინი მთლიანათ იმეორებენ იმას, რაც ჩვენი პარტიის საზრუნავ საგანს შეადგენს. და ეს ჩვენ მიღებული უნდა გვქონდეს მხედველობაში.

ეს საკითხი დამაჯერებლათ დაუყენია, როგორც ამას სჩადის ხანდახან ს. დევდარიანი, როდესაც ის გამოდის და რიხით აცხადებს: „მე იმას მოვითხოვ, რასაც ლენინი მოითხოვდა. ლენინს დიდი ჰქონდა ბრძოლა ბუხარინთან ნაციონალური საკითხის შესახებ. მე ლენინის მხარეზე ვსდგევარ“.

ვამბობ, რომ სეით დევდარიანი უფრო ლენინელია, ვიდრე ბუხარინი. ეს ახალი აღმოჩენაა. ეს წმინდა, ბოდიშს ვიხდი ასეთი გამოთქმისათვის, „ქულიკური“ მენშევიკური მიდგომაა, როდესაც სეით დევდარიანი სცდილობს სთქვას რომ ნაციონალური პოლიტიკა სწორათ არის დამუშავებული ლენინის მიერ მაგრამ საქართველოში აღმოჩნდენ არა ლენინელები, არამედ ბუხარინის მომხრეები და ისინი თავიდანვე ბუხარინის პოლიტიკას ატარებენ, რადგან მათ ძალით მოახდინეს საქართველოს გასაბჭოება, ლენინს კი ეს არ სურდა.

აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევებში, თვითეულს შეუძლია სთქვას, რომ ეს ტიპიური მენშევიკური ხერხია საქართველოს გასაბჭოებული იქნა იმიტომ კი არა, რომ გვინდოდა დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა, არამედ იმიტომ, რომ ის ობიექტი იყო დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ხელში, ის ბრძოლის იარაღი იყო, საბჭოთა რევოლუციისა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

ამხ. ლენინი არა ერთხელ ამბობდა, რომ თუ ჩვენ არ ვიბრძვით პატარა ნაციონალურ რესპუბლიკების და სახელმწიფოების წინააღმდეგ, სამაგიეროთ ჩვენ ვიბრძვით ვილსონის წინააღმდეგ, ვიბრძვით კაპიტალის სიძლიერის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ვილსონს თავის ხელში უჭირავს „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო და თავის მიზნებისათვის იყენებს მას მაშინ ჩვენ ვებრძვით ვილსონსაც და მის იარაღსაც.

ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოში.

საქართველო ნამდვილი იარაღი იყო დასავლეთ-ევროპის კაპიტალის ხელში ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ ერთ და იმავე დროს შევუტიეთ ამ კაპიტალისტებსაც და თვით ამ ჟორდანიას სახელმწიფოს. ეს აბსოლიუტურათ აუცილებელი და სწორი იყო ბოლშევიზმის-ლენინიზმის თვალსაზრისით.

ეხლა სეით დევდარიანი სცდილობს გამოიყენოს ეს, მაგრამ ამაოთ.

მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდება. მას სურს რაღაც შესწორებების შეტანა არა მარტო ჩვენს თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. ის დადის და აგროვებს ცნობებს, შემდეგ კი მოდის ჩვენთან და გვეუბნება: „აი მაგალითად, ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტში და ამიერ-კავკასიის სხვა დაწესებულებებში 7 რუსია, 6 სომეხი და 5 ქართველი. ეს არ ვარგა, საჭიროა, რომ პირიქით იყოს“.

ანდა ლაპარაკობს იმაზე, რომ შტატის შემცირებაში მოყვენ ქართველებიც. მერე რა მოხდა? რასაკვირველია, შემცირების დროს სხვათა რიცხვში შეიძლება მოყვენ ქართველებიც. როდესაც სეით დევდარიანს ეკითხები, ნუ თუ ის, რომელიც ინტერნაციონალისტათ სთვლის თავის თავს, ფიქრობს, რომ ყველა არა ქართველები შემცირებული და განდევნილი უნდა იქნენ ყველა დაწესებულებებიდან, ნუ თუ ის ცნობს ისეთ ველურ ლოზუნგს, როგორიც არის „საქართველო ქართველებისათვის“, ის ამას უარყოფს და ამის შესახებ სწერს, რომ ის არ არის მომხრე ლოზუნგის „საქართველო-ქართველებისათვის“, ნამდვილად კი ის გამოდის და ეს აძლიერებს შოვინიზმს.

ეს დამახასიათებელია დევდარიანიზმისათვის, როგორც მენშევიზმის ერთი სახისათვის.

ხოლო მენშევიკს შეუძლია გამოიყენოს, მიუთითოს რ. კ. პ. მე-13 ყრილობის დადგენილებებზე, მოიყვანოს ციტატები რამდენიც სურს, მაგრამ ის მაინც გაატარებს თავის მენშევიკურ ნავავს. და აი ამ აზრით, როდესაც ჩვენ შევადარებთ მენშევიკების ვითომდა „მამობრივ“ ზრუნვას ქართულ წითელ არმიაზე (?) (თითქოს ეს ჩვენი ძირითადი ამოცანა არ იყოს) იმ მოთხოვნილებასთან, რომელიც შეეხება რუსეთის წითელი არმიის გაყვანას, ჩვენთვის ნათელი გახდება გადასხვაფერებული მენშევიკების პოზიცია.

აი ამიტომ ასეთ ტენდენციებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ, რადგან ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუთმობთ მენშევიზმს ჩვენს პოზიციებს, და როდესაც აქა-იქ გაისმის ასეთი ხმები, ჩვენ განსაკუთრებით ფრთხილათ უნდა ვიყოთ ამ მხრივ.

მენშევიკები ამბობენ, რომ მათ არა მარტო უნდა გამოყონ ნაწილი ლოზუნგებისა პროგრამა-მინიმუმიდან, არამედ უნდა აწარმოონ პრაქტიკული მუშაობაც და დარაზმულათ უნდა ჩაუდგენ სათავეში მუშათა კლასს და გლეხობას და წინანდებურათ უნდა გახდენ ხელმძღვანელები ახალი ბრძოლისა, რომელიც აწარმოებს ახალი გზით, მაგრამ ძველი მიზნების განსახორციელებლად.

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკები უარს არ ამბობენ ბრძოლაზე,—ეს ერთხელ კიდევ უნდა იქნეს ხაზგასმული. მათ „აღიარეს“ საბჭოთა კონსტიტუცია და თითქოს სურთ ჩვენთან თანამშრომლობა. მაგრამ ნამდვილათ ეს ასე არ არის. მათი ორგანიზაციები მაინც განაგრძობენ მუშაობას; ერთის მხრივ ისინი სცდილობენ გამოიყენონ ლეგალური შესაძლებლობანი, მეორეს მხრივ კი სცდილობენ აწარმოონ არალეგალური პარტიული მუშაობა იმისათვის, რომ საჭირო მომენტში შესძლონ გამოსვლა. აი რა ახასიათებს მენშევიკების ახალ ტაქტიკას.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ჩვენი ეხლანდელი დამოკიდებულება მათდამი.

აშკარაა, რომ ჩვენ გვყავს მრავალი მომხრეები, მრავალი მუშები, რომლებიც წინეთ გამოვიდენ მენშევიკური პარტიიდან და ეხლაც გამოდიან. აგვისტოს დამარცხების შემდეგ დაიწყო მენშევიკური პარტიის ახალი რღვევა. ერთი წლის წინათ იყო რღვევის პირველი ტალღა—ყველაზე უფრო რევოლიუციონური, როდესაც მთელი რიგი მუშები აშკარათ გამოდიოდენ განცხადებით იმის შესახებ, რომ ისინი გადმოდიან საბჭოთა ხელის-უფლების მხარეზე. შესდგა ყოფილი მენშევიკების ყრილობა, რომელზედაც მიღებული იქნა დადგენილება, მენშევიკურ პარტიის დაშლის შესახებ.

ამ მოძრაობაში ჩაება მუშების საკმაო რაოდენობა და მან საშუალება მოგვცა განგვეგრძო მუშაობა ამ მიმართულებით. მაგრამ ჯერ კიდევ დარჩენ ისეთი მუშები და გლეხები რომლებიც ჯერ კიდევ მენშევიკებს მიყვებოდნენ აგვისტოს ამბებამდი.

აგვისტოს ამბების შემდეგ, როდესაც მენშევიზმი სასტიკათ დამარცხდა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მუშები და გლეხები სტოვებენ მენშევიკურ პარტიას. ჩვენ ასეთი კრება გვქონდა პირველ რაიონში. იქ არჩეული იქნა მუშათა კომისია ამხ. ძამახაშვილის მეთაურობით. ამ მუშათა კომისიამ განავითარა მუშაობა იმ მიმართულებით, რომ დაეპყრო ის მშრომელები, რომლებიც ჯერ კიდევ მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ჩამოეშორებია ისინი ამ პარტიისაგან. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ჯგუფს და ვფიქრობთ, რომ ეს მეტად სერიოზული ახალი გადახრაა მშრომელებს შორის და ეს აიხსნება მით, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ არ იყო ასეთი მდგომარეობა არც საერთაშორისო ურთიერთობაში, არც შიგნით ჩვენში. ეხლა კი ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაშინ აგრეთვე მენშევიკებიც არ იყვნენ ასე სავსებით განადგურებული, ეხლა კი ჩვენ ვხედავთ მათ სრულ დამარცხებას.

ბუნებრივია, რომ ისინი, რომელნიც კიდევ მიჰყვებოდნენ მენშევიკებს, ასეთი ამბების შემდეგ უნდა ჩაფიქრებოდნენ ამჟამად არსებულ მდგომარეობას. აი რატომ არის ეხლა მენშევიკური პარტიიდან გამოსვლა, ხელის აღება ყოველგვარ ბრძოლაზე ჩვენს წინააღმდეგ და ყოველგვარი იდეოლოგიური კავშირის გაწყვეტა თავის პარტიასთან.

ამჟამად სხვადასხვა ადგილებში, გურიაშიაც კი, მენშევიკები გამოდიან პარტიიდან და ურთდებიან ამ ახალ ტალღას, მენშევიკები ასობით სტოვებენ თავიანთ პარტიას. თვით არალეგალურად მომუშავე მენშევიკებიც დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ მოვლენას

ისინი სწერენ: „ნუ დაენდობით ამ ეგრეთწოდებულ მუშათა კომისიას, რადგანაც ამ კომისიის ზურგს უკან მუშაობენ გამოჩენილი კომუნისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მას. აი ამიტომ, როდესაც მოდიან თქვენთან კომისიის სახელით და დაგიწყებენ ლაპარაკს, თქვენ არ უნდა დაუჯეროთ მათ, ვინაიდან ისინი თქვენ გატყუებენ, უნდათ თქვენი დაშლა, რომ თქვენ მიატოვოთ თქვენი პარტია და შემდეგ კი ვერსად ვერ შეხვიდეთ, იმიტომ რომ კომუნისტები თქვენ პარტიაში არ მიგიღებენ.“

მენშევიკებს, როგორც სჩანს, ძალიან ეშინიათ მუშათა კომისიის მუშაობის. ეს გასაგებიც არის, რადგანაც ისინი გრძნობენ, რომ პარტიიდან მენშევიკების უკანასკნელი გასვლით ისინი საბოლოოდ ჰკარგავენ მუშებს, და ისინი ყოველი საშუალებით ცდილობენ სთესონ პროვოკაცია მათ შორის. მაგრამ დღემდე ამას ისინი ვერას გზით ვერ ახერხებენ.

გურიაში გლეხები ყოფილ მენშევიკების კრებებზე გამოდიან კატეგორიულად არა მარტო ჟორდანიას პოზიციის და ძველი ავანტიურისტული ხაზის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სეით დევდარიანის წინააღმდეგაც და ამბობენ, რომ თუ ჩვენ ვსტოვებთ პარტიას, უკვე აღარ გავჩერდებით შუა გზაზე, წავალთ უფრო შორს და ყოველგვარ კავშირს გავსწყვეტთ მენშევიკურ პარტიასთან.

ეს მოწმობს იმას, რომ აგვისტოს გამოსვლების გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია მათთვის. ამან აიძულა მენშევიკების მომხრეები გადაესინჯათ ყველა თავისი პოზიციები.

აი რატომ უნდა მივაქციოთ ამას უდიდესი ყურადღება. იმ მუშების და გლეხების ახალ ჯგუფს, რომლებიც სტოვებენ პარტიას, გულწრფელად გამოდიან ჩვენსკენ და სურთ ჩვენთან მუშაობა, ჩვენ უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება, მათი ნაწილი ჩვენ უნდა მივიღოთ ჩვენს პარტიაში. უკვე არის პარტიის დადგენილება კიდევ 300 მუშის—ყოფილ მენშევიკის მიღების შესახებ. აქედან მეტი ნაწილი, 200 კაცზე მეტი, უწევს თბილისს, დანარჩენი ნაწილი კი სხვა ადგილებს—გურიას ბათომს და სხვ... ამით ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ახალ წრეებს შემოვიდენ ჩვენს პარტიაში. არ უნდა იყოს უნდობლობა მათ მიმართ. თავისთავად ცხადია, რომ ბოლშევიკები პარტიიდან გამოსულ მენშევიკებისადმი იჩენდენ ერთგვარ საღ უნდობლობას, ეს არის ბოლშევიკების კარგი თვისება და თავისებურობა, მაგრამ ამასთან ერთად მერყევ ელემენტებისადმი უნდობლობის გამოჩენასთან ერთად, ჩვენ არ უნდა ვიჩენდეთ უნდობლობას იმათ მიმართ, რომლებმაც საბოლოოდ ზურგი შეაქციეს მენშევიკურ პარტიას და გულწრფელად გადმოვიდენ ჩვენს მხარეზე, ვინაიდან ასეთი უნდობლობა ბევრს ჩამოგვაცილებს მხოლოდ. ჩვენში კი არის ასეთი განწყობილება. არ შეიძლება ერთი საზომით მივუდგეთ ყველას.

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მენშევიზმში მრავალია სახეები და ვარიაციები.

რასაკვირველია, ასეთ შემთხვევებში პარტიულებისათვის ძნელია გარკვევა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს წინაშე არსებული პოლიტიკური სიძნელენი და იმ მუშებს, რომლებიც გულწრფელად გამოდიან ჩვენსკენ, სულ სხვაგვარად უნდა მოვეპყრათ, მეგობრულად და ყურადღებით უნდა მივუდგეთ იმ მშრომელებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მოწინააღმდეგე ბანაკში იყვნენ, და კი არ უნდა ვკრათ მათ ხელი.

რაც შეეხება სხვა ელემენტებს, განსაკუთრებით ინტელიგენციას, აქ საჭირო იქნება უფრო მეტი სიფრთხილე. თავიანთ თეზისებში მენშევიკები სწერენ რომ კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა, როცა მათ სურთ ინტელიგენციის გამოყენება. დიახ, ეს ასეა საბჭოთა რუსეთშიაც და საბჭოთა საქართველოშიაც. საბჭოთა საქართველოში ჩვენ საკმაოდ ფრთხილად უნდა გავატაროთ ეს პოლიტიკა და ინტელიგენცია, რომელმაც პირი იბრუნა ჩვენსკენ, ჩვენ ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ ამ მხრივ ჩვენში რამოდენიმეთ სხვანაირი მდგომარეობაა, ვიდრე საბჭოთა რუსეთში.

მართალი იყო ამხ. **რიკოვი,** როცა ამას წინად მან სთქვა, რომ ინტელიგენცია ამჟამად სცნობს ოქტომბერსო. მაგრამ ასე თუ დავსვამთ საკითხს საქართველოში და ვკითხავთ: ურიგდება თუ არა ჩვენი ინტელიგენცია საქართველოს გასაბჭოებას, მივიღებთ ნაკლებად მანუგეშებელ პასუხს. ყოველ შემთხვევაში, ინტელიგენციის უმრავლესობა არ სცნობს ჩვენს გასაბჭოებას, მაშასადამე არ სცნობს ოქტომბერს.

მართალია, უკანასკნელ დროს აშკარად ვამჩნევთ ერთგვარ გადახრას და გარდატეხას საქართველოს ინტელიგენციის: მასწავლებლების, ექიმების და სხვ. რიგებში,—მათ შორის უკვე შესამჩნევია გადახრა. ასეთი განწყობილება ინტელიგენციის შორის ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ. აქ ასეთ ხელაღებით უნდობლობას ინტელიგენციისადმი და მის უარყოფას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს არ ვარგა. მთელი ქართველი ინტელიგენციის განხილვა, როგორც მთლიანად ჩვენი მოწინააღმდეგე ძალის,—არ არის სწორი და ეს იქნება პოლიტიკური შეცდომა. ასეთი მოვლენას კი ჩვენში ზოგჯერ ვამჩნევთ, მაგრამ ეს ხდება იმიტომ რომ ჩვენ შევეჩვიეთ ამას, რამდენადაც ჩვენ წინათ ვიჩენდით ასეთ კანონიერ უნდობლობას—და ინერციით ეხლაც დარჩა ის ჩვენში.

მაგრამ ინტელიგენციაში არიან ისეთი ელემენტები, რომელთაც ეხლავე სურთ ჩვენთან მუშაობა და როგორც ეტყობა, ეს სურვილი გულწრფელიც არის. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა სავსებით გამოვიყენოთ ისინი.

თუ განურჩევლად მოვეპყრობით ინტელიგენციას, მაშინ ეს გამოიწვევს იმ ნაწილის ჩამოშორებასაც, რომელსაც ჩვენთან სურს მუშაობა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრული ნდობით უნდა მოვეპყრათ ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელმაც შესწყვიტა ყოველგვარი იდეოლოგიური კავშირი საბჭოთა საწინააღმდეგო პარტიებთან ან თუნდაც სდგას სრულ ნეიტრალობის ნიადაგზე. ჩვენ უნდა ნამდვილის სიწმინდით დავიცვათ ბოლშევიკური პრინციპები და ამავე დროს ვაიძულოთ ინტელიგენცია—ემსახუროს რევოლიუციის საქმეს. აი ეს ამოცანა სდგას სწორეთ ჩვენ წინ.

უნდა ყოველნაირათ გამოვიყენოთ იმ ინტელიგენციის განწყობილება, რომელიც სცდილობს ჩვენთან გულწრფელ თანამშრომლობას.

იმ ინტელიგენციას კი, რომელიც თანაუგრძნობს სხვადასხვა ავანტიურას, ჩვენ მოვეპყრობით ისე, როგორც ამას გვკარნახებდა ამხ. ლენინი.

ის ამბობდა რუსეთის ასეთი ინტელიგენტების შესახებ შემდეგს:

„თქვენ არ მოგწონთ ჩვენი წესწყობილება და თქვენის აზრით კი, საზღვარ-გარეთ ყველაფერი საუცხოვოდ არის მოწყობილი? მაშ მიბრძანდით იქ, სადაც ბატონობს „დემოკრატია“, სადაც მოიძებნებიან თქვენი თანამოაზრეები, როგორც მაგალითად—მარტოვი, ჩერნოვი!“

ჩვენც ვეუბნებით ქართველ მებრძოლ ინტელიგენტებს: „თქვენ არ მოგწონთ საბჭოთა საქართველო?—არის პარიზი, არის ლონდონი, სტამბოლი. მიბრძანდით მაშ იქ და იმუშავეთ, როგორც გნებავთ. ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი არ გვექნება“.

მაგრამ სულ სხვაა ის ინტელიგენცია, რომელმაც ზურგი შეაქცია მენშევიკურ პარტიას და სურს ჩვენთან თანამშრომლობა. მას ჩვენ უნდა მოვეპყრათ უფრო სხვანაირათ და შევხვდეთ ასე თუ ისე მეგობრულად.

შეიძლება ჩვენთვის ცოტა სამძიმო იყოს ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ეს მაინც აუცილებლათ უნდა ჩავიდინოთ.

ჩვენ ეხლა ბევრ რამეს ვასწორებთ ვლაპარაკობთ ჩვენ შეცდომებზე და სრულიადაც არ გვეშინია ამ ხმამაღალი აღიარებისა. ცეკას პლენუმის ოქტომბრის მთელი სესია სულ ამ შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენას [illegible]. ამიტომაც ვართ ჩვენ რევოლიუციონერები, რომ დაუნდობარი კრიტიკა გაუწიოთ ჩვენ თავს. უკეთესია, ჩვენ თავს ჩვენვე გაუწიოთ კრიტიკა, ვიდრე ჩვენ გვაკრიტიკებდნენ სხვები.

ამ მოსაზრებით—საკითხი ინტელიგენციისა, საკითხი სოფლად ჩვენი მუშაობისა—ყველაფერი ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული წვრილ ბურჟუაზიულ მასსების ცხოვრებასთან. მათ აქვთ უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს დღევანდელ პირობებში. ჩვენ თავის დროზე მხედველობიდან გამოგვეპარა ერთი გარემოება: როცა ქალაქის მუშები სავსებით გამოვიზიდეთ ჩვენსკენ, მაშინ ჩვენ საჭირო ყურადღება ვერ მივაქციეთ სოფლის მშრომელ მასსებს. მენშევიკებმა კი, როგორც აღმოჩნდა, სოფელი გაიხადეს თავისი მუშაობის უმთავრეს ასპარეზათ. იქ მოკალათებულ მღვდლებსა და თავად აზნაურებს მენშევიკებიც კარგად უმშვენებდენ მხარს. ეს მენშევიკები 1905 წელში უარჰყოფდენ ღვდლებსა და მოითხოვდენ ეკლესიების დაკეტვას, ეხლა კი ისინი მოითხოვენ ეკლესიების ხელახლად გახსნას. და როცა ეკითხებიან, თუ რათ ჩადიან ამას, იგინი უპასუხებენ, რომ ყველაფერს სჩადიან საბჭოთა ხელისუფლების ჯიბრზე. ოღონდ კი რამენაირათ ებრძოლონ საბჭოთა ხელისუფლებას და ამის გულისთვის იგინი ახლათ აღიარებენ მღვდლებსაც და სარწმუნოებასაც. საქართველოს დღევანდელ პირობებში მენშევიზმი სახიფათო რამეს წარმოადგენს იმიტომ, რომ იგი სავსებით გადახლართა ნაციონალიზმს. იგი იქცევა მთელ შოვინისტურ მიმართულების გამომხატველათ.

მენშევიკების ახალი ტაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ შეეგუონ ახალ პირობებს და ამავე დროს უფრო განავითარონ ნაციონალიზმი. ეხლა იგინი სცდილობენ, ლეგალური საშუალებით აღადგინონ თავიანთი თავი და ამავე დროს არც თუ უარს ამბობენ არალეგალურ ბრძოლის საშუალებებზე, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს.

აი, აქ კი აშკარათ ირკვევა ამოცანა ჩვენი პარტიისთვის: სახელდობრ—ჩვენ უნდა დავიწყოთ გაძლიერებული ბრძოლა მენშევიკების ყოველგვარ პოზიციების წინააღმდეგ დაწყებული ნოე ჟორდანიას პოზიციიდან—დამთავრებული სეით დევდარიანისათი.

ამას კი ჩვენ მივაღწევთ მაშინ, როცა ჩვენ მხარეზე გადმოვიზიდავთ მთელ მუშათა კლასს, გლეხობის ფართე მასსებს და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს.

ჩვენ უნდა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ მენშევიკების ყოველგვარ ცდას, რომ აღდგენ იგივე ამა თუ იმ სახით.

საქართველოს პირობებში ჩვენი პარტიისათვის ეს არის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი, რომელიც სავსებით ჩამოყალიბებულ იქნა თბილისის უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე.

მიხ. კახიანი.

---

*) დასრული.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმ. [illegible]-განყოფილების ბიბლიოთეკა

კოოპერაცია

კოოპერაცია სიღნაღის მაზრაში 1924 წლის განმავლობაში

სიღნაღის მთლიანი კოოპერატივი. ამ კოოპერატივის სამოქმედო რაიონში შედის თვით ქ. სიღნაღი და მის გარშემო მდებარე ათი სოფელი.

რაიონში მცხოვრებთა რიცხვი უდრის 7000 კომლს, 34.000 სულს. საშუალოთ მთელ რაიონში თითო კომლმა კოოპერატივში ივაჭრა თვეში 27 მანეთი.

რაიონში თითქმის მთელი ვაჭრობა კოოპერატივის ხელშია.

ნაყიდია საქონელი: ცეკავშირიდან 58.400 მ., სახელმწიფო დაწესებულებიდან—82.600 მ., კერძო ბაზარზე—42.000 მ., სულ 193.000 მ.

დახარჯულია: ჯამაგირებზე—9.500 მან., მოსამსახურეთა დაზღვევაზე—2.100 მ., კულტურულ საქმიანობაზე—260 მ., საქონელზე ფასის დაწევა—9.140 მ., სულ—21.000 მან.

წევრთა რიცხვი ამჟამად უდრის—1386-ს.

ანაგის მთლიანი კოოპერატივი. წმინდა მოგება აქვს კოოპერატივს—3845 მ. 47 კ., ვალი 11.830 მ., საპაიო თანხა 400 მ. წევრთა რიცხვი 166 სული.

გურჯაანის მთლიანი კოოპერატივი ამის რაიონში 6 სოფელია. მცხოვრებთა რიცხვი 5000 კომლამდე და 16.000 სულამდეა. საწევრო და საპაიო თანხა უდრის 1.475 მ., ცეკავშირის ვალი 23.800 მ., სხვა დაწესებულების ვალი 9.100 მ.

კოოპერატივთან არსებობს საკრედიტო განყოფილება, რომელსაც ჰყავს 1020 წევრი, გაცემული აქვს კრედიტი 30.200 მ.

კულტურული საქმიანობისთვის დახარჯულია: გურჯაანის სახალხო სახლის აშენებაზე 1.000 მ., ღარიბ მოწაფეებს დახმარება—330 მ., შრომის სკოლას—200 მანეთი, დასასვენებელ სახლს—200 მ. სხვა და სხვა—270 მან. სულ 2.000 მან.

ლაგოდეხის კოოპერატივი. წევრთა რიცხვი—2.000 სული. თანხები: საწევრო—4.094 მ., ძირითადი—406 მან., გამოურკვეველი—1.000 მ., შენობის ფონდი—1.000 მ.; კოოპერატივთან არსებულ საკრედიტო განყოფილებას აქვს ფონდი 5.000 მან. ცეკავშირიდან მიღებული.

წითელწყაროს კოოპერატივი. მის რაიონში ითვლება 1.500 კომლი წმინდა მოგება აქვს 5.400 მ. ჰყავს 383 წევრი. აქვს საწევრო თანხა 725 მან., ძირითადი—1.136 მ., საპაიო ცეკავშირში—280 მ., ვალი ცეკავშირისა 6.514 მან. 13 კ. კულტურულ საქმეებს მოახმარა—450 მ.

მაჩხაანის კოოპერატივი. წევრთა რიცხვი 2.345 სული. 9 თვის წმინდა მოგება 2.000 მან. საწევრო თანხა—2.921 მ., ვალი ცეკავშირისა 12.000 მან. საკრედიტო განყოფილებაში წევრთა რიცხვი 160 სული, თანხა საწევრო 200 მ., ცეკავშირიდან მიღებულია 5.000 მ. ინახავს თავის ხარჯზე შრომის სკოლაში 26 ღარიბ მოწაფეს და აძლევს ჯამაგირს სამკითხველოს გამგეს.

ველისციხის კოოპერატივი. თანხები (საწევრო და საპაიო 5.041 მანეთი, ძირითადი—1.918 მანეთი, ვალი ცეკავშირისა—13.754 მანეთი; სხვადასხვა ვალები 1.710 მ., წმინდა მოგება ცხრა თვეში 4.000 მან. საკრედიტო განყოფილებაში საწევრო თანხა 175 მან., საპაიო 401 მან.

გარდა ამისა მთლიან კოოპერატივებს აქვთ მოწყობილი: სიღნაღისას—„წითელი სასადილო". ასეთივე სასადილოები აქვთ მოწყობილი წითელ წყაროს და ლაგოდეხის კოოპერატივებს. მაჩხაანის კოოპერატივს აქვს მოწყობილი სადაბალო და საბონდრო. ველისციხისას—ფ ჩეზის სახელოსნო და სახარაზო. კოოპერატივები ნასყიდობის ფასს თავის სასარგებლოდ ადებდენ უფრო ხშირად 8—10 პროცენტს, იშვიათად 11—15 პროცენტს.

წარმოკავშირის განყოფილება. იგი არსებობს 1 იანვრიდან. მიზნად აქვს დასახული გლეხის ნაწარმოების ბაზარზე გატანა და გასაღება. დაარსებულია 7 ამხანაგობა: 1. ლაგოდეხში „შველა" 680 წევრი; 2. ვარდისუბანში „სიმართლე" 440 წევრი; 3. წნორის წყალზე „კახეთის თამბაქო" მებამბეთა ამხანაგობანი; 4. წნორის წყალზე „ქიზიყის ბამბა"; 5. ლელიანში „გლეხის წინსვლა"; 6. ბაკურციხეში მეღორეთა ამხანაგობა „ოლე" და 7. სიღნაღში ამხანაგობა „თაფლის წყარო".

გარდა ამისა, წარმოკავშირის წევრები არიან მევენახეთა ამხანაგობები „კახეთი", „კავშირთ-კავშირი" და მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი".

წარმოკავშირმა დაარიგა მცხოვრებლებზე სამი ვაგონი შაბიამანი, ორი ვაგონი გოგირდი, რვა ვაგონი მარილი, ფართალი, შეკერილი ტანისამოსი, 300 ფუტკრის სკა, გუთნები და სხვა.

ამხანაგობებს შემოტანილი აქვთ წარმოკავშირში 18.000 ფუთი თამბაქო, 2000 ფუთი ბამბა. დამზადებულია ერთი ვაგონი არაყი, მზადდება კიდევ არაყი, თხილი, კაკალი, საკლავად საქონელი და სხვა.

მოსკოვში გადაგზავნილია კომუნალურ ბანკის სახელობაზე ოთხი ვაგონი თხილი.

„კახეთის" საზოგადოებას ჰყავს 650 წევრი. შეისყიდა გლეხობიდან 58.170 ვედრო ღვინო. დაურიგა გლეხებს 7500 ფუთი შაბიამანი, 2593 ფ. გოგირდი, 150 ფ. ეკლიანი მავთული აქვს ამერიკულ ვაზის სანერგე, დააზღვევა 400 წევრი სეტყვისაგან.

„კავშირთ-კავშირი". ჰყავს 500 წევრი. კავშირი აქვს გამბულთ 1.200 წევრთან.

სახალხო სამეურნეო ბანკი. აქვს გრძელვადიან სესხის გასაცემად თანხა 60.000 მან., მოკლევადიანისთვის 9.000 მან. სპეციალურ დანიშნულებისთვის გასაცემი თანხები: თამბაქოს დასამუშავებლად 10.000 მან., მევენახეობისათვის 30.000 მან., კოოპერატივებისათვის—59.000 მან., არაყის შესაძენად—33.000 მან. გაცემულ და გასაცემ თანხების მთელი ჯამი უდრის 300.000 მან.

წევრებისაგან შემოტანილი არის საწევრო 1716 მან. და საპაიო 10.688 მან.

ქიზიყის მოამბე.

მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები

(უძრავ ქონებათა სამმართველოს ცნობები)

სახლების მუნიციპალიზაციას მთავარ საფუძვლად დაედვა მშრომელი ხალხის საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელი საჭიროება.

აღმასკომმა მტკიცე საბინაო ტარიფის შექმნით ნიადაგი გამოაცალა მუშა-მოსამსახურის გამოსახლების შესაძლებლობას. შეამციროვა უკანასკნელ შესაძლებლობამდე განცხრომას ჩვეული ხალხი და ამ გზით განთავისუფლებული სივრცე იმავე მუშების განკარგულებაში გადასცა; მუნიციპალიზაციაქმნილი სახლებიდან გამოჰყო 185 საუკეთესო შენობა და მუშათა საბინაო კოოპერატივის სახით მუშა-მოსამსახურეთა სრულ სარგებლობაში გადასცა; არ დაერიდა შემოსავლის შემცირებას, და იმავე საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სასტუმროების მთელი რიგი გააუქმა და ისინი საცხოვრებელ ბინებათ გარდაქმნა. არის ამას გარდა სხვა 205 სახლი, რომლებსაც გამგებლობს უძრავ ქონებათა სამმართველო. უკანასკნელი აქაც მისდევს იმავე წესს, ემსახურება იმავე მუშის საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზანს. აღმასკომმა უყურადღებოდ არ დასტოვა არც პროლეტარული სტუდენტობა და მათს განკარგულებაში გადასცა სამი სახლი თავისივე ავეჯეულობით.

უძრავ ქონებათა სამმართველოს სახლები.

მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების რაოდენობა დღითი-დღე იზრდება და, ცხადია, ახლად მიღებულ სახლებში იგივე ჩვეულებრივი წესი იქნება დაცული და თითეული კერძო პირის ბინა [illegible] დაეთმობა.

უძრავ ქონებათა სამმართველოს აქვს სია, რომელშიც შედის: ნაციონალიზაცია-მუნიციპალიზაცია-კონფისკაციაქმნილ, ყოფილი საეკლესიო, ბეითალმანად და უპატრონოდ დარჩენილი სახლები. მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 860. აქედან, არის აღნიშნული, 205 სამმართველოს უშუალო გამგებლობაშია, 185 გადაეცა მუშათა საბინაო კოოპერატივს, 4—სომხეთის განათლების კომისარიატს, 69—ქალაქის განათლების განყოფილებას, 3—ყოფ. მეპატრონეთა სიცოცხლით სარგებლობაშია, 38—მოწყო საბინაო ამხანაგობა, 31—(სასტუმრო) გაცემულია იჯარით კერძო პირებზე, 34—უჭირავს სამხედრო უწყებას, სახლების დანარჩენი რაოდენობა გამოყენებულია ნაწილობრივ იმავე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებლად და ნაწილობრივ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანიზაციების საჭიროებისათვის. სახლების უკანასკნელი რაოდენობა საჭიროებს დამატებით გარკვევას. ამ ნიადაგზე უკვე შემდგარია სპეციალური კომისია, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციაქმნილ შენობებს.

მობინადრეთა ორი ჯგუფი

ზემოხსენებულ 205—სახლში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, სცხოვრობენ მუშა მოსამსახურენი, თითქმის უგამონაკლისოდ. მიუხედავად ამისა, მობინადრენი მაინც ორ ჯგუფად განიყოფებიან. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ხალხი, რომელთაც სავსებით შეგნებული აქვს სახალხო ქონების მნიშვნელობა, მისი ფასი; ეს ხალხი პირადი საკუთრების თვალით დასტრიალებს შენობას, არ კმაყოფილდება ტარიფით განაწესები მცირე საფასურით და სახლის მიმდინარე რემონტს, სხვა ხარჯს ნება-ყოფლობით უძღვის საკუთარი საშუალებიდან. მეორე ჯგუფი, პირიქით—ბოროტად იყენებს ყოველივე შეღავათს. უდიერად ეპყრობა შენობას, ავეჯეულობას, ითავსებს თავისთან კერძო პირს და მას თავის კმაყოფაზე ალიარებს, ქირის დაკლების მიზნით ამცირებს (ხელოვნურად) სივრცეს, აგვიანებს ან სრულიად არ იხდის ქირას და სხ. სამმართველო ასეთი დგმულების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს,—კერძო პირი ხშირად ახერხებს მუშა-მოსამსახურის ქურქში გახვევას და რამდენადაც უფრო დახელოვნებულია ის ამ ბოროტებაში, მით უფრო დაგვიანებით ხდება მისი ნამდვილი სახის გამოაშკარავება.

სახლების შემოსავალი

მდგმურების სახლისადმი კეთილსინდისიერ განწყობილებაზე, საერთოდ, დამოკიდებულია სახლის შემოსავალი. ა. წ. შემოსავალი შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

იანვარი—1.641 მან. 35 კაპ., თებერვალი—4.847 მ. 77 კ., მარტი—4.743 მ. 86 კ., აპრილი—6.664 მან, 75 კ., მაისი—9.474 მან 81 კაპ. ივნისი—14.373 მან. 73 კ., ივლისი—19.056 მ. 85 კ., აგვისტო—12.502 მან. 91 კ., სექტემბერი—21.887 მან. 60 კაპ.

დაწესებულებათა საბინაო ქირის საკითხი.

საკითხი მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში მოთავსებულ დაწესებულებების ქირის შესახებ უკანასკნელად მეტად მწვავედ წამოიჭრა. დღემდე დაწესებულებების მხოლოდ მცირედი ნაწილი იხდის ქირას, მხოლოდ უმეტესობა მტკიცე უარზე იდგა; მიუხედავად ამისა, სახლი საჭირო რემონტის მოხდენას დაჩქარებით მოითხოვდა, რაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა სამმართველოს. ცალკე მდგმურებით ჩასახლებული სახლის შემოსავალი გაჭირვებით უძლის მეეზოვეს, განათებას და სხვა მიმდინარე ხარჯს. ცხადია, ეს შემოსავალი ვერ დაფარავს თვით ამ სახლისათვის საჭირო რემონტის ხარჯს, მით უმეტეს ვერ გასწვდება სხვა სახლს. უკანასკნელის მთლიანად დაცვაც აუცილებელია და ეს გარემოება, სხვათა შორის, მიზეზი გახდა დაწესებულებების ქირის საკითხის ხელ-ახლა წამოჭრის,—დღემდე აღრიცხულ-აზომილია დაწესებულებათა მიერ დაკავებული სივრცის ერთი ნაწილი და მათი დავალიანება ა. წ. 1/11-მდე შეადგენს საკმაო დიდ თანხას და უკეთუ დაწესებულებები დროზედ შეეცდებიან ვალის გასტუმრებას, მით დიდ სამსახურს გაუწევენ როგორც საკუთარ თავს, ისე, საერთოდ, ყველა საბჭოთა სახლების ტეხნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პარტიული ცხოვრება

სოფლად მუშაობისათვის

სოფლის პარტ-უჯრედების გაფართოებულმა თათბირმა, სხვა საკითხებთან ერთად, წამოაყენა ქალთა შორის მუშაობის საკითხი.

ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტია ღარიბია ქალებით, განსაკუთრებით სოფლად.

„შეეფერება თუ არა რევოლიუციის ინტერესებს ის, რომ ჩვენს პარტიაში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მერვე წელიწადში, ასე მცირეა პარტიის წევრს ქალთა პროცენტი?"—კითხულობს ამხ. ზინოვიევი რ. კ. პ. ცეკას თათბირზე და უპასუხებს:—„არავითარ შემთხვევაში არა შეეფერება".

აი იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ასეთს მდგომარეობას, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სოფლათ პარტიის გავლენა მშრომელ ქალებზე, ჩვენ უნდა ჩავაბათ ისინი კულტურულ მუშაობაში, ქოხ-სამკითხველოებში, სამკითხველოების და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიებში, გავიყვანოთ საბჭოებში და, ერთი სიტყვით, მივცეთ მათ ფართე გასაქანი.

ადგილობრივმა უჯრედებმა უნდა დააყენოს თავის მფარველობის ქვეშ ოჯახში დაჩაგრული და კარჩაკეტილი ქალი. ქალთა განყოფილებები უნდა სცდილობდნენ ქალთა ცხოვრების პირობების ადგილებზე გამორკვევას, მის შესწავლას. უნდა ეწყობოდეს აგრეთვე ხშირ-ხშირად დელეგატ-ქალთა კრებები სოფლისა და მაზრის მასშტაბით, რათა შევსძლოთ სოფლათ ქალის გამოყვანა კარჩაკეტილი მდგომარეობიდან და შემდეგ, პირადი შერჩევით პარტიაშიაც გადაყვანა. ეს საჭიროა და აუცილებელიც.

ვერც მოწინავე უპარტიო გლეხობის და მშრომელი ინტელიგენციის გამოყენების საქმეა ჯეროვანად მოგვარებული. „საბჭოთა წესწყობილების განმტკიცება და ქვეყნის საერთო პოლიტიკური პირობები დაჟინებით მოითხოვენ ამჟამათ იმას, რომ **საბჭოებში ფართე გასაქანი მიეცეს თვით გლეხობის უშუალო თაოსნობას, უპარტიო გლეხები უფრო ფართოთ უნდა იქნენ ჩაბმული საბჭოების მთელ მუშაობაში**"-ო. ვკითხულობთ, ცეკას პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში.

რეზოლიუციის ეს მუხლი უნდა გატარებულ იქნას ცხოვრებაში, ყოველ-მიზეზს გარეშე.

აქ არ უნდა იქნას დავიწყებული არც ჩვენი სოფლის მშრომელი ინტელიგენცია. ადგილობრივი პარტ-უჯრედების საშუალებით ისინი უნდა გამოყენებულ იქნან ყველა ეკონომიურ და კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მაშასადამე, სოფლათ ქალის კარჩაკეტილობიდან გამოყვანა, მათი გათვითცნობიერება, სოფლის მშრომელი გლეხობისა და სოფლის მშრომელი ინტელიგენციის ამოძრავება დღეს ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანებია.

ვასო.

დელეგატ-ქალთა საზეიმო კრება თელავში

24 დეკემბერს პროფ-ბიუროს კლუბის დარბაზში მოხდა დელეგატ-ქალთა პირველი საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრენ დელეგატ-ქალების გარდა თელავის მშრომელ ქალთა დიდი უმრავლესობა და აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლნი.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა პარტკომის ქალთა განყ. გამგე ამხ. თამ. ცინცაძე, მდივნათ ნ. გოგოლაძე, მხოლოდ პრეზიდიუმში: ნ. მოსიაშვილი, ნ. სვიმონიშვილი, ნ. ჩოლოყაშვილი და ნ. მაყაშვილი.

პირველად კრებას მიესალმა პარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. გ. ელისაბედაშვილი, რომელიც ვრცლად შეეხო ქალთა მოძრაობის ისტორიას, შეადარა საბჭოთა რესპუბლიკებში ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებისას და ბოლოს მოუწოდა დელეგატ-ქალებს მომზადებულიყვნენ საბჭოთა აღმშენებლობაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებათ.

მოხსენების გამო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის მადლობას უძღვნის სამაზრო პარტკომს და იმედს გამოსთქვამს, რომ ის მომავალშიაც ხელს შეუწყობს დელეგატ-ქალების ნაყოფიერ მუშაობას.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. ან. შავლიაშვილმა, წითელარმიის დელეგატ-ქალებმა კოზლოვსკიმ და ზუბჩუკმა, მა[illegible] ქალთა სახელით თ. ვაჩნაძემ და ძველ დელეგატ-ქალთაგან შ. კაკაბაძემ.

ბოლოს კრებამ გამოჰყო კვირაში ერთი დღე დელეგატ-ქალთა კრების მოსაწყობად.

კრება გაიხსნა და გათავდა ინტერნაციონალის შესრულებით და ჩვენი დელეგატ-ქალები დაიშალნენ იმ რწმენით, რომ ასეთი კრებები იქნება მათთვის გზად და ხიდათ ძველიდან ახალ ცხოვრებისაკენ.

ვან—ლი.

პარტმუშაობა მილიციის კომუჯრედში

მილიციის კომუჯრედი აერთიანებს 36 წევრს, მათ შორის 3 კანდიდატია. ღია კრებებს ესწრება უპარტიოებიც 30 კაცამდე. კომუჯრედს ჰყავს საშეფო სოფელი, სადაც საშეფო კომისია აწარმოებს ენერგიულ მუშაობას.

26 დეკემბერს საღამოს 6 საათზე მოხდა ზემოხსენებული კომუჯრედის სხდომა, რასაც დაესწრო დიდი უმრავლესობა ამხანაგებისა, აგრეთვე უპარტიოებიც. დღის წესრიგში იდგა 3 საკითხი: კულტ-კომისიის, საშეფო კომისიის მოხსენება და ინფორმაციული მოხსენება სადელეგატო კრების შესახებ.

კულტ-მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კიღურაძემ და აღნიშნა, რომ კულტ-კომისიას აქვს მოწყობილი კულტ-კუთხე, სადაც მოიპოვება ყველა გაზეთები, არის წიგნები და სხვა, ამასთანავე დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, მაგ. პოლიტიკური, პროფესიონალური.

მილიციაში წერა-კითხვის უცოდინარი თითქმის სრულებით არ არის. ამ ჟამად არსებობს ორი სკოლა მცირე მცოდნე მილიციონერებისათვის. მატერიალურად კულტურული კომისია ძალიან სუსტია და საჭიროა რაიმე თანხის გამონახვა.

საშეფო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სარჯველაძემ. მან აღნიშნა, რომ კომუჯრედს ჰყავს აყვანილი საშეფოთ სოფელი ლისი. ამ სოფელში კომისიამ დააარსა სკოლა, სადაც სწავლობს დაახლოვებით 80 ბავშვი, მათ ეგზავნება სასწავლო ნივთები. დაარსებულია აგრეთვე სკოლა მოზრდილთათვის, კომისიამ ამასთანავე ერთად გამოიყვანა იქ წყალიც, თვით კომისია კი 15 დღეში ერთხელ მაინც მიდის სოფელში და აკეთებს სხვა და სხვა მოხსენებებს, მაგ. საერთაშორისო მდგომარეობის, რემედასის და სხვათა შესახებ.

კომისიამ სოფელში ერთხელ წაიღო მოძრავი კინო, რომლითაც ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა.

სადელეგატო კრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დანელიამ.

დაბოლოს იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებლებმა სათანადო პასუხი გასცეს.

მოხსენებები კომ-უჯრედმა დამაკმაყოფილებლად სცნო, მხოლოდ აღნიშნა ის გარემოება, რომ ვინაიდან კულტ-კომისია განიცდის მატერიალურად დიდ გაჭირვებას, აღიძრას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, აღმასკომის და საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წინაშე, რათა მათ აღმოუჩინონ მას სათანადო დახმარება.

პარტკორი **გრ. თალაკვაძე.**

პარტმუშაობა საგარეჯოში

(გარე კახეთი)

საგარეჯოს კომუჯრედის პ/მ. მდივნის ამხ. მიშა სადაგიშვილის ინიციატივით ამ ბოლო ხანებში გაცხოველებულ იქნა პარტიული მუშაობა.

თითქმის ყოველკვირეულად იმართება კომუჯრედის ღია კრებები, სადაც მრავალი უპარტიო გლეხობა და ინტელიგენცია ესწრობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მრავალრიცხოვან კრებებზე კეთდება ადგილობრივ დაწესებულებების სათავეში მდგომ პირების მიერ მოხსენებანი დაწესებულებების მუშაობის შესახებ და სხვა, რითაც საშუალება ეძლევათ მშრომელ გლეხობას უფრო ფართოთ გაეცნონ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობას.

გ. გარსიაშვილი.

ახალგაზრდა კომუნისტური გვარდია

ერთი წლის მუშაობის შედეგები

კვირას, 21 დეკემბერს თბ. 1-ლ ქიმიურ ტეხნიკუმში არსებულ კომკავშირის უჯრედმა გადიხადა თავისი არსებობის 1 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. მამაცაშვილმა, რის შემდეგაც უჯრედის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ე. მახარაძემ, რომელმაც გააცნო კრებას უჯრედის წარსული მუშაობა და შეეხო მომავალ ამოცანებს.

შემდეგ უჯრედს მიესალმენ მუშათა და წითელარმიელთა უჯრედების და უპარტიო ახალგაზრდობის წარმომადგენლები. კრება დამთავრდა ინტერნაციონალით [illegible]შით. [illegible], 3 სა

დაბოლოს წარმოდგენილი იქნა რევოლიუციონური პიესა „როს ნადიმობდნენ" მხატვრული აპოთეოზით და კომედია „უბედური დღე". ამ პიესებმა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვეს დამსწრე საზოგადოებაზე. საღამოს დაესწრო აუარებელი ხალხი.

ამ საღამოზე დამსწრე აშკარად ხედავდა იმ ერთსულოვნებას და ამხანაგურ დამოკიდებულებას, რომელიც დამყარებულია ამ ტეხნიკუმის უჯრედის და მოწაფეთა ფართე მასებს შორის.

საშურა წყალტუბელი.

სოციალიზმისკენ თუ კაპიტალიზმისაკენ?

წერილი მეორე*)

მარქსიზმის მთავარი დებულებაა ის, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი თითონ ამზადებს თავის წიაღში სოციალისტური აღმშენებლობის პირობებს. რუსეთში ეს დებულება უდავო იყო მარქსისტებისათვის. კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ—ასეთი იყო ხაზი პლეხანოვის და ლენინის, როცა ისინი ებრძოდენ ნაროდნიკებს. პლეხანოვს და ლენინს არ სწამდათ, რომ რუსეთი უკაპიტალიზმოთ გაივლის სოციალიზმში შესასვლელ გზას.

მაგრამ ისინი იყვნენ რევოლიუციონური მარქსისტები და არ ფიქრობდნენ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლა მოხდება ნელა ნელა, ბუნებრივათ და ხელგაუძრეველად.

პლეხანოვი სწერდა:—პოლიტიკური ძალა-უფლება იარაღია საწარმოო ურთიერთობის (производств. отношения) გარდასაქმნელად. ამ იარაღის მაგივრობას ვერ გასწევს ვერც ერთი სხვა იარაღი. როცა ამა თუ იმ კლას უნდა სოციალური რევოლიუცია, ის უილაჯოთ ეტანება პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. პროლეტარიატი ამ შემთხვევაში არ შეადგენს გამონაკლისს. თუ იმას უნდა თავიდან მოიშოროს კაპიტალისტურ წარმოებაზე აშენებული ურთიერთობა და აღარ იქნეს კაპიტალისტებისგან დამოკიდებული, იმისთვის აუცილებელია პოლიტიკური ძალა უფლება, სხვანაირად რომ ვსთქვათ, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა იყოს სოციალისტური რევოლიუციის პირველი ნაბიჯი. ამას არ დაეთანხმებიან ბ.ბ. ბერნშტეინები, და, რასაკვირველია, არც შეუძლიათ დაეთანხმონ. მაგრამ ეს უდავოა იმ სოციალ-დემოკრატისთვის, რომელსაც სწამს რევოლიუციონური დედააზრი თავისი პროგრამისა. **)

ეს იყო და არის მარქსისტული პროგრამა იმ ისტორიული ხანისთვის, როცა პროლეტარიატი ებრძვის ბურჟუაზიას, როცა კაპიტალიზმი უნდა გარდაიქმნას სოციალიზმათ. რუსეთში კი 1917 წელს საკითხი იდგა ბურჟუაზიული რევოლიუციის შესახებ. რუსეთში ჯერ გზა უნდა გაკაფულიყო კაპიტალისტური წარმოების წესს, ამ წარმოებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა უნდა განთავისუფლებულიყო ბატონყმური დროის ნაშთებიდან. შეიძლებოდა, დასაშვები იყო, თუ არა, რომ ბურჟუაზიული რევოლიუციის დროს მუშათა კლასის პარტიას ხელში აეღო პოლიტიკური ძალა-უფლება?

მოვიყვან ჯერ ერთს და შემდეგ მეორე ამონაწერს ენგელსის ნაწერებიდან.

—ყველაფერზე უარესი იქნება უკიდურესი პარტიის წინამძღოლისთვის, რომ ის იძულებული გახდეს ძალა-უფლება ჩაიგდოს ხელში იმ დროს, როცა მოძრაობა საკმაოთ მომწიფებული არ არის მისი წარმომადგენილი კლასის გასაბატონებლათ. მაშინ ის იძულებული გახდება მესვეური იქნეს არა თავისი პარტიის, არა თავისი კლასის, არამედ იმ კლასის, რომლის გასამეფებლადაც არის მოძრაობა მომწიფებული—ის იძულებული იქნება სწორეთ ამ მოძრაობის გულისთვის, მესვეურათ გაუხდეს სხვა კლასს. თავისი კლასისთვის კი აღარა დარჩება რა, დაპირებების მეტი, თავისი კლასი მხოლოდ იმაში უნდა არწმუნოს მაშინ, რომ სხვა კლასის ინტერესი იგივეა რაც მისი—ეს შენივე ინტერესია, უნდა არწმუნებდეს. ვინც ერთ ხელ ჩავარდება ამ მდგომარეობაში, ის დაიღუპება სამუდამოთ *).

აგერ მეორე ამონაწერიც: პრაქტიკულ საქმიანობაში ჩვენ ყოველთვის მოგვიხდება გაბედული და მოურიდებელი ნაბიჯების გადადგმა. ეს არის კიდეც ჩვენი უბედურება. ადვილათ შეიძლება, რომ ჩვენი პარტია როდისმე იძულებული შეიქნეს ძალა-უფლებას მოკიდოს ხელი. მეტი გზა არ ექნება. თუ სხვა პარტიებმა გამოიჩინეს სისუსტე, უილაჯობა, მაშინ ჩვენი პარტია განახორციელებს არა იმას, რაც მარტო ჩვენ კლასობრივ ინტერესს შეეფერება, ის იძულებული იქნება შეუდგეს იმის განხორციელებას, რაც იმავე დროს საერთო რევოლიუციონურ ინტერესს შეეფერება, რასაც კერძოთ მოითხოვს წვრილი ბურჟუაზიის ინტერესი.

ჩვენზე უთუოდ გავლენა ექნებათ პროლეტარულ წრეებს. ეს გავლენა ხელფეხს შეგვიკრავს და ამ წრეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ შევქმნით გეგმებს, მოვახდენთ კომუნისტურ ცდას, გავაკეთებთ ნახტომებს, თუმცა თითონვე გვეცოდინება, რომ ყოველივე ეს ნაადრევია... ასე დაგვემართება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია. აქ მე ვერ წარმომიდგენია სხვანაირათ. აქ არის მოწინავე პარტია და იმან უნდა ჩაიგდოს ხელში ძალა-უფლება, როგორც კი დადგება დიდი შეჯახების დრო და ნამდვილი განსაცდელის წინაშე ვიქნებით დამდგარიო *).

ამ ამონაწერში სულ ადვილათ შეიძლება გერმანიის მაგივრათ დასახელდეს რუსეთი და არც ერთი სხვა სიტყვა არ იქნება შესაცვლელი. 1917 წელს თებერვალში რუსეთში მოხდა რევოლიუცია, რომელსაც უნდა ძირიანათ დაენგრია ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები და გზა გაეკაფა საწარმოო ძალებისათვის; მოხდა, ერთი სიტყვით, ბურჟუაზიული რევოლიუცია. რუსეთის ბურჟუაზია გამოდგა სუსტი, უილაჯო. ის ვერ გაუძღვებოდა ბურჟუაზიულ რევოლიუციას. ბოლოს და ბოლოს უთუოთ დაიჯენდა თავზე ძველ ძალა-უფლებას, ან ისეთ თანხმობაში შევიდოდა იმასთან, რომ შეუძლებელი გახდებოდა წინსვლა.

ენგელსის ეს მეორე ამონაწერი ამართლებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ რუსეთის უკიდურესმა პარტიამ—ბოლშევიზმმა ხელში ჩაიგდო მაშინ ძალა-უფლება.

ახლა ყურს დავუგდებ რუსეთის მენშევიზმის ხელმძღვანელს მარტოვს. ის სწერდა 1904 წელს:—ბურჟუაზიული რევოლიუცია შესაძლებელი პერსპექტივა შეიქნა რუსეთში იმიტომ, რომ წოდებრივ-პოლიციური წესწყობილების წიაღში დაიბადა ბურჟუაზიის მომტრე პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობა... მომავალ ბურჟუაზიულ რევოლიუციაში მთავარი მამოძრავებელი ძალა ცენტრალური მოქმედი პირია პროლეტარიატი. იმას არ შეუძლია, რომ მოინდომოს კიდეც, რომ დააჯერონ შორსმხედველობას მოკლებულმა ხელმძღვანელებმა,—არ შეუძლია, არ მოუხერხდება, რომ შუა გზაზე შეჩერდეს და ბოლომდის არ დაანგრიოს ბურჟუაზიის წინა დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები. ის (პროლეტარიატი) ვერ დაუშვებს, რომ მოხდეს შეთანხმება-შერიგება ისტორიული წარსულის და ფეხადგმული მომავლის. ყოველივე ამისთანა შერიგება-კომპრომისი მოხდება თითონ პროლეტარიატის ხარჯზე; ეს იქნება შეკვეცა მისი პოლიტიკური უფლებების, ეს იქნება მისი ნივთიერი მდგომარეობის დაქვეითება. პროლეტარიატი ვერ გაუმკლავდება ისტორიულ პროცესს და არსებული წესწყობილების ნგრევაში ის ვერ გაჩერდება იქ, სადაც მოინდომებს გაჩერებას ესა თუ ის ფრთა ოპოზიციური ბურჟუაზიის. ის იღებს თავის თავზე ნგრევის მთავარ სიმძიმეს და რომ გაჩერდეს, ეს იქნება ნაბიჯი უკან, ყველა უფლებები დაკარგება მაშინ და გადაშენდება ქონებრივათ. გარეშე პირობების ძალა გამოვა—იცით, რომ პროლეტარიატი იძულებული გახდება შეეჯახოს ყოველნაირ ცდას რევოლიუციონური განვითარების შესაჩერებლათო. *)

სწორეთ ამისთანა გამოვიდა ოქტომბრის გზა. ოქტომბერი ან უნდა შეჩერებულიყო სადმე ძველის ნგრევაში, უნდა შესთანხმებოდა ისტორიულ წარსულს, ან უნდა გაევრძელებინა ეს ნგრევა, რომ ძველის დაბრუნებას აღარ ჰქონებოდა ნიადაგი არავითარი სახით. ოქტომბერი შეიქნა ისტორიულათ გვერდ აუვლელი, რომ ბურჟუაზიული რევოლიუცია მომხდარიყო რუსეთში, რომ ბურჟუაზიულ რევოლიუციას კომპრომისით არ გაეთავებინა საქმე წინა-დროის წესწყობილებასთან, როგორც გაათავეს ბურჟუაზიულმა რევოლიუციებმა ევროპაში.

—ბურჟუაზიული რევოლიუცია ვერ განვითარდებოდა, როცა არ იყო ფეხმოკიდებული ბურჟუაზიული კლასი,—ამბობს მესამე ინტერნაციონალის წევრი ცნობილი ეკონომისტი ვარგა. **)

ბურჟუაზიული რევოლიუციის განვითარება ნიშნავდა მსხვილი მრეწველობის თავისუფლათ ზრდას რუსეთში. უნდა მოცილებულიყო გზიდან ყოველივე ის სიძველე, რაც ხელს უშლიდა ამ ზრდას.

მაგრამ ოქტომბერს არ შეეძლო ისე შეეკავებინა თავი, რომ არაფერი მოენდომებია ბურჟუაზიულ რევოლიუციის გამარჯვების მეტი. ოქტომბერი გამოვიდა მუშა-გლეხთა დიქტატურის დროშით და (როგორც ენგელსი ამბობდა)—პროლეტარულ წრების გავლენით, მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ოქტომბერი ჰქმნიდა სოციალისტურ გეგმებს, ახდენდა კომუნისტურ ცდას, „თუმცა თითონვე ეცოდინებოდა, რომ ყოველივე ეს ნაადრევია"...

—როცა პროლეტარიატი ეჯახება მოწინააღმდეგეებს და ხელს უშლის რევოლიუციონური განვითარების შეჩერებას, მაშინო,—სწერდა მარტოვი იმავე წერილში,—თუ იმას მკაფიოთ არ ექნა შეგნებული თავისი ისტორიული დანიშნულება, უთუოდ შეეცდება ისტორიის გადაპიჯებას, შეტოპავს რევოლიუციონურ ოცნებებში (в революционную утопию) და ბურჟუაზიულ რევოლიუციას წაუყენებს განუხორციელებელ მოთხოვნებს. მაგრამ კლასობრივი თვითშეგნება რუსეთის პროლეტარიატს ხელს შეუწყობს, რომ თავიდან აიცილებინოს ასეთი ტრაგიკული დაბოლოვება იმის ბრძოლასო.

სამხედრო კომუნიზმის დროს მოსალოდნელი იყო ეს ტრაგიკული დაბოლოვება. ის პარტია, რომელიც ოქტომბერმა მართვა-გამგეობის სათავეში დააყენა, დაიღუპებოდა საბოლოოთ, რევოლიუციის საქმეც წაგებული იქნებოდა, რომ გაეგრძელებინა მაშინდელი ცდა სოციალიზმის განხორციელების. ლენინმა გადაარჩინა პარტიაც, რევოლიუციაც და სახელმწიფოც ახალი ეკონომიური პოლიტიკით.

იგივე მარტოვი უკვე საზღვარგარეთ თავის არალეგალურ ორგანოში (Социалистический Вестник) სწერდა, რომ ბოლშევიზმმა გავლილი აქვს მარქსისტული სკოლა და ამით აიხსნება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შეძლებით.

თუ კაპიტალიზმს არ მოამზადებინე ნიადაგი, თუ ისევე კაპიტალისტური ძალები არ გამოიყენე ისე სოციალისტურ აღმშენებლობას ვერ შეუდგები. ეს არის მარქსისტულ სკოლაში შეთვისებული აზრი და ეს დაუდო სარჩულათ თავის პოლიტიკას ლენინმა 1921 წელს.

ახლაც ბევრი ურევს ერთმანეთში კაპიტალიზმს, სახელმწიფო კაპიტალიზმს... ლენინისა აზრით, კერძო კაპიტალის შემოშვება, კერძო თაოსნობის განვითარება, კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება, ტეხნიკა, საქონლის ტრიალი თავისუფალ ბაზარზე მსხვილი მრეწველობა—ერთი სიტყვით კაპიტალიზმი უნდა ემორჩილებოდეს მუშა-გლეხურ სახელმწიფოს. ამას ჰქვიან ბოლშევიზმის ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში სახელმწიფო კაპიტალიზმი.—მსხვილი მრეწველობა ერთად-ერთი საძირკველი სოციალისტური ორგანიზაციისა,—ამბობდა ლენინი. სახელმწიფო კაპიტალიზმს ხელი უნდა შეეწყო მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის და ამით მოემზადებია ნიადაგი სოციალიზმისათვის.

1921 წლიდანვე რუსეთის ეკონომიკაში შეიქნა ბრძოლა. ლენინი ასე ახასიათებდა ამ ბრძოლას:—„კერძო ბაზარი ჩვენზე უფრო ღონიერი გამოდგა, გაჩაღდა ჩვეულებრივი ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა, ეცადეთ შეეგუოთ ამას, თორემ თავისუფალი ბაზრის ფულის ტრიალის სტიქია ჩაგიტანთ თან... ახლა უფრო ხანგრძლივი გზით, ვიდრე გვეგონა, უნდა შეუდგეთ ეკონომიური ცხოვრების აღდგენასო".*)

ლენინი მოუწოდებდა მაშინ ამიტომ—ისწავლეთ ვაჭრობა, რომ კერძო კაპიტალმა არ გვაჯობოსო.

ეს შიში—არ გვაჯობოსო, იყო საერთოთ იმ დროს მმართველი პარტიის წრეებში. მოსკოვის „Известия" სწერდა, მაგალითად:—ისეც ცხადი იყო, რომ ბურჟუაზია ისარგებლებდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის კარებით, შემოვიდოდა, როგორც თავის სახლში, მაგრამ ხდება რაღაც ნამეტანი და საშინელი... ოთხი წელიწადია მუშათა კლასის დიქტატურა მაგარი ხელით აჩერებდა მთელი წარსული ისტორიისგან დატოვებულ მისწრაფებებს და ახლა ქარიშხალის სიძლიერით შემოიჭრენ ეს მისწრაფებები. გაჩნდენ ერთბაშათ ბანკები, [illegible], თავისუფალი ვაჭრობა, [illegible], ბირჟა, სპეკულიაცია, ადიდდა წარსულის სუნი, დაგვეხვია თავბრუ. ბურჟუაზიას ჰგონია რომ იმის მეფობის დრო დადგა... ჩვენ ბევრს გზა დაგვებნა და ველარ უძლებენ ამ სტიქიურ მოწოლასო"*).

„Правда" უფრო იმედიანათ უყურებდა სინამდვილეს. არ ჰქონდა ამისთანა შიში:—არა ერთხელ გვითქვამს,—სწერდა, რომ ჩვენ გვჭირდება წარმოების მატება, რაც უნდა დაგვიჯდეს... ნაწარმოების რაც შეიძლება მეტი წილი ჩვენ გვინდა დღეს საწარმოო ძალების საზრდელათ, თუ ეს ასეა, და ეს უეჭველათ ასეა, მრეწველობაში უნდა მივიღოთ ერთი გადამწყვეტი გარემოება... გვირჩევნია გვქონდეს ფაბრიკა, ქარხანა, რომელიც გადაისვრის საძაგელ, გათახსირებულ თავისუფალ ბაზარზე 50 პროც. თავის ნაწარმოებისას და ამ ბრუნვით გაადიდებს თავის წარმოებას, შემატებს სახელმწიფოსაც, ვიდრე გვქონდეს ისეთი ფაბრიკა-ქარხანა, რომელიც კარგათ დაიცავს თავის ქალწულობას ბაზრის წინააღმდეგ და უნაყოფოთ იარსებებსო".**)

ზოგიერთები—მაგ. ლარინი—იმის მომხრე იყვნენ, რომ თავისუფალ საბაზრო საბრუნავათ გატანილიყო ხოლმე მარტო 12 პროც. ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოების. მმართველი პარტიის ცენტრალური ორგანო უარყოფდა ამნაირ სიქალწულეს, უფრო გაბედულათ უხედებოდა წინ თავისუფალ ბაზარს, და 50 პროც. გატანას სცნობდა საჭიროთ.

ასე იყო რუსეთის ეკონომიკაში 1921 წელს აქეთ. ჰქონდათ იმის შიში, რომ კაპიტალიზმი თავისთვის გამოიყენებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ხელში ჩაიგდებს მთელ მეურნეობას და მერე შექმნის თავის პოლიტიკურ ძალაუფლებასაც. ჰქონდათ იმის იმედიც, რომ [illegible]ნომიურ პოლიტიკასაც გამო[illegible] ნაციონალიზმი, კაპიტალისტებს [illegible] ყველაფერს, რაც საჭიროა სოციალისტური აღმშენებლობისთვის.

კაპიტალიზმის და სოციალიზმის ბრძოლა, რასაკვირველია, არ გათავებულა ჯერ საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილეში. ეს არის იმავე დროს ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზედაც. საბჭოთა რესპუბლიკებს საქმე გაუადვილდებათ, თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში დაიწყო სოციალისტური რევოლიუცია. მაშინ ნაკლები იქნება იმის შიში, რომ აქ კაპიტალიზმი თავისთვის გამოიყენებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას და ბურჟუაზიულ ძალაუფლებასაც შექმნის. თუ ათეული წლობით დაიგვიანა იქ სოციალისტურმა რევოლიუციამ, მაშინ აქ ნაკლები იქნება იმის იმედი, რომ სოციალიზმი თავისი აღმშენებლობისათვის გამოიყენებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას.

ავიღოთ ეს მეორე, უფრო ცუდი პერსპექტივა. ვსთქვათ, უახლოეს ისტორიულ ხანაში არ დაირღვა ევროპაში მყუდროება და არ მოხდა სოციალისტური რევოლიუცია. როგორი უნდა იყოს საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური ხაზი იმ ჯგუფების, წრეების, რომლებიც არ შედიან მმართველ პარტიაში და რომლებიც აზროვნობენ სოციალისტურათ, და ეკუთვნოდენ სოციალისტურ პარტიებს? უნდა იყონ იმის მომხრე, რომ მოხდეს დაბრუნება კაპიტალიზმისკენ და თუ კერძო კაპიტალი იფართოებს თავის ასპარეზს, ძალაუფლებაც კაპიტალის ხელში გადავიდესო? რუსეთში სოციალისტ-რევოლიუციონერები, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, უარს არ იტყვიან ძალაუფლების აღებაზე, თუ ჩამოვარდა ბოლშევიზმი. მაგრამ თუ თავისუფალი არჩევნებიდან გამოვიდა გადაბარა ან უფრო მარჯვნივ ან ისევ მარცხნივ ისინი ან ველა აიღებენ ძალა-უფლებაზე ან „დემოკრატიულ რესპუბლიკაში" მიმართავენ არადემოკრატიულ ზომებს, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება.

ამ მეორე შემთხვევაში გამოვა მიმგვანება იმისა, რაც გვაქვს ახლა, პირველ შემთხვევაში კი იქნება ის, რასაც ამბობდა მარტოვი თავის ახალ პლატფორმაში („Наша платформа")—მომზადება ნიადაგი თეთრი დიქტატურისთვის.

მე მირჩევნია ახლანდელი დიქტატურა,—იტყვის ყველა, ვისაც არ გაუწყვეტია კავშირი სოციალისტურ იდეოლოგიასთან. მაგრამ ისტორია არავის კითხავს, ვის რა ურჩევნია. ისტორიას თავისი კანონები აქვს, ახლანდელი დიქტატურა გასძლებს, რახანსაც უნდა დაიგვიანოს ევროპაში სოციალისტურმა რევოლიუციამ, თუ ამ დიქტატურის პირობებში ხელი არ შეეშლება მსხვილი მრეწველობის განვითარებას, საწარმოო ძალების ზრდას. ვერ გასძლებს ეს დიქტატურა, თუ ხელი შეეშალა ამ ზრდას და [illegible]. ისტორია თვითონ იზამს, რაც უნდა გვერჩიოს ჩვენ.

მმართველი პარტიის მოქნილობა სწორეთ იმაშია, რომ ის ადვილად უსწევს ეკონომიკაში სინამდვილეს და ახერხებს პოლიტიკის მიგვრა-მოხვრას. ჩვენ ვიცით მაგალითად რომ მეცამეტე ყრილობამ დაადგინა მთელი რიგი ზომების მიღება კერძო კაპიტალის წინააღმდეგ. მერე გამოჩნდა, რომ კოოპერაცია იმდენათ ვერ ასრულებს ჯერ თავის დანიშნულებას, და უკვე ისმის ხმა ისევ კერძო კაპიტალის სასარგებლოთ. ეკონომიური პრესა უკვე აყენებს საკითხს, რომ კერძო კაპიტალს მიეცეს მეტი გზა, ვიდრე ეძლეოდა მეცამეტე ყრილობის დადგენილებით.

ეს უკან დახევა უთუოთ დიდი ნაბიჯია წინ მსხვილი მრეწველობისაკენ, რომელიც, ლენინის სიტყვით, ერთად ერთი საფუძველი არის სოციალიზმის ორგანიზაციისა. შემდეგ წერილში ჩვენ დავხედავთ ფაქტებს და ციფრებს, თვალს გავადევნებთ კაპიტალისტური და სოციალისტური მიმართულების ბრძოლას საბჭოთა ეკონომიკაში. ჯერ კი გავათავებთ ენგელსის სიტყვებით: ... ის (რუსეთის რევოლიუცია) წააქეზებს, გამოიწვევს, ახალ საბაბათ გაუხდება ევროპის მუშათა მოძრაობას, უკეთეს პირობებს შეუქმნის ბრძოლისათვის, ამითი დააჩქარებს თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის გამარჯვებას, ურომლისოთაც დღევანდელი რუსეთი ვერ გამოვა ვერც თემური და ვერც კაპიტალისტური ურთიერთობიდან და ვერ გაიმარჯვებს სოციალისტური გარდაქმნის საქმეშიო". *)

ამას სწერდა ენგელსი რუსეთის შესახებ 1894 წელს, და ეს სავსებით ითქმება დღესაც. რუსეთში დაწყებული რევოლიუცია გზას გაიკაფავს სოციალიზმისკენ, თუ ევროპაში ამოძრავდება მუშათა კლასი სოციალიზმის განსახორციელებლათ.

ს. დევდარიანი.

---

*) გაგრძელება. იხ. „კომ". № 298

**) „Искра", 5 апр. 1905. Г. Плеханов. К вопросу о захвате власти".

*) „Искра" 3 марта, 1905 г.

*) Die Neue Zeit, 1906 წ. ენგელსის წერილი ვედემეიერთან.

*) „Искра" 1 დეკ. 1904 წ.

**) Коммунист. Интернационал, № 18 1922 წ.

*) „Правда", 248, 249, 1921 г.

*) „Известия", 14 დეკ. 1921 წ.

**) „Правда" 14 დეკ. 1921 წ.

*) Fr. Engels. Internationales aus dem Volksstaat—„Wachwort".

5 იანვარი

(მოგონება)

საქართველოს სოც.-დემოკრ. მენშევიკურ მთავრობის ისტორიის ფურცლებზე ბევრი შავი სტრიქონებია აღბეჭდილი.

მრავალ ღალატს, მრავალ ბარბაროსობას და სიმხეცეს ჰქონდა ადგილი, რამიშვილის „ოხრანკის“ აგენტები რა სისაძაგლეს არ სჩადიოდენ, ვერვინ მოსთვლის...

მაგრამ ისეთი არამზადობა, ისეთი თავხედობა რაც ჩაიდინა ნოე რამიშვილმა 5 იანვარს 1919 წ. ყველა საზღვარს გადააჭარბა.

გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, ერთის მხრივ მაუზერისტ ცოფიან დაშნაკელები და მეორეს მხრივ ქართველი „დაშნაკელები“, შოვინისტ-ავანტიურისტ-მენშევიკები ერთმანეთს შეეჯახენ... იღვრებოდა სისხლი, სისხლი ორ ძმათა შორის, რომლებსაც მრავალი საუკუნოების განმავლობაში ერთად უცხოვრიათ.

დღეს ამ კაციჭამია შოვინისტების მეოხებით იღვრებოდა სისხლი და ბატონი მენშევიკების ლიდერებიც ამას უყურებდენ ბუნებრივ მოვლენათ...

აშკარა იყო, რომ მათ დაჰგმეს მუშური საქმე, ფეხქვეშ გასთელეს ერთა სოლიდარობის დიადი პრინციპი და ნაცვლათ ლოზუნგისა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ დაისახეს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა ერთმანეთს შეესიეთო“.

ამ პოლიტიკის გამო იყო, რომ საქართველოში გამეფდა შური, ღვარძლი ერთა შორის, კაციჭამიაობა, რასაც შედეგათ მოჰყვა 1919 წ. 5 იანვარი.

ამ დღეს მთელ თბილისში გამეფებული იყო სომხების ჭერა, განურჩევლათ მათი სოციალური მდგომარეობისა, სახლიდან გარეთ გამოსვლა შეუძლებელი იყო, ქუჩებში თავისუფლათ დათარეშობდენ რამიშვილის ჟანდარმები და დაცინვის კილოთი ეკითხებოდენ მათთვის საეჭვო პირებს: „ტო, ხაის“? (ეი, სომეხი ხარ?) და ვაი იმას ვინც ქართულათ არ მიუგებდა პასუხს, მაშინვე „Особый отдел“-ში უკრავდენ თავს.

საბოლოოთ მოხდა ის, რომ უბრალო კურტნის მუშებით, წყლის მზიდავი ეგრედ წოდებულ „ჰამბალებით“ გაივსო „Особый отдел“-ის ყველა სარდაფები, იმ დროს, როცა ქალაქის სომეხი ჩარჩ-ვაჭრები, ბიუროკრატ-ჩინოვნიკები და მღვდელ-დიაკვნები თავისუფლად ვაჭრობდენ...

„ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“...

რამიშვილის „ოხრანშჩიკები“ და „ჟანდარმები“ ხომ დახელოვნებული მექრთამეები იყვნენ, მაშ მდიდრებს როგორღა გაუბედავდენ სარდაფებში ჩაბრძანებას, არა რომ ეს სარდაფები მათთვის არ იყო, არამედ იმ „დემოკრატიისთვის“, რომლის სახელით ყველა გზა-ჯვარედინზე ფიცულობდენ.

აი ამ დროს იყო, რომ ნ. ჟორდანიამ „განსაკუთრებული ბარათი“ გაუგზავნა სახლში ერთ თავის „გულითად ამხანაგს“ არშაკ ზურაბოვს, რითაც მას ნება ეძლეოდა თავისუფალი ცხოვრებისა.

მაგრამ, დახე უბედურებას, არშაკ ზურაბოვი იმდენათ „თავხედი“ გამოდგა, რომ „თავისუფლების ბარათი“ ნ. ჟორდანიას თავზე გადაახია.

რაღა დარჩენოდა მის მთავრობას თუ არა ასეთი თავხედი პიროვნების ალაგმვა და მართლაც, მთავრობის დადგენილებით იგი გაძევებულ იქნა საქართველოს საზღვრებიდან. არშაკ ზურაბოვი (მეორე სახელმწიფოს სათათბიროში თბილისის დეპუტატი) იძულებული იყო გადასახლებულიყო სომხეთში, სადაც ავათ გახდა და გარდაიცვალა კიდეც.

ზიზღი და კრულვა 5 იანვარის გმირებს!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!

ყოფ. მენშევიკი ივ. დავითიანი.

ქ. თელავი, 2 იანვარი.

მელითონეთა ყრილობა

30 დეკემბერი, საღამოს სხდომა

მოსმენილ იქნა თეზისები მომავალი მუშაობის შესახებ საორგანიზაციო, სატარიფო-ეკონომიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგებში. ცვლილების შეტანის შემდეგ ყრილობა მცირე შესწორებებით ამტკიცებს წარმოდგენილ თეზისებს.

31 დეკემბერი, დილის სხდომა

დილის სხდომაზე მუშათა კოოპერაციის მოქმედების შესახებ მოხსენებას კითხულობს ამხ. ანინი, რომელიც მიმოიხილავს რა მუშათა კოოპერაციის საქმიანობას, აღნიშნავს მის წარმატებას, როგორც წევრთა გადიდების, ისე ნივთიერი მოღონიერების მხრივ.

უკანასკნელი სხდომა

პიონერების მისალმება.

ყრილობის სხდომის გახსნისას, დარბაზში შემოდიან ახალგაზრდა მელითონე-პიონერები, რომელნიც მხურვალეთ მიესალმებიან დელეგატებს. საპასუხო სიტყვას ეუბნება ამხ. მაჩაიძე, რომელმაც სიტყვის დამთავრების შემდეგ გადასცა დროშა შემდეგი წარწერით: „მუშათა კლასის ბრძოლისათვის, იყავით მზათ ახალგაზრდა მელითონე პიონერებო“.

რეზოლიუციების მიღება.

შემდეგ ყრილობა იღებს რეზოლიუციებს გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო.

არჩევნები.

ყველა საკითხების ამოწურვის შემდეგ ყრილობა შეუდგა არჩევნებს. არჩეულ იქნა კავშირის ცენტ. გამგეობა 15 წევრისა და 5 კანდიდატისაგან, სარევიზიო კომისია 3 წევრისა და 2 კანდიდატისაგან.

ყრილობამ გამოჰყო აგრეთვე ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმი შემდეგ ამხანაგთა შემადგენლობით: მაჩაიძე, პრეობრაჟენსკი, ანიშვილი, დავიდოვი და ვ. ტიარკანი.

კავშირის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მაჩაიძე.

მდგომარეობა ზემო-ავჭალაში

არაჩვეულებრივმა ყინვებმა რამოდენიმედ შეაჩერეს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის სამუშაოები.

როგორც ყველგან, ისე ამ სადგურის სამშენებლო რაიონში მოსთოვა და დაიჭირა მძაფრი ყინვები.

27 დეკემბრიდან ყინვა დღითი-დღე მატულობს და ზოგჯერ იგი აღწევს 15 გრადუს ნულს ქვევით.

ასეთი საშინელ ყინვების გამო ფიზიკურად შეუძლებელი ხდება მუშაობა, ხოლო ზოგიერთ სამუშაოთა შესრულება ტეხნიკურად საზიანოა ასეთ ამინდში (მაგ. დატინომება).

სრულიად შეწყვეტილია მიწის და კლდის სამუშაოები, რომლიდგანაც მუშების უმრავლესობა განთავისუფლებულია ნორმალურ მდგომარეობის აღდგენამდე.

გლეხები, რომელიც მიწის და კლდის სამუშაოებზე იყვნენ მოსულნი ახლო-მახლო სოფლებიდან, დროებით შინ დაბრუნდენ. მექანიკურ სახელოსნოებში მუშაობა ჩვეულებრივი ტემპით მიმდინარეობს.

ასეთივე მდგომარეობაშია სამუშაოები რომელიც დაკავშირებულია ელექტრო-ენერგიის გამოყენებასთან.

არ შეწყვეტილა აგრეთვე მუშაობა მთავარი სადგურის ასაგებად ადგილზე.

ზემო-ავჭალაში ამ ჟამად მომუშავე მუშები სურსათით სავსებით უზრუნველყოფილნი არიან.

საამშენებლო მასალის მომარაგებაც სწარმოებს სრულიად დაუბრკოლებლად.

მიღებულია ზომები, რომ ამინდის გამოცვლისთანავე ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის საამშენებლო მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

6 იანვარი სამუშაო დღეა

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლისა და საქართველოს შრომ. სახ. კომისარიატის და საქ. პროფკავშირთა საბჭოს მიერ „რევოლიუციონური უქმეების და დასვენების დღეების შესახებ“ ივნისის 14-ს თარიღით და 19 №-ით გამოცემული დადგენილების აღსასრულებლად, საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ 1925 წლის იანვრის 6-ი სამუშაო დღეა.

საქ. შრომ. სახ. კომისარი ა. მიქაძე.

საერთო.-საორგ. გან. გამგე ვ. კვირიკაშვილი.

შეთანხმებულია, საქ. პროფკავ. საბჭოს მდივანი ყურულაშვილი.

ქრონიკა

— **სესხი.** სასოფლო-სამ. ბანკთან 2 იანვარს შემდგარმა თათბირმა გამოიმუშავა გეგმა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათათვის სესხის მიცემის შესახებ.

— **შაბიამანის მიღება.** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან საქართველოსთვის მიიღო 40 ათასი ფუთი შაბიამანი.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საქართველოსთვის საზღვარგარეთ შეუკვეთა 350 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

— **უმუშევრები თბილისში.** 1 იანვრისათვის თბილისში აღრიცხულია 11,849 უმუშევარი.

— **მუშათა სასახლეში.** 5 იანვარს საღამოს შესდგება საექსპერტო კომისიის სხდომა კვალიფიციურ ბუღალტერების და მოანგარიშეთა ცოდნის შესამოწმებლად.

— **სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.** ამჟამად წარმოკავშირი აერთიანებს 97 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას, რომლებშიაც ირიცხებიან 19,413 მეურნე გლეხები.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** გონებრივ და კანტორის მომუშავეთა საშუამავლო ბიურო ახალ ნომრების მისაღებათ 5 იანვრისათვის იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევრებს: კანტორის მოხელეებს, ინსპექტორებს, ინსტრუქტორებს, იურისტებს, ექსპედიტორებს, ხაზინადრებს, ტელეგრაფისტებს, სტატისტიკოსებს და სტენოგრაფისტებს.

— **სურამის სულით** ავადმყოფთა თავშესაფარში ამჟამად ირიცხება 100 ავადმყოფი, ხოლო თბილისსაში—98.

— **თვალის მკურნალობის** გასაუმჯობესებლათ ჯანსახკომი საზღვარგარეთ იძენს თვალის სამკურნალო იარაღებს უკანასკნელ ტეხნიკით დამზადებულო.

შემთხვევები

— ცეცხლი. 2 იანვარს, დღით სპიონინის ქუჩა № 11, მოქ. სტეფანე აველისოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

— გაყინვა. 1 იანვარს ღამით გაყინა ვლადიმერის ქუჩა № 44 აგურხანაში ღამის გასათევად მისული უცნობი ევგენია მიროპოლსკაია. გვამი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

— ესეც ახალი წელი. ახალ წლისათვის შეკრებილი აისორები (ვლადიმერის ქ.) დაახლოვებით 40 კაცი სიმთვრალის გამო დაერიენ ერთმანეთს. საშინელ ხელჩართულ ჩხუბის შემდეგ აღმოჩნდა მრავალი დაჭრილი და დასახიჩრებული.

— დაჭრა. 2 იანვარს, ჩხუბის დროს ვლადიმირის ქუჩაზე გაბრიელ პეტროსიანმა რევოლვერით დასჭრა მოქ. დავით ძამიევი. დამნაშავე შეიპყრეს.

— ამავე დღეს, გარდისუბნის ქუჩაზე მოქ. ნესტორ ლოლუამ რევოლვერით დასჭრა მოქ. გიორგი ზაალიშვილი. დამნაშავე შეიპყრეს.

— ქურდობა. 2 იანვარს, საღამოს პანასეჟის ქ. № 28, მოქ. გ. კალანტაროვის ბინიდან მოიპარეს 55 მ. ნივთები.

— ამავე დღეს, საღამოს პლეხანოვის პრ. № 7 მოქ. კარპოვის ეზოდან მოიპარეს გადაფენილი სარეცხი 100 მან.

— ქურდი მეკვლე. 1 იანვარს დილით ვლადიმერის ქუჩაზე (უნომრო სახლია) მოქ. ანასტასია კლეჩატოვას სამზარეულოდან მოიპარეს 1 ჩასაცმელი [illegible] და 4 დაკლული ქათამი. ქურდი მიიმალა.

— ქურდობა. 3 იანვარს, დღის 3 საათზე, ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში იურისკონსულტს მოპარეს „შუბა“.

მუშათა ცხოვრება

ისევ ლევან შოტნიევის შესახებ

(მთავრობის საქმეთა მმართველობის საყურადღებოთ).

10 დეკემბრის და 1 იანვრის „კომუნისტი“-ს ნომრებში ჩვენ ვსწერდით ლევან შოტნიევის შესახებ. რაკი მთავრობის საქმეთა მმართველობამ და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანეს ჟანდარმერიის ყოფილი თანამშრომელი და ნამესტნიკის მარჯვენა ხელი,—ჩვენ იძულებული ვიყავით მივმართოთ პროკურატურის და მუშგლეხინსპექციისათვის, რომლებიც, ალბად, სათანადო ნაბიჯს გადასდგამენ.

ამჟამად ლევან შოტნიევი განაგრძობს სამსახურს შინ. საქ. სახ. კომისარიატში, რაც ყოვლად დაუშვებელია; ამავე დროს მას 8 ოთახიან ბინიდან „ჩამოართვეს“ მხოლოდ ერთი პატარა ოთახი. რას ნიშნავს ეს? მუშები ისევ პადვლებში არიან, ხოლო ლევან შოტნიევი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს მთავრობის სახლთან (ყოფ. კადეტის კორპ.) [illegible] ვეებერთელა ბინაში.

მუშების სამასხროდ აგდებას არავის ვაპატიებთ.

გააგდეთ, გააძევეთ ლევან შოტნიევი არა მარტო სახელმწიფო ბინიდან, არამედ სამსახურიდანაც.

ველით გადაჭრილ პასუხს.

მუშკორი **ძველი.**

ექიმი ასეთი უნდა

აღმასკომის წყალსადენის სახელოსნოში—უკვე სამი წელია, რაც არსებობს ამბულატორია. ამ ხნის განმავლობაში მრავალი ექიმი გამოიცვალა, მაგრამ ისეთი კეთილ-სინდისიერი და მოყვარული მუშებისა არც ერთი ექიმი არ ყოფილა, როგორიც არის ექიმი **ამხ. თამიროვი.** ის ყველას უყვარს. წყალსადენში არ არის არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელიც უაღრესად კმაყოფილი არ იყოს ამხ. **თამიროვის** მოპყრობით და ექიმობით.

ამიტომ წყალსადენის ადგილკომი მუშა-მოსამსახურეთა სახელით მადლობას უცხადებს ამხ. თამიროვს მისი დაუღალავი და კეთილ-სინდისიერი მუშაობისათვის.

თბილ. აღმ. წყალსადენის ადგილკომი.

მიაქციეთ ყურადღება

(ჩვენი სენაკელი მუშკორისაგან.)

ქ. სენაკში არის სამაღმასკომის სტამბა. სტამბა უკანასკნელ დროს მოიწყო კარგად. აქ მუშაობს სამი მუშა: ერთი გამგე და ორი ასოთამწყობი. საქმე ამ სტამბაში ყოველთვის არის. ხშირად სტამბის მუშებს უხდებათ მუშაობა არა რვა საათი, არამედ მეტიც, როდესაც ამას მოითხოვს საქმის საჭიროება.

მე მინდა მივაქციო ყურადღება სტამბის მუშების მცირე ხელფასს. ვინ არ იცის, თუ რა ძნელია სტამბაში მუშაობა. ეს ისეთი სამუშაოა, სადაც ხშირად ავადმყოფდება ადამიანი. მაშინ, როდესაც სტამბის გამგეს 11 წლის სტაჟი აქვს და ამასთანავე ის ასრულებს ბევრ ისეთ საქმეებს სტამბაში, რაც მის მოვალეობას არ შეადგენს, ის ღებულობს ხელფასს მე-9 ხარისხით 24 მ. 30 კ., ხოლო ორი დანარჩენი ასოთ-ამწყობნი იღებენ ხელფასს მე-6 ხარისხით—18 მ. 20 კაპ. რომ ავიღოთ სხვა ქალაქებისა და მაზრების სტამბის მუშების ხელფასი—ეს ხელფასი ძალიან მცირე მოგვეჩვენება. ამავე დროს ეს მუშები ჩამორჩენილნი არიან ყოველგვარ კულტურულ მუშაობას თავის პროფესიის დარგში და მათ არ აქვთ არავითარი კავშირი ამ დარგის მუშების პროფკავშირთან. ბეჭდვითი კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ უნდა მიაქციოს ამ მდგომარეობას ყურადღება, გამოარკვიოს მათი ხელფასის რაოდენობა და ჩააბას ეს მუშებიც საერთო პროფმოძრაობაში.

მუშკორი—**ბ. უჩანეიშვილი.**

მოსალოდნელ ხანძრის წინაშე

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

(საჭიროა ყურადღება და სიფრთხილე). რუსთაველის პროსპ. № 19 საბჭოთა სახლში მოთავსებულია პირველ სართულში რუსეთის ელექტრო-მექანიკური საწყობის განყოფილება (Э.Т.Ц.Р.). ერთ-ერთ ამის ოთახიდან გარეთ გაყვანილია ღუმელის მილი. უკანასკნელი მიმაგრებულია გარედ სახლის ხის სვეტთან. ეს მილი აქვე თავდება. როდესაც ღუმელს ახურებენ შეხედებით საშიშ მდგომარეობას. ბოლი ისე ეხვევა ამ სვეტს, რომ გეგონება, აი ესაა, ცეცხლი მოეკიდაო. რადგან მილი მოკლეა, მილიდან ნაცეცხლიც გამოდის და მოსალოდნელია ასეთი გაუფრთხილობით ცეცხლი გაუჩნდეს სახლს, აქედან კი გადაედოს მთელ აივანს, რომელიც ფიჭვის ხისაგანაა ნაშენი.

საჭიროა დაუყოვნებლივ ყურადღების მიქცევა.

გამვლელი—ყაზბეგელი.

მისაბაძი მაგალითი

პლეხანოვის სახლობის კლუბის ქართული დრამატიული წრის წევრმა ამხ. **ნადია ჯეირანიშვილმა** შეიტანა განცხადება კლუბის გამგეობაში, რათა მისი კუთვნილი ჯილდო თვეში **ათი მანეთი** იქნეს ყოველთვიურად გადადებული ამავე კლუბთან არსებულ „**ლენინის კუთხის**“-თვის ლენინის ლიტერატურის შესაძენად. ამხ. ჯეირანიშვილის განცხადება განიხილა კლუბის გამგეობამ და დაადგინა: „ამხ. ნადიას გამოუცხადოს ღრმესი მადლობა და მისი გვარი იქნეს აღნიშნული „წითელ დაფაზე“, რომელიც იქნება დაარსებული ლენინის კუთხესთან“.

ამხ. ნ. ჯეირანიშვილი ენერგიული მუშაა მუშური სცენისა. ის სცდილობს გაავრცელოს ლენინის ლიტერატურა მუშათა წრეში.

მადლობა ასეთ უანგარო მუშაქალს!

მუშკორი **განა.**

ფაბრიკა-ქარხნებში

ცეცხამირის კერამიკული ქარხანა.

ქარხანაში სწარმოებს დამზადება ჭურჭლეულისა და ელექტრონის დენის შემწყვეტის—(ვიკლიუჩატელი).

თვიურად ქარხანაში მზადდება თიხის ჭიქებიდან დიდ ქილებამდე 3,000 ცალი წონით 1 ფუთი, „ვიკლიუჩატელებს“ 10—13,000 ცალამდე თვეში. ამ ჟამად „ვიკლიუჩატელები“ აღარ მზადდება, ვინაიდან ბევრი არის დამზადებული, რომელიც ჯერ გაუსაღებელია.

დაკვეთები.

სომხეთის სააფთიაქო სამმართველოდან მიღებულია დაკვეთა 300 მანეთის, დიდსა და პატარა ზომის ქილებზე, აფთიაქის საჭიროებისათვის. ქალაქის აღმასკომის სააფთიაქო სამმართველომ ჩაიბარა ერთი პარტია სააფთიაქო ქილებისა და ეხლაც მისცა ახალი შეკვეთა.

რეალიზაცია.

საქონლის რეალიზაციას ქარხანა თვით აწარმოებს ადგილობრივ ქარხანაში, სააფთიაქო საწყობების, კოოპერატიულ ორგანიზაციების და კერძო პირთა საშუალებით. მოდიან მუშტრები აგრეთვე სომხეთიდან და აზერბეიჯანიდანაც. **ცეკავშირი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს** ამ რეალიზაციაში.

ნედლეული.

დასამუშავებელ თიხას ღებულობენ ქილებისათვის მდინარე „ვერიდან“ და ელექტრონის არმატურისათვის ძირულიდან. „ვერის“ თიხა ღირს ფუთი 8-10 კაპ., ძირულისა კი—70 კაპ. ჩამოტანით.

დაბრკოლება

ნედლეულის მასალის (თიხის) მხრივ ქარხანას არ ხვდება, მხოლოდ რაც შეეხება სხვა მასალას, როგორც მაგ. ტყვია, შაბი და სხვა, რომელიც საჭიროა ამ წარმოებისათვის,—ნაკლებად მოეპოება მას.

წარმოება უმთავრესად, შინა-მრეწველობის ხასიათისაა, ნაწილი როგორც მაგ. ჭურჭლის გალამაზება-გათლა და „გლაზურის“ (საღებავი ნივთიერება) დაფქვა მექანიკურად სწარმოებს, რისთვისაც მუშაობს ელექტრონის მამოძრავებელი.

მუშკორი **ტონკა.**

მართალს სწერენ ჩვენი მუშები.

სასადილო დაკეტეთ.

„კომუნისტი“-ს № 256-ში მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით, „**მუშათა მახე უნდა მოსპოთ**“, რომლის ცნობით გორის ქუჩაზე მდებარე სასადილოს პატრონი აბაშიძე ტყავს აძრობდა მუშა-მოსამსახურეთ გაცნობებთ, რომ როგორც ამას კვლევა-ძიება აშკარავებს, **წერილის შინაარსი სინამდვილით დადასტურდა.** ამ ჟამად ხსენებული სასადილო დაბეჭდილია და ჩაბარდა აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს.

წყლის ფული ყველამ უნდა გადაიხადოს.

„კომუნისტი“-ს № 250-ში მოთავსებული წერილის სათაურით: „**წყლის საკითხი კიდევ ვერაა მოგვარებული**“ შესახებ გაცნობებთ, რომ ეს საკითხი მცხოვრებლების შინაურ საქმეს შეადგენს, რომელშიაც ჩვენ არ გვაქვს უფლება, ჩავერიოთ და მასთან არც საჭიროება მოითხოვს ვინმე ჩარევას ამისთანა საქმეში. ჩვენ გვაქვს მხოლოდ საქმე სახლის პატრონთან ან და მათი რწმუნებულთან. იმ შემთხვევაში კი, თუ რომელიმე პირს არ სურს ხოლმე წყლის ფულის გადახდა, მაშინ ჩვენ ვეხმარებით მილიციის საშუალებით და ვარდევინებთ ადმინისტრაციულ-წესით წყლის ფულს იმ ბინით, რომელნიც ნებაყოფლობით არ იხდიან.

საინფორმაციო მაგიდის გამგე: **ვარდოსანიძე.**

მოგვეცით სათეატრო ბილეთები.

(უზნის პროფკავშირის საყურადღებოდ.)

თეატრის და კინოების ბილეთები თითქმის ყველა დაწესებულებებს ურიგდება. რკინის-გზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებისათვის კი სრულიად არავის გამოუგზავნია ასეთები. საჭიროა, მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას, რათა რკინის გზის სამმართველოს მოსამსახურეები თვეში ერთხელ მაინც დაესწრონ ოპერას და დრამას.

მუშკორი **ტაბაკინელი.**

გამოასწორეთ ეს საქმე.

(დაზღვევის სალაროს საყურადღებოდ).

20 დეკემბერს მე მივმართე ტრამვაის ამბულატორიას ორდერის მისაღებად, რადგანაც ბავშვი ავად მყავდა და მინდოდა ექიმი სახლში მომეწვია. მოვსთხოვე ორდერების დამწერ ქალს, რომ მოეცა ჩემთვის ექიმ შახდინაროვი, რომელსაც არა ერთხელ განუკურნავს ჩემი ოჯახის წევრები. მაგრამ ამაზე მე უარი მითხრეს და სამაგიეროდ მიმიწერეს პატივცემულ ექიმ თოხაძესთან. მივიტანე სახლში ორდერი და რადგანაც ექიმი ამ დროს სახლში არ დამიხვდა, ამიტომ მინდოდა ორდერი იქ დამეტოვებინა. მაგრამ აქ აღმოჩნდა ვიღაც ახალგაზრდა, რომელმაც კატეგორიული უარი მითხრა ორდერის მიღებაზე იმ მოსაზრებით, რომ მერვე რაიონი არ ეკუთვნოდა ექიმ თოხაძეს. მე ამას ცოტა ეჭვის თვალით შევხედე, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ეს რაიონი არ ეკუთვნოდა ხსენებულ ექიმს, რათ მიმიწერეს ამბულატორიიდან. ამ მოსაზრებით მე იძულებული ვიყავი, რომ ორდერი მიეღოთ და იგი ძალად მივაგდე და წამოველი. მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებული რაიონი მართლადაც არ ეკუთვნოდა ექიმ თოხაძეს, რაც მ.-ნ დაამტკიცა (ცირკულიარი № 213-ით 1924 წ. 16 ოქტომბრის), მაგრამ მაინც საღამოს 10 საათზე მოვიდა და გასინჯა ბავში, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნი მას. იმ მოხელეებს კი, რომელნიც განზრახ გვიბნევენ საქმეს, რკინის ცოცხი უნდა მოხვდეთ.

მუშკორი **ალ. ზ—შვილი.**

მუშკოოპის დუქანი № 23

ვორონცოვის ქუჩაზე, № 1, გამსახლის ახლო, არის მუშკოოპის დუქანი. მის ვაჭრობა-წარმოებაში არ არის არავითარი ნაკლი. მას მოეპოვება დუქანში ყოველგვარი პირველ მოთხოვნილების საქონელი, ის დიდ დახმარებას უწევს ახლო-მახლო დაწესებულებების მოსამსახურეებს; აძლევს კრედიტად საქონელს, რითაც მოსამსახურეებს უძლევათ არსებობის სალსარი ჯამაგირების მიღებამდე.

საჭიროა, ამ დუქანს მიეცეს საშუალება მეტი სავაჭრო ნივთების შეძენისა, რაც მეტს სარგებლობას მოუტანს როგორც სახელმწიფოს, ისე მუშა-მოსამსახურეებს.

მუშკორი **ზარნაზი.**

ზამთრის სურათები

ნეგოციანტის თასი.

თქვენი რა მოგახსენოთ, მკითხველო, მაგრამ მე კი ზოგჯერ ახირებული ხასიათი მაქვს:

კმაყოფილ ხალხთან ძალიან მეზარება სტუმრიანობა. სამაგიეროთ ხანდახან მომაგონდება ხოლმე დიდ-ხნობით მივიწყებული ღარიბ-ღატაკი ნაცნობი ან ამხანაგი და მომენატრება იმათი ნახვა.

მიყვარს, როცა ისეთი ადამიანის კარებს შევაღებ, რომელიც არავისგან არ ელის მოგონებას.

ამაშია რაღაც უცნაური კმაყოფილება. თითქოს-შენვე უხდი შენ თავს მადლობას.

ახალ-წელიწად დღეს აღარ დამიდგა გული სახლში.

ყინვა, თოვლი და მზე—ბუნების წარმოდგენის საუცხოვო ანსამბლს ჰქმნის.

ვდგევარ ჯვარედინ გზაზე და ვფიქრობ:

— საით წავიდე, რომ მივიღო საზრდო სულისა და არა კუჭისა?

აქ ცხვირწინ ჩამომიდგა ჰავლაბრის ტრამვაი. ჩავჯექ უანგარიშოთ და გავყე—მეც არ ვიცი, საით.

მხოლოდ გზაში ვიფიქრე, რომ ამ მხარეს ამა და ამ კაცის ნახვა შეიძლება მეთქი.

ამ კაცთან—დღეობის სიკეთეს არაფერს ველი.

უადგილობის გამო ცხოვრების ყოველგვარ გაჭირვებას გაეცნო იგი ამ რამდენიმე წელიწადში.

სახელის ხსენება რა საჭიროა! იგი არაფერს გეტყვით მის ვინაობაზე.

ერთი უჩინ-მაჩინი ვინმეა. მაგრამ მეგობრებსა და ძმა-ბიჭებში კი მუდამ ვეფხური რამე ყოფილა.

ქვეყანაზე ბევრი რამეც უნახავს და არ გაჰკვირვებია. ალბათ აგრევე არ უკვირს ეხლანდელი თავის გაჭირვებაც.

შევაღე კარი. ის ლოგინში წევს.

რათ ავწერო სიტყვა-სიტყვით ყველაფერი? გრძნობამახვილ მკითხველს უფრო უკეთესად შეუძლიან წარმოიდგინოს მთელი სურათი.

ერთი კი უნდა ითქვას გულახდით: ქუჩის ყინვა ნამდვილ ზაფხულს წარმოადგენდა—იმ ოთახში კარჩაკეტილ სიცივესთან შედარებით.

ჩვენი გულდაგული ლაპარაკიდან კი მინდა მოვიყვანო მხოლოდ შემდეგი:

— ისე როგორ წახდი კაცო, რომ ერთი ვირის საპალნე შეშა ველარ იყიდე!

—მქონდა. გუშინ გავათავე.

მე ხომ თუ რამე მაბადია, ვყიდი და ისე ვცხოვრობ, (თუ კი ამ ყოფას ცხოვრება დაერქმევა).

გასაყიდი ეხლა მე მგონი აღარაფერი მაქვს. ყოველ შემთხვევაში—გუშინდელს აქეთ ვფიქრობ, დაბეჯითებით ვათვალიერებ ამ ჩემ ავლა-დიდებას და ჯერ გასაყიდი ველარაფერი მიპოვია.

შენ გახსოვს ჩემი პატარა თასი? ვერცხლის თასი—ზურაბმა რო მაჩუქა?

— მახსოვს როგორ არა! მერე?

— ეჰ, როგორ მიყვარდა ის პატარა თასი!

რამდენ ნიშანდობლივ რამეს მაგონებდა ჩემი ცხოვრებიდან, როცა იმ თასს დავხედავდი.

სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან თანა მქონია ის მეგობრობის საგანძური.

ყოველ ქალაქის სახელს ჩემი ხელით ამოვსჭრიდი ხოლმე მასზე. თითო-ოროლა მეგობრის სახელიც იქ მქონდა აღბეჭდილი.

ეს იყო ყველაზე მჭერმეტყველი სათაურები მთელი ჩემი ცხოვრების ფერადოვანი წიგნისა.

საკმარისი იყო წამეკითხა რომელიმე სახელი და ჩემს წარმოდგენაში იწყებდენ ფურცლას მოგონებების ფერწასული, მაგრამ ლამაზი პერგამენტები.

ფლორენცია... კაირო... სტამბოლი...

ყველა ამას ძალა ჰქონდა იმ თასზე წაკითხვის დროს.

ის ღვინის სასმელათ იყო მოძღვნილი, რომ სამუდამოთ სადღეგრძელოთი გამომეცალა ხოლმე.

- მაგრამ მისით დალეულ წყალსაც შარბათად ვირგებდი.

როგორ ველაპარაკო იმ თასის საძვირფასეზე იმათ, ვისაც არა ჰყავს დაკარგული მეგობარი, ვისაც არ შია, ვინც არ იყინება, ვისაც გასაყიდათ არ გააქვს კვირაობით გადარეულ „დეზერტირის ბაზარზე“ თავის უკანასკნელი სიმდიდრე, უკანასკნელი ნიში მეგობრობისა და ცხოვრების მოგზაურობისა?

გავყიდე ის თასი—ერთი ვირის საპალნე შეშათ...

და დავწვი კიდეც...

ნეტავ სად ტრიალებს ეხლა ჩემი თასი?

იქნებ რომელიმე შეზარხოშებულმა სტუმარმა სადღეგრძელოს დამთავრებამდის შემთხვევით გადაავლოს დაკარგული თვალი სახელებით დაღარულ თასის მკერდს და სთქვას.

— ეგები ამის დამწერიც სავსებით დაკარგული კაცი არ იყოს!..

გოგონას ცურაობა

უეჭველად და-ძმანი არიან.

ათი წლის იქით დიდი მანძილი არ ექნებათ გავლილი.

და პატარა კოხტა ციგაზე შესკუპებულა, ძმა კი ხალისით მიასრიალებს განიერ ქუჩაზე.

მოდის რომელიღაც სამხედრო პირი. მარჯვენივ მოსდევს პატარა გოგონა, მარცხნივ კი—ბიჭიკო.

გოგონამ დაინახა ციგაზედ მოცურავე. და დიდრონი ნატვრის თვალებით დაუწყო ცქერა.

მოცურავე გოგონა რადიოს სისწრაფით მიხვდა ბავშვის გულდაწყვეტას და მაშინათვე ეპატიჟება:

— მოდი გენაცვალე, გოგონი, გაცურეო!

გოგონას არ სჯერა ასეთი კაი სიტყვები.

მაგრამ ის მართლა მოტრიალდა, თვითონ ჩამოვიდა, პატარა გოგონა კი დასვა ციგაზე და სრიალ-სრიალით გაექანა თავისუფლების მოედნისაკენ.

სინდერელასავით თეთრ ქათიბაში გახვეული გოგონა სიხარულით თავის მამას აღარ უცქერის. მაგრამ სამაგიეროთ ყველა მას უცქერის ღიმილით და ნეტარებით.

ყინვისგან აბრაწული ლოყები უფრო აეწვა.

მისი ქუქუნა დიდრონი თვალები ბავშვური მიამიტობით ყველას დასანახათ იმადლიან:

— ეს რა კაი ფეხზე გამოვედი ამ ახალ-წელიწად დღესაო.

რამდენჯერმე გაასრიალა, გამოასრიალა ხალხსა და ხალხს შუა ყველას თვალის გასახარათ და შემდეგ ისევ მიჰგვარა ცელქი ციგით—უკან ჩამორჩენილ მამას.

რამდენი მიიღო საჩუქრათ ციგის პატრონმა გოგონამ—აბაზიანი თუ ათშაურიანი—ეს სულ ერთია. მხოლოდ განთავისუფლებულ ციგას ეხლა ისევ თვითონ მოახტა ზურგზე და ჩასლიკინდა გაყინულ დაღმართზე.

უკან კი მისდევს პატარა ძმა და მისძახის:

— დაიცა, ნატაშ! რამდენი მოგცა?

აბაზის სიამოვნება.

საღამოა.

ამაღლების ქუჩასთან სდგას ორი ქალიშვილი.

ზევიდან მოდის ცარიელი მარხილი.

წინ შეხვდა ვიღაც მუშტარი.

— ახალ კლუბამდის რა ეღირება?

— ათი შაური.

— ორი აბაზი გინდა?

— ათ-შაურ ნაკლებ არ შეიძლება!

მემარხილე მოდის. ქალიშვილები ისევ დგანან კუთხეში. უცქერიან მარხილს ღიმილით და ვერაფერი გაუბედიათ.

— მობრძანდით ქალიშვილებო! არა გნებავთ გასეირნება?

—ოპერამდის რა ეღირება?

— ერთი მანეთი!

— ეხ ჩემო ძია, მანეთი სრულიადაც არ არის ძვირი, მაგრამ უბედურობა იმაშია, რომ ჩვენ აბაზის მეტი არა გვაქვს. და მარხილით გავლა კი როგორ გვენატრება, როგორა!...

— რახან ეგრეა, მაშ დაბრძანდით!

ქალიშვილები სიცილითა და სიხარულით ჩასხდენ მარხილში. მეეტლემ თბილი მაუდიც მისთავაზა მუხლებზე შემოსახვევათ და გაუშვა ცხენები ჟღარუნ-ჟღარუნით.

მივიდენ ოპერასთან. ქალიშვილებმა სიხარულით მისთავაზეს მეეტლეს აბაზიანი.

— გმადლობთ ძია! რა კეთილი ყოფილხართ!

— შენც გმადლობთ, გოგონებო!

და მოხუცის წვერ-ულვაშით გაბურძგნული სახე მიაცილებს კეთილი თვალით თავის მუშტრებს.

მახლობელ მეეტლემ შენიშნა ესეთი კმაყოფილება, ალბათ ბევრი ფული თუ მისცესო და შურით ეკითხება:

— რამდენი მოგცეს?

დიაღ, კიდევ ყოფილა ჩვენ ქალაქში დარდიმანდი მეეტლე, რომლის გულკეთილობაზეც გიჟური ხალისით უამბობენ ქალიშვილები ყველა თავიანთ ნაცნობებს.

ციციანთ აღმართი

ნიაგრის მნახველი აქ არავინ მეგულება.

იმატრისა კი იქნებ იყვეს ერთი ან ორი.

მაგრამ სურათებზე ხომ მაინც გინახავთ ეს ორი უდიერი ღვართქაფი?

მაგრამ თუ გინდათ უფრო ცოცხალი სურათი ნახოთ იმათი—წადით ციციანთ აღმართზე.

ეს ნახევარ ვერსზე გაჭიმული კლდის კედელი სულ ერთიან გამოცვლილია.

მთელი კედელი გაყინულია, მაგრამ როგორ?

ეს უნდა ნახოს თვით თქვენმა კეთილმა თვალმა.

ათასნაირი ყალიბის ლოლუები თეთრათ მობზინავე მარმარილოსავით ჩამოკიდულან მთელ სიგრძეზე.

თითქოს კლდიდან გიჟური სიძლიერით მოვარდნილი ღვართქაფი მოულოდნელათ შეჩერებულა ჰაერში—მიწაზედ მოახლოვებისასო.

შენი თავი გგონია სადღაც ჩრდილოეთ პოლიუსის ყინულოვან მთებში.

არა გჯერა, რომ შუა ქალაქში ბუნების ასეთი იშვიათი სილამაზეა შექმნილი.

ზევიდან მოდის ძველი არქივიდან ამომძვრალი კინტო. ზურგზე არტყანი ჰკიდია. უნდა ერთი-ორი გროში იშოვოს კიდევ იმის ქყვიტინით.

უცებ გაუხსლტა ფეხი და ზღართა გაადინა თავის ზანდუკით გაყინულ ქვებზე.

ტარი მოუტყდა. გუნებაც გაუტყდა.

წამოდგა საწყალი და შეუდგა თავის დანგრეულ ზანდუკის დაჩხმაკებას.

ეს ყინულის ზვიადი კედელი კი ელვარებს მზეზე როგორც ემანუილის მონუმენტი რომის გულში, ზაფხულის დღეში...

„არლან“ გატეხილ და გულ-გატეხილ საწყალ კინტოს კი ველარავინ აჩნევს თავის დარდით ამ ზამთრის დიდებულ სანახაობის ქვეშ.

ციციანთ აღმართი თუ ასეთ სილამაზეთ გადიქცეოდა, რას ვიფიქრებდი ამას ზაფხულის პაპანაქებაში!

მტკვრის მიძინება.

ავლაბრისა და მეტეხის ხიდ ქვეშ მტკვარი აღარ სჩანს.

ყინვას ძლიერ დაუძლევია მისი შეუპოვარი ტალღები.

ავლაბრის ხიდ ქვეშ რომ საქვესკნელო ბურუსსავით ტრიალებდა დიდი მორევი—ეხლა ყინვის ქვეშ მიძინებულა.

დაბაღანის სასახლეების მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს პირისპირ მიუციათ დაეცნობიან ერთმანეთს ყინულის საერთო ზეწარით.

ორთაჭალის ხიდთანაც იგივე სურათია.

ხიდ ზევით—ორივე მხარიდან მიუტანია ყინულს იერიში, ცოტა ხანკიდევ მოიკლაკნება გველისავით გაზვრილებული მტკვარი და მერე მიძვრება გაერთიანებულ ყინვის ქვეშ.

რამდენიმე მანძილის იქით—თითქოს შეპჭუთია სული ლაღ მდინარეს და შუა გულში გამოურღვევია ისევ თავისუფალ თარეშისათვის.

გაყინული მგზავრი ცოტა ხანს მაინც შეჩერდება შუა ხიდზე გადაჰხედავს აქეთ და იქით.

— მტკვარიც კი დაუმორჩილებია ყინვასო!

გაიფიქრებს და მოძუნძული ისევ გაუდგება გზას.

ორთაჭალის ქუჩაზე შეჩერებულა ავტომობილი. შიგ მგზავრები სხედან.

მოტორი გაყინულა. შოფერიც გაყინულა და მოძრული ხელებით ვეღარ ატრიალებს მანქანას.

ზევიდან კი მოსრიალებს მსუბუქად მარხილი.

ეჟვნების და ზანზალაკების ჟღარუნით ჩაუქროლეს ცხენებმა ავტომობილს.

მეეტლემ მეთხუთმეტე თუ მეთექვსმეტე საუკუნის დამცინავი ღიმილით ერთი გადაჰხედა ავტოს, მის პატრონს, მის მგზავრებს, ჩაჰბერა გამეტებით ხელებში სული და მიეფარა გზას.

ბოსლის ნატვრა.

იარმუკის კუთხეში სდგას შეშით დადებული კამეჩების ურემი.

კამეჩს გვერდში ამოუდგებია შუახნის გლეხი.

ხელები სახელურებში შეუკუნჭია, იღლიაშიც სახრე ამოუჩრია.

კამეჩებსაც და მეურმეებსაც ულვაშები სულ ერთიან შეჰყინვიათ და გაშტერებით იცქირებიან წინ თუ საითღაც.

იქავე გვერდზე დგანან ნარინჯით სავსე კალათები. თაბხები გაჭედილია ნაირ-ნაირი ხილეულობით, დუქნებში ათასი ფერის შაქარლამა გამოფენილია მუშტრების საცდუნებლად.

ვინ გოჯს მიაჭყვიტინებს, ვინ ქათამს მიაკრიხინებს.

იქვე რაჭველის დუქანში ხაშის ოშხივარიც ტრიალებს.

მაგრამ გლეხს არაფერზე არ მიუდის თვალი.

ის გარინდებული სდგას. ულვაშების გაბერტყვაც კი ეზარება ყინულისაგან.

კამეჩებიც ყურს არ იბერტყავენ თავიანთ პატრონივით არავითარ ქალაქის ცდუნებაზე.

ვუცქერი ამ სამ სულდგმულს და სამივეში ერთი ყრუ ფიქრი, ერთი ჩახუტებელი აზრი ამოვიკითხე.

— ოხ, რა კარგია ეხლა ჩვენ ბოსელში ყოფნაო!

ქუჩის სიცოცხლე

ვერაზე, მთაწმინდიდან ერთ დაყირავებულ ქუჩას ნამდვილი დღეობა ჰქონია ამ ყინვის სეზონში.

ბავშვებთან ერთად ასულან სრულწლოვანი ქალ-ვაჟებიც და იგემებენ ზამთრის სილამაზეს.

სადღესასწაულო ჭრიამული გარმის ირგვლივ. ციგა ციგას მისდევს დაწყვილებული ან ცალ-ცალი ნოხალისეთი.

ბევრს გზაში შეუტრიალდება. დაეცემიან, მიცურავენ, იცინიან, უხარიათ.

ყველას ლოყები დატკეციათ დამწიფებული ბროწეულივით.

კუთხეში სდგას ბარნოვის მსგავსი მოხუცი, ჯოხზე მაგრად დაბჯენილა, ყოველ შემთხვევისათვის, და ნეტარების ღიმილით მისჩერებია ახალგაზრდობის გიჟურ გართობას.

თან ალბათ ფიქრობს ის:

— ჰაი გიდი ჯეელობა! აფსუს, რომ მეც ახლით არა ვარ თვრამეტი წლის თავხედი ბიჭიო!

ახლო ფანჯრიდან კი ამავე საჭრიამულო სურათს უცქერის ავადმყოფობით გაფითრებული ქალიშვილი და ალბათ ისიც ფიქრობს, როგორც ეტყობა მოწყენილ თვალებში:

— აფსუს, სადა ხარ ჩემო ჯანო! მეც ხომ ყინვისგან ლოყებდაბრაწული ეხლა აი იმ გიჟებში ვერეოდი და რამდენს ვიცურავებდი, რამდენს ვიცურივებდი!..

* * *

მთელი ქალაქი გაყინულია.

ყველა ნელა და ფრთხილად დადის.

თვალსაც მეტი დრო რჩება აქეთ-იქით მისახედათ და თითქმის ყველგან ხედავს ყინვისგან გამოწვეულ სხვადასხვა სურათებს.

ამბობენ—ოცდა თექვსმეტი წელია, რაც თბილისს არ ახსოვს ყინვის ასეთი სილამაზეო.

უშუშო კაცი კი ერთი ჯიმშიანათ შემომიკურთხებს, რომ ამ ყინვის სისასტიკეს მე ვნათლავ სილამაზეთ.

რა ვუყოთ, მეგობარო! ერთმანეთის ასეთი გაუგებრობით სავსეა ცხოვრება.

ლევ. მეტრეველი.

საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

განათლების ფრონტზე

ახალი სკოლები რაჭის მაზრაში

რაჭის მაზრაში გაიხსნა ახალი 6 ოთხწლედიანი სკოლები შემდეგ სოფლებში: წედისს, გადამის, ჟღმქვას, სევას, გოგოლეთს და შეუბანს. 7 წლედიანი სკოლები გაიხსნა—ბნავაშში და ხოტევში. აგრეთვე აღდგენილი იქნა 7 წლედიანი სკოლა სოფ. ღებში.

პედაგოგიური ტეხნიკუმი ქ. ონში

რაჭის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ქ. ონში გახსნას პედაგოგიური ტეხნიკუმი.

მასწავლებელთა ხელფასი

განათლების კომისარიატის დადგენილებით, იმ მაზრებს, რომელთაც წარსულ თვეებში დარჩათ მასწავლებელთა ხელფასის ლიმიტიდან ზედმეტი თანხა, ჩაითვლება მომავალ თვეებში ძირითად თანხათ.

მუშათა ფაკულტეტების ლექტორების შრომის ნორმა

განათლების კომისარიატმა დააწესა მუშფაკების და პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებისათვის პედაგოგიური შრომის ნორმათ 9 საათის სამუშაო დღე, ხოლო მათი კატეგორია განსაზღვრა უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებელთა ხელფასის მიხედვით.

გეოგრაფიული რუქები

განათლების კომისარიატმა გეოგრაფიული საზოგადოების მიერ შედგენილი საქართველოს რუქების გამოსაცემათ გადასდო 1000 მან., განათლების მუშაკთა კავშირმა—100 მან. პოლიტგანათლების მთავარ მართველობამ 500 მან. რუქები მეტად სისწორით არის შედგენილი, როგორც სკოლებში სახმარებელი და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სკოლებისათვის.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები

განათლების კომისარიატმა დაადგინა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები დამატებით გახსნას საქართველოს 10 სხვადასხვა ადგილას.

ხელოვნება

ჟურ. „ხელოვნება“.

გამოვიდა სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავ. ყოველკვირეული ორგანოს „ხელოვნების“ პირველი ნომერი შემდეგი შინაარსით: მოწინავე—ჟურნალი „ხელოვნება“, ორი იანვარი. **შ. დ.**—ახალი გზით. **ი. გედევანიშვილი.**—2 იანვარი. **რ. კალაძე,**—ქართული თეატრი. **სერ. ამილახვარი**—ჩვენი სათეატრო პოლიტიკა, **აკ. ფაღავა**—1925. წ. 2 იანვარი. **კ. ანდრონიკაშვილი**—იანვრის ორი. **დავ. კლდიაშვილი**— ვასო აბაშიძე. **კ. კაპანელი**—რიტმისა და მუსიკისათვის **კ. გარრიკი**—ქართული თეატრი. **თ. ბოჭელი**—თეატრი და დრამატურგია. **პროფ. კ. კეკელიძე**—ძველი ქართული თეატრი. **ჯაფარ-ფუმა**—ძველი და ახალი. **ხომლელი**—ქართული თეატრი ქუთაისში **გვ. ფერრანჯი**—ქართული ოპერა. **ა. დ.**—ი. ზარდალიშვილი. **ს. ეული**—თეატრი (ლექსი). **ალექ. ქუთათელი**—გაიოზ (ნაწყვეტი დრამიდან), **ლადო გეგეჭკორი**—ლაურენსია (ლექსი) **გ. გ.**—ჩვენ ვიდებთ ბორკილებს (მოთხრობა) **ნ. გ.**—ჩვენი კინო. **შ. რ—ი**—აელიტა. **შ. რადიანი**—კონრად ფეიდტი.

პროლეტარულ პოეტების მოწოდება, პროფესიონალური მოძრაობა და ხელოვნება, ქრონიკა. ჟურნალში მოთავსებულია ქართული დრამის მსახიობების და რეჟისორების სურათები. ჟურნალი სუფთადაა გამოცემული, მას რედაქტორობს ამხ. ს. ქურიძე (ეული). ჟურნალი შეიცავს 42 გვერდს, საუკეთესო ქაღალდზეა გამოცემული და მიძღვნილია ქართული თეატრის არსებობის 75 წლის იუბილესადმი.

—

ჟურ. „დროშა“

გამოვიდა ჟურ „დროშის“ 24 ნომერი შემდეგი შინაარსით: ალ. არსენიშვილი—ქართული პროზის ანნალები, ტიც. ტაბიძე—ახალი მზეთა. ეპოპეა „თბილისი“, სერ. კლდიაშვილი—1921 წ. პ. იაშვილი სამი ტკივილი, სან. შანშიაშვილი—მჭედელი ზაქარა, რანო ოდილი. ი. ტ.—თებრო. კოლ. ნადირაძე—არსენა. ვალ. გაფრინდაშვილი—ზამთარი. გ. ლაგამარ—ქალაქი (თარგმანი) გ. რობაქიძე—ყაზბეგის საკითხი. გ. ლეონიძე—ქართული თეატრის ქრონიკები.

—

— **ოპერა.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში მასწავლებელთა ყრილობის მონაწილეთათვის წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“.

— **რუსთაველის თეატრში** წარმოდგენილი იქნება ლოპე-დე-ვეგას პიესა „ცხვრის წყარო“ მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **ბლინდერის კონცერტი.** დღეს, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება გამოსათხოვარი გასტროლი სკრიპკაზე ცნობილ დამკვრელის ბლინდერის კონცერტი.

— **დუროვის გასტროლი.** დღეს, ძმ. ტანტიდების ცირკში გაიმართება დუროვის გასტროლი გაფართოებული პროგრამით.

— **საბავშო წარმოდგენა** დღეს თეატრ „ტარდში“ გაიმართება რუსულ ენაზე საბავშო წარმოდგენა.

— „ტარდში“ დღეს წარმოდგენილი იქნება ა. ლუნაჩარსკის პიესა: „ცეცხლის წმიდაბელნი“.

— **ბაქოს ცირკის მსახიობთა სასარგებლოდ.** ორშაბათს, 5 იანვარს ძმ. ტანტიდების ცირკში გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა დუროვის მონაწილეობით ბაქოს ცირკის მსახიობთა სასარგებლოდ.

— **„თეატრი და ცხოვრება“.** გამოვიდა „თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგი ნომერი ი. იმედაშვილის რედაქტორობით. ჟურნალი მიძღვნილია ქართული თეატრის მისი დაარსებიდან 75 წ. შესრულებისათვის.

— **ლექცია რუსთაველის შესახებ.** დღეს, კვირას, 4 იანვარს საღამოს 8 საათზე ევგენი დვალი ყოფილ ქართულ კლუბის შენობაში წაიკითხავს ლექციას შ. რუსთაველის შესახებ. მსახიობნი წარმოადგენენ ამავე ავტორის დრამას „გიჟ გენიოს“-ს, ციხისა და საგიჟე სახლის ცხოვრებიდან. ბოლოს გაიმართება კაბარე.

დღეს კინოებში

— **ხოლეი**—„აელიტა“ რუსული კინო ფილმა. მთავარ როლებს ასრულებენ წერეთელი და სოლნცევა.

— **არფანაკო**—„აელიტა“.

— **ოაზისი**—საბედისწერო ბეჭედი.

— **თვითმფრინავი**—ქალი მონტეკარლოდან.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 90 პროცენტი უკვე აკრეფილია.

დადგა თუ არა მომენტი სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფისა, მაზრის ხელისუფლებამ სამაზრო საგადასახადო უწყებასთან ერთად მოახდინა თავის ძალთა მობილიზაცია და გაგზავნა საგადასახადო ფრონტზე.

სიღნაღის მაზრის გლეხკაცობას უკვე შეუგნია, განსაკუთრებით ღარიბეს და საშუალო მოსახლეობას, რომ თვითეული გადახდილი კაპეიკი ხმარდება მუშების და გლეხების ინტერესებს.

ამ შთაბეჭდილებას ადასტურებს ის გარემოება, რომ გარდა მცირე გამონაკლისისა, გლეხობის, უმრავლესობამ უკვე მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე და თავის დროზე შეიტანა მასზედ შეწერილი გადასახადი სახელმწიფოს სალაროში.

საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო ის დეფექტები, რომელსაც აქვს ადგილი გლეხობის ქონების აღწერის დროს საეურნეო გადასახადის შეწერის მიზნით. სამწუხაროდ ზოგიერთ ამხანაგებს თემებში თუ რაიონებში გამოუჩენიათ დაუდევრობა, გულგრილობა გლეხების მამულის, წვრილ და მსხვილფეხა საქონლის აღწერის დროს. საქმის ინტერესი თხოულობს, რათა, გლეხის ქონება დაბეგვრის მიზნით სისწორით იქნეს აღწერილი, რომ არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა და უწესრიგოთ არ მოხდეს გლეხის ქონების დაბეგვრა. სამწუხაროთ, გლეხებს ეს გარემოება არ ჰქონიათ გათვალისწინებული. ზოგიერთ რაიონში მომუშავე ამხანაგებს ვერ აღმოუჩენიათ შესაფერი დახმარება გლეხთათვის, ვერ მიუციათ საჭირო ახსნა-განმარტებანი მათთვის და ამის მიზეზით ბევრს შეცდომება და გაუგებრობას აქვს ადგილი საგადასახადო საქმეში.

ზოგიერთ გლეხს არ მიუციათ სწორი ცნობები მის ქონების აღწერის დროს, ან არა და საბჭოთა ხელისუფლებასთან მტრულად განწყობილი რომელიმე მოხელე ისარგებლებდა ამ გარემოებით და განგებ მოახდენდა ამა თუ იმ გაუგებრობას თავისი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად. და ყველა ამ მოვლენების წყალობით მრავალი გლეხის ქონება უსწორმასწოროდ იქნა დაბეგრილი. ამ გარემოებისათვის ზოგიერთ ამხანაგებს რაიონში ვერ აუღიათ ალღო, ვერ გაუთვალისწინებიათ საქმის სიმძიმე და არ მიუღიათ აღწერის დროს ცხოველი მონაწილეობა, რის მიზეზითაც საგადასახადო ფურცლების დარიგების შემდეგ აღმოჩნდა მრავალი შეცდომები და უწესრიგობანი, რის გამოსასწორებლად დასჭირდა ბევრი დრო და შრომის დახარჯვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ წლის გადასახადი საზოგადოთ მეტად საგრძნობლად შექნა გლეხობისათვის. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფული მეტად გაძვირდა გლეხობისათვის სოფლის ნაწარმოები ჯერ კიდევ ვერ საღდება ბაზარზე ისეთ პირობებში, როგორც ამას მოითხოვენ სოფლის მეურნეობის ინტერესები. ამავე დროს უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ყველა დარგის მეურნეობას ერთნაირად არ აწვება ეს გადასახადი; მაგალითად იმ მეურნესათვის, რომელიც ეწევა მევენახეობას, გადასახადი ისე მძიმე არ იყო, როგორც იმ მეურნესათვის, რომელნიც ეწევიან მესაქონლეობას.

ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ შექმნილი მდგომარეობით ბევრმა ჩარჩმა ვაჭარმა და სპეკულიანტებმა ისარგებლეს. როცა იმ მეურნეებს, რომელნიც მესაქონლეობას ეწევიან, თავიანთი მოვალეობის მოხდის მიზნით, საქონელი გამოყავთ ბაზარზე რეალიზაციის მოსახდენათ, ჩვენი სამეურნეო ორგანოები, კოოპერატივები, სამწუხაროთ ვერ შეხვდნენ მომზადებულად ამ მოვლენას და ვერ შეისყიდეს გლეხობისაგან ბაზარზე გამოყვანილი საქონელი. აქით ისარგებლეს ვაჭარ-სპეკულიანტებმა და ჩალის ფასად უვარდებოდათ მათ ხელში გლეხის ნაოფლარი.

მე ვფიქრობ, რომ ყველა აქ აღნიშნული დეფექტები, რომელიც გამოირკვა გზა და გზა სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს, ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებისათვის გაკვეთილად დარჩება და შემდეგისათვის თვითეული ჩვენგანი შევეცდებით მომავალში აღარ დაუშვათ ასეთი არა სასურველი შეცდომები.

გ. მოხენელიძე

წერილები პროვინციიდან

ჯანმრთელობის საქმის მდგომარეობა ახალციხის მაზრაში

აქ არსებობენ შემდეგი საექიმო პუნქტები: 1. ქ. ახალციხეში არსებობს საავადმყოფო-ქირურგიულ, საბებიო, ვენერიულ, კბილის საექიმო და სხვა განყოფილებებით. საავადმყოფოს მოწყობილობა მეტის-მეტად ღარიბია, აკლია მრავალი როგორც საექიმო, ისე სხვა სახმარებელი იარაღები; კბილის საექიმო კაბინეტი აქამდე კერძო ბინაზე იყო მოთავსებული, ხოლო ახლა კი, ქ. თბილისიდან საექიმო კაბინეტის კომპლექსის მიღების შემდეგ, გადატანილ და მოწყობილი იქნება საავადმყოფოს შენობაში.

მაზრაში საექიმო პუნქტები არსებობს: ტოლოშის, აწყურის, ქობლიანის და ასპინძის თემებში. რაც მაზრის მცხოვრებთა საჭიროებას ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებს; საექიმო პუნქტები სრულიად მოუწყობლები არიან, გარდა ორისა: აწყურის და ქობლიანისა, რომლებისათვის მთელი საექიმო მოწყობილობა ამ მოკლე ხანში იქნა მიღებული ჯანმრთელობის კომისარიატიდან.

საჭიროა თითო თემში—თითო საექიმო პუნქტი მაინც იყოს, მით უმეტეს, რომ ახალციხის მაზრაში ფეხს იკიდებს ისეთი სასტიკი სენი, ჩვენი მხრისათვის, როგორც არის მალარია, რასაც თავის დროზე უნდა ძირშივე აღმოფხვრა, აგრეთვე ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ვენერიული ავადმყოფობა, განსაკუთრებით მაზრაში.

ერთს გარემოებას აუცილებლად უნდა ყურადღება მიაქციოს ჯანმრ. კომისარიატმა: სახელდობრ, მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველი მუსულმანებია, რომელთა ქალები, დღევანდლამდე მათში დარჩენილ ჩვეულების მიხედვით, ავადმყოფობის დროს არავითარ შემთხვევაში არ ეჩვენებიან ექიმს—მამაკაცს. ამას საჭიროა მიექცეს ყურადღება—და ამ მაზრაში საექიმო პერსონალის ნახევარს მაინც ქალები უნდა შეადგენდენ.

გარდა ქ. ახალციხისა, მთელს მაზრაში არსად არ არსებობს აფთიაქი; ქ. ახალციხეში ერთად-ერთი აფთიაქია, რომელიც ძლივს ასწრობს ქალაქის მცხოვრებთა საჭიროების დაკმაყოფილებას, მაზრა-კი რჩება უწამლოთ, ვინაიდან ადგილებზე, თემებში, სადაც საექიმო პუნქტებია, იქ წამალი ან სრულიად არ არის, ან თუ არის, პირველ მოთხოვნილების საჭიროებისა და საჭირო სასწრაფო შემთხვევაში ღარიბ-ღატაკ გლეხს არ შეუძლია 40—60 ვერსის გავლა ქალაქში რომ წავიდეს და წამალი მოიტანოს. ამ მოკლე ხანში აწყურში „სახმედვაჭრობა“ ხსნის ერთს აფთიაქს, ეს ძლიერ ცოტაა, ის დააკმაყოფილებს მხოლოდ აწყურის თემს, რომელსაც ისედაც აქვს საშუალება წამლის შოვნის ბორჯომთან შედარებით სიახლოვის გამო. მხოლოდ აუცილებელ საჭიროებას-კი შეადგენს აფთიაქის ტოლოშის და ქობლიანის თემებში გახსნა, ვინაიდან ეს თემები მეტის-მეტად დაშორებულნი არიან ქალაქზე და მიმოსვლაც ძლიერ სჭირს.

მაზრაში არც ერთი თვალის ექიმი არ არის, არც კერძო, არც სახელმწიფო.

ზამთარი უკვე დამდგარია, აქ ეს რამოდენიმე დღეა თოვს, ქალაქში თოვლი ერთ არშინს აღწევს, მაზრაში ზოგან ორ არშინამდე,—საექიმო პუნქტები კი ძველებურად მოუწყობელნი არიან, არ აქვს შესაფერისი შენობებიც-კი—შუშები ჩამტვრეულია, ჭერში წყალი ჩამოდის, არ ეშოვებათ წამლები.

საჭიროა ცენტრის დახმარება—დახმარება რეალური და შესაფერისი!

იმედია, ჯანკომისარიატი იღებს ამას ყურად!

ხმალი

ხვანჭკარის თემი

(რაჭის მაზრა)

გლეხები შეუდგენ ალმასკომისათვის შენობის აგებას. სოფ. ტოლაში ყოფ. თავად ყიფიანის სახლში მოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა. ამავე თემში არის კოოპერატივი, დაარსებული არის გლეხკომი, რომლებიც დიდ შეღავათს აძლევენ გლეხობას.

სოფლის გლეხობამ გააკეთა მდ. რიონზე ბორანი, რომელიც აერთებს რამოდენიმე სოფლებს. აგრეთვე გლეხობის თაოსნობით სოფელ ბუგეულს აშენებულ იქმნა კლუბი, სადაც იმართება წარმოდგენები.

ნ. მ—ნი.

განათლების საქმე დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრა, ქართლის მაზრებს შორის შეიძლება ჩაითვალოს ყველაზედ უფრო ჩამორჩენილ მაზრად განსაკუთრებით კულტურულ დარგში. სწავლა-განათლების საქმეს ნიკოლოზის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, არც მენშევიკურ მთავრობას შეუწუხებია ამისათვის თავი და გლეხობა ისევ პირველ ყოფილ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგალითისათვის საკმაოა იმის მოყვანაც, რომ ფშავის რაიონში მშობიარე ქალებს სამი დღით ბოსელში ამწყვდევენ მარტოდ-მარტო, რადგან ფიქრობენ მშობიარე ქალს ეშმაკები ახვევიაო და მისი დახმარება არავის არ შეუძლია. ასეთი მაგალითები ბევრია. საბჭოთა მთავრობამ ამ ოთხი წლის თავის არსებობაში ბევრი რამ შექმნა ამ მიყრუებულ კუთხეში. ბევრი სკოლები გაიხსნა, გააძლიერა საგანმანათლებლო, საექიმო და სხვა დარგები. საჭიროა გაასკეცებული ენერგიით ბრძოლა ამ ფრონტზედ, რომ მივაღწიოთ მიზანს—მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა. მაზრალმასკომის დღის წესრიგში იდგა და დღესაც დგას ეს კითხვა და კიდეც ანხორციელებს ამ ამოცანას.

ს. ქიშმარეიშვილი.

საბჭოთა ქვედა-აპარატის გასაჯანსაღებლად

გორის მაზრა (სარევიზიო კომისიის მუშაობა)

გორის მაზრის ალმასკომის პრეზიდიუმმა ნოემბრის პირველ რიცხვებში დანიშნა სარევიზიო კომისია, სამი კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შემოევლო მაზრა და ადგილობრივ გაეწია რევიზია რაიალმასკომებსა და მისი ქვე-განყოფილებებისათვის. კომისიამ ჟამად დაიარება რაიონში და აწარმოებს მუშაობას: აძლევს სხვადასხვა დირექტივებს და უთითებს იმ დეფექტებზე, რასაც ადგილი ჰქონდა დღემდის, რათა გამოსწორებულ იყვეს ასეთები. გორის სამაზრო ალმასკომს განზრახული აქვს რევიზიის დამთავრების შემდეგ ახლო მომავალში მოაწყოს მაზრის ალმასკომების მდივნების თათბირი, ამ თათბირზე შემუშავებული იქნება ზომები, რათა შემჩნეული ნაკლი და დეფექტები სამუდამოთ აღმოიფხვრას ქვედა აპარატის მუშაობაში

რაც შეეხება ალმშენებლობითი მუშაობას, იგი სწრაფის ტემპით და გაცხოველებით წარმოებს: კეთდება უკვე გზები, ხიდები; ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული სწავლა-განათლების და ჯანმრთელობის საქმეს; აშენებენ საკლუბო და სასკოლო ბინებს, აწყობენ საექიმო პუნქტებს; აფართოებენ კოოპერატივებს და ლახვარს სცემენ და აშავებენ მშრომელი გლეხობის წინაშე იმ ხმების გამვრცელებლებს, რომლებიც გაიძახოდენ: „კომუნისტებს შეუძლიანთ მხოლოდ ნგრევა და აშენება მაგათ საქმე არ არის“-ო.

შია.

ჩვენი წერილები მიზანს აღწევენ

ს. გიორგიწმინდა (გარე-კახეთი)

ამ რამოდენიმე ხნის წინად „კომუნისტში“ წერილი იყო მოთავსებული გარე-კახეთის სოფელ გიორგიწმინდის გლეხკომის შესახებ. სწერდენ, რომ გლეხკომის წევრები ქეიფში ატარებენ დროს და თავისი დავალების შესრულების ნაცვლად ღვინოს ასაღებენო. ამ წერილის მოთავსების შემდეგ გლეხკომის ხელმძღვანელებმა ღვინის სმას უკლეს და შეუდგენ საქმეს.

ი. ჯ.

ამასაც ანგარიშიანობა ჰქვია?

ლანჩხუთი (გურია)

სუსხიანმა ზამთარმა და მოულოდნელმა დიდმა თოვლმა ლანჩხუთიც დიდათ დააზარალა. თოვლმა ჩაქოლა ლანჩხუთის ახლად აგებული საზაფხულო თეატრის შენობა. თეატრი იყო ადგილობრივი გლეხკომის გამგეობაში, რომლის დანგრევა გლეხკომს დიდ დაუდევრობათ უნდა ჩაეთვალოს. თეატრის ნანგრევებში აგრეთვე ფუჭდება და ლპება დიდი ვაი-ვაგლახით ოცდა ერთ წელში შეძენილი პიანინო, რომლის შოვნა დღევანდელ პირობებში ადვილი არ საქმე არის.

გარდა ამისა არც ერთ დაწესებულებაში ნორმალური მუშაობა არ სწარმოებს, დაწესებულებებში საყინულეს ჰგვანან. მიუხედავათ იმისა, რომ ლანჩხუთი ხე-ტყის რაიონია, სადაც თავის დროზედ ერთი კუბიკური საჟენი შეშა ფასობდა ოცი მანეთი, არც ერთ დაწესებულებას შეშა მომარაგებული არა აქვს. დღეს კი ათი მანეთის ადგილზედ ასი მანეთი უნდა დაიხარჯოს და რომც შეიძინო შეშა, დანიშნულ ადგილზე მიზიდვა ყოვლად შეუძლებელი ხდება დიდი თოვლის გამო.

ნათქვამია: როცა მეხი გავარდება გლეხიც მაშინ გადიწერს პირჯვარსო, სწორეთ ზედგამოჭრილი ჩვენზედ ითქმის. წრევანდელ ზარალს მკითხველის ჭირი წაუღია, რომ მომავლისათვის ეს გაკვეთილი ჩვენთვის ჭკუის სასწავლო იქნებოდეს.

ლ. კუკულაძე.

საქონელი ილუპება

(გურია)

ოზურგეთის მაზრაში იმდენათ არის გამრავლებული მტაცებელი ნადირი, როგორიც არიან მგლები და დათვები, ისეთ ზარალს აყენებს გურიის გლეხობას, რომ აღწერაც შეუძლებელია. რამდენი ღლელი კამეჩები შეჭამა საბალახო ეწრებზე, ვინ იცის. ამას გარდა შავი ზღვის პირათ მეჯოგეებს ჯოგები გაუნადგურა. უწინ ასეთ სტუმრებს სტრიხნინით ხოცავდენ მეჯოგეები, დღეს ამ წამალს მეჯოგეები ვერ შოულობენ და ნადირიც გამრავლდა.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სამიწად-მომქმედო კომისარიატმა.

ფ. ც—ე.

ახალ-სენაკის რაიონი

ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ მუშაობა აქ ერთ თვეზე მეტია რომ დაიწყო რაიალმასკომმა თემების საბჭოს თავმჯდომარეების საშუალებით უკვე დაარიგა შენაწერი ფურცლები. ამ ფურცლების თანახმად პირველი რიგი გადასახადისა მეურნეთ უნდა შეეტანათ 1 დეკემბრისათვის.

ზანის, ხორშის, ქვემო ჭალადიდის და თეკლათის თემებიდან მიღებულია დაახლოვებით მესამედი გადასახადისა. რაც შეეხება ზემო ჭალადიდის და ნოსირის თემებს, აქედან უმნიშვნელო პროცენტია აკრეფილი. ჯერჯერობით გადასახადის აკრეფა სუსტად მიმდინარეობს.

ამ ჟამათ კოოპერატივის კავშირმა დაიწყო სიმინდის შესყიდვა. ამ რაიონის გლეხობა დიდძალ სიმინდს აწვდის კავშირს. ეს კი დააჩქარებს გადასახადის აკრეფას რაიონში.

ა. შრომიშვილი.

ეს სასწავლებელი შეკეთებულია, სამკითხველოსათვის გვესაჭიროება დახმარება

სოფ. გაუწყინარი (სენაკის მაზრა)

„კომუნისტის“ № 283-ში მოთავსებული იყო ს. ქიშმარეიშვილის წერილი გაუწყინარის სკოლის შეკეთების შესახებ. ეს წერილი წაკითხულ იქნა ამას წინედ ახლად აშენებულ სამკითხველოში (გაუწყინარში) და აღშფოთება გამოიწვია გლეხობაში. რისთვის?—იმისათვის, რომ ამხანაგი იწერება: „გაუწყინარის სკოლა დანგრეულიაო“,—ეს კი სიმართლეს არ შეეფერება. სკოლაც ჩინებულად შეკეთებულ იქნა ნოემბრის რიცხვებში. ეს არაფერი! გაუწყინარის გლეხობამ დაადგინა სამკითხველოს შესაკეთებლად გადასახადი კომლზე 1 ფუთი სიმინდი. უკიდურესმა ღარიბმა გლეხებმა პირველ მოთხოვნისთანავე გადაიხადეს, მხოლოდ კულაკებმა კი უარი სთქვეს; განსაკუთრებით ალექსი ქიშმარეიშვილმა (სანდრო ქიშმარეიშვილის მამამ). კულაკი ალექსი აგიტაციას ეწევა ხალხში, რომ სიმინდი გადახდილი არ იქნეს და რამოდენიმე გლეხა უარი ათქმევინა.

ეს იყო მიზეზი, რომ გლეხები გულნაწყვეტნი დარჩენ. გლეხები ურჩევენ სანდროს ჯერ სოფლის—გლეხების და მოწაფეთა რაოდენობა შეისწავლოს, მერმე მამას მისცეს დარიგება სამკითხველოს ასაშენებლად ერთი ფუთი სიმინდის გადასახადზე უარს ნუ იტყვის და შემდეგ სწეროს მხოლოდ მართალი და არა ისეთი ტყუილი, როგორც ამას წინად.

პ. რ—უა.

აწყური

(ახალციხის მაზრა)

აწყური პატარა დაბაა, 500-კომლი მცხოვრებით. მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას ქართველი მაჰმადიანები შეადგენენ. მცხოვრებნი სთესენ პურს, ქერს, სიმინდს და კარტოფილს; ხოლო ხილიდან მოჰყავთ უფრო მეტი თუთა, ჭანჭური, მსხალი და ვაშლი. კულტურულად დიდი ჩამორჩენილი ხალხია აწყურელები; ახლა და ახლა შეგნებისკენ მიიზიდებიან თანდათანობით, რაც აიხსნება საბჭოთა ხელისუფლების მიერ სკოლებისა და სამკითხველოს გახსნით მათში, რომელთაც ზოგჯერ უმართავენ წარმოდგენებსაც. აქ არსებობს კოოპერატივი, საექიმო პუნქტი და სათემო ალმასკომი.

აწყური შესანიშნავია, როგორც ბაღნარი, ისე ისტორიული ნაშთი ძეგლებით, რომელსაც მედიდურათ ჩაუდის საქართველოს დედა მდინარე—მტკვარი. ადგ. ძეგლთაგან აღსანიშნავია თავისი ძველი ხუროთმოძღვრებით დიდი ტაძარი და მაღალ კლდეზე გადმოსკუპული ციხე, რომელიც ამაყად გასცქერის მის გარემო არე-მარეს. აწყურის ტაძარი, როგორც ხუროთ მოძღვრებით, ისე სიდიადით პირველი ადგილი უჭირავს მთელ საქართველოში არსებულ ძველ ტაძრებთა შორის. ტაძრის საკურთხევლის მარჯვნით და მარცხნივ მოძენებული აქვს აკლდამები, რომლის სიღრმე-ორმოები ამოვსებულია ძველი მიცვალებულთა ჩონჩხებით. ტაძარს სიგრძე 50 არშინი აქვს, განი კი 30 არშ. გავლილ მარტში ეს დიდებული სტილის ძეგლი დაუნგრევიათ ადგ. მცხოვრებთ და თლილი ქვები გაუზიდიათ. სამაზრო ალმასკომა რომ გაუგია ეს, მაშინათვე სასტიკი ზომები მიუღია და შეუჩერებია მისი ნგრევა. განკარგულება არის, რომ წაღებული ჩუქურთმიანი ქვები ამ მოკლე დროში უნდა შემოიკრიბოს ახალციხის მუზეუმში დასაცავად.

ძველი რევოლუციონერი.

პროვინციის ქრონიკა

— **აბაშის** გლეხკომმა გახსნა საკუთარი ფურნე, წითელი სასადილო და საწვრილმანო სავაჭრო.

— **ახალ-სენაკის** მაზრაში ამ ჟამად არსებობს 115 წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც მეცადინეობს 1350 წერა-კითხვის უცოდინარი.

— **ქობულეთის** სანატორიუმთან გაიხსნა უკანასკნელი ტექნიკის მიხედვით მოწყობილი სამრეცხაო.

— **საჩვენებელი აგრო. პუნქტები.** ქობულეთის აგრო-პუნქტმა გადასწყვიტა გააფართოვოს საჩვენებელი აგრო-პუნქტები ქობულეთსა და ხოცუბანში.

— **ქობულეთის მაზრაში.** სათემო სკოლებთან გაიხსნა 16. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი.

— **სამელიორაციო ამხანაგობანი.** ქედის და აჭარის წყალის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს შეადგინონ სამელიორაციო ამხანაგობანი.

— **მეფუტკრეების კურსები.** სოფ. წინამძღვრიანთ კარში (დუშეთის მაზრა) მეფუტკრეების 3 კვირეული კურსები დაამთავრა 40 კაცმა.

— **მევენახეთა არტელი.** ს. ზემო-ხოდაშენში (კახეთშია) დაარსდა საკ. სამ არტელი, მას ჰყავს 137 წევრი. არტელი აშენებს ამერიკულ ვაზს.

— **მეფუტკრეობა.** დუშეთის მაზრის გლეხობა ძლიერ დაინტერესებულია მეფუტკრეობით. გლეხობამ გადასწყვიტა გააშენოს ჩარჩოიანი სკები.

პროვინციის ფოსტა

დიდი ჯიხაიში გლეხს. ხელმოუწერელ წერილებს არ ვბეჭდავთ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1924 წლის სექტემბრის 29.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ექსპორტისათვის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ გამოცემული დადგენილებისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ აქციზდასადები საგნების აქციზის მოხსნით გატანის შესახებ გამოცემული დადგენილების დამატებისათვის.

რათა ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპუბლიკის კანონმდებლობა იმ აქციზდასადები საგნების ექსპორტის შესახებ, რაც ჩამოთვლილია რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ექსპორტისათვის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ 1923 წ. ივნისის 14-ს გამოცემულ დადგენილებაში,—შეთანხმებულ იქნეს საერთო-საკავშირო კანონმდებლობასთან და ხელმძღვანელობს რა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების და დადგენილებების დამტკიცების შესახებ 1923 წ. ივლისის 13-ს გამოცემულ დადგენილებას (სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოს „მოამბე“ № 1, გვ. 12)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—[illegible] ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ექსპორტისათვის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ გამოცემული დადგენილებისა (ამიერკავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. № 8 მუხ. 1 3) და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ აქციზდასადები საგნების საზღვარგარედ გატანის შესახებ გამოცემული დადგენილების (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა და განკარგ. კრებული 1924 წ. № 4 მუხ. 88—ის დასამატებლად ადგენს:

I. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ნავთის საწვავი ზეთის, აგრეთვე ნახადი ან ნავთის ქიმიური თუ სხვა გადამუშავების გამჭვირვალე პროდუქტების საზღვარგარეთ გატანის დროს, გარდა აქციზის მოხსნისა საზღვარგარეთ გატანილი ამ პროდუქტების რაოდენობისათვის,—გადაირიცხება უაქციზოდ:

1) საპრემიოდ: ა) ნავთის საწვავი ზეთისათვის—1 პროცენტი საზღვარგარეთ გატანილი რაოდენობისა; ბ) სხვა ნახადი და ნავთის გადამუშავების გამჭვირვალე პროდუქტებისათვის—3 პროცენტი საზღვარგარეთ გატანილი რაოდენობისა.

2) გზის ხარჯის დასაფარავად—2 პროცენტი გატანილი პროდუქტების რაოდენობისა გარდა იმ ნავთის სახდელი ქარხნიდან გატანილი პროდუქტებისა, რომელიც ნავთსადენთან ან ბაქოსთან არსებობს; ამ შემთხვევაში არავითარი გადარიცხვა გზის ხარჯის დასაფარავად არ მოხდება.

II. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე გამოხდილი სპირტის საზღვარგარეთ გატანის დროს, გარდა აქციზის მოხსნისა გატანილი სპირტის რაოდენობისათვის, გადაირიცხება უაქციზოდ.

1) საპრემიოდ: ა) გაწმენდილი სპირტისათვის, რომლის სიმაგრეც 95,0 ნაკლები არ იქნება და სიწმინდისა და ღირსების მხრით შეეფერება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ მოთხოვნას—5 პროცენტი და ბ) სპირტისათვის, რომელიც არ შეეფერება „ა“ პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნას—3 ნახევარი პროცენტი საზღვარგარეთ გატანილი სპირტის რაოდენობისა.

2) გზის ხარჯის დასაფარავად: პირველი დღისათვის, როცა სპირტის ტრანსპორტი გზაშია და გადაზიდვა ბოჭკებით ხდება—0,5 პროც., უკეთუ გადაიზიდვა ვაგონცისტერნით ხდება—0,3 პროც., ხოლო თვითეული შემდეგი დღისათვის, როცა გადაზიდვა ბოჭკებით ხდება—0,1 პროც. და როცა ვაგონცისტერნით—0,01 პროც. მთლად სპირტის იმ რაოდენობისა რაც ნაჩვენები იქნება ტრანსპორტის დოკუმენტში.

3) იმ ხარჯის დასაფარავად, რაც საჭირო იქნება სპირტის გადასასხმელად ბოჭკიდან ვაგონ-ცისტერნში ან ვაგონ-ცისტერნიდან ბოჭკაში—0,15 პროც. გადასხმული სპირტის რაოდენობისა.

III სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დამზადებული ყურძნის ღვინის საზღვარ-გარედ გატანის დროს, გარდა აქციზის მოხსნისა საზღვარ-გარეთ გატანილი რაოდენობისათვის, გადაირიცხება უაქციზოდ:

1) საპრემიოდ: 3 პროცენტი გატანილი ღვინის რაოდენობისა;

2) გზის ხარჯის დასაფარავად როცა ღვინის გადაზიდვა ბოჭკებით ხდება—2 პროცენტი და როცა გადაზიდვა შუშისა, ფაიფურისა ან სხვა ჭურჭლით ხდება—ნახევარ პროცენტი ღვინის იმ რაოდენობისა, რაც ნაჩვენები იქნება ტრანსპორტის დოკუმენტში.

IV. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე დამზადებული საჭმლის მარილის საზღვარგარეთ გატანის დროს, გარდა აქციზის მოხსნისა საზღვარგარეთ გატანილი რაოდენობისათვის, გადაირიცხება უაქციზოდ:

1) საპრემიოდ—[illegible] პროცენტი საზღვარგარედ გატანილი საჭმლის მარილის რაოდენობისა;

2) გზის ხარჯის დასაფარავად, როცა გადაზიდვა ტომრით, ზამბილით, ბოჭკით და სხვ ხდება—ნახევარ პროცენტი და როცა გადაზიდვა ვაგონით ხდება—1 პროც. მარილის იმ რაოდენობისა, რაც ნაჩვენები იქნება ტრანსპორტის დოკუმენტში

V. აქციზისა და უაქციზო ანარიცხის დაბრუნება მოხდება განსაკუთრებული ქვითარის მიცემით, რომელიც მიიღება ანგარიშში იმ აქციზის გასტუმრების დროს რაც გადასახდელი უნდა იქნეს ქვითარში აღნიშნული სათანადო პროდუქტისათვის.

VI. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან შეთანხმებით გამოსცეს ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა დეკრეტის შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

არსრაიკომის საავ.-ს პროპ. განყოფილება იუწყება ორშაბათს, 5 იანვარს. საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება [illegible] „რემდასის“ უჯრედების მდივნების და რწმუნებულთა თათბირი.

დასწრება სავალდებულოა.

განყ. გამგე მდივანი.

თბილისის მუშკორთა საყურადღებოთ

ოთხშაბათს 7 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში („მუშკორის კუთხეში“) შესდგება თბილისის მუშკორებისა, სამხკორებისა და ახალგაზრდათა კორესპონდენტების შეერთებული კრება.

დღის წესრიგი: 1 „პრავდას“ მიერ გამართულ სრულიად საკავშირო მუშკორთა თათბირის ანგარიშები.

2. კავშირი მუშ. და გლეხ. ინსპექციასთან. 3. მიმდინარე საკითხები.

რადგან საკითხები საყურადღებოა, გთხოვთ არ დაიგვიანოთ დანიშნულ ვადაზე.

მუშკორთა საქალაქო ბიურო.

— ორშაბათს, 5 იანვარს, დღის 12 საათზე, თბილ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყ. შენობაში შესდგება **თბილ. კომიტ. სააგიტაციო კოლეგიის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის: კელიძე (პროფკავშირების საბჭოდან), [illegible] ([illegible]), ინატოვი (პროლეტკულტიდან), რაიკომების საავ.-საპროპ. განყოფ. გამგენი.

კომკავშირის თბილ. კომიტეტის საავ.-საპროპ. განყ. გამგე.

ბუხნიკაშვილი (სახგანათლებიდან), ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი.

თ. კ. საავ.-საპროპ. განყოფილება

განცხადებები

უდროოდ და ტრაგიკულად გარდაიცვალა
ახალგაზრდა სტუდენტი
ჟორჟიკ ზაალიშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მშობლები და მახლობელნი: ოლღა, ნიკო, ქეთო და ცუცა ზაალიშვილები, თამარ და იოსებ ავალიშვილები, ლიზა, გიგუცა და ელო დიდებულიძენი, სანდრო და ოლღა ზაალიშვილები. პანაშვიდი ორშაბათს, საღამოს 6 საათზე (უნივერსიტეტის ეზოში) გამოსვენება ბინიდან სამშაბათს, 3 საათზე, დაკრძალვა ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული ნიკო ალექსის ძე ალნიაშვილი ოჯახით გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს თავის საყვარელ და დაუვიწყარ დისწულის სტუდენტ
გიორგი ჟორჟიკა ზაალიშვილის
უდროოთ გარდაცვალებას ა|წ. 3 იანვარს. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება სამშაბათს 3 საათზე.
9 1—1

დედა, ძმები, დები და მეუღლე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვირფასი და დაუვიწყარი
სალომე ნიკოლაძის სუხანიშვილის ასულის
გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო გადახდილი იქნება კვირას, იანვრის 4-ს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ვერის (ნიკოლოზის) ეკლესიაში პანაშვიდი. 14 1—1

ამიერ. უნივერსიტეტის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 31 დეკემბერს დილით გარდაიცვალა ლექტორი
ალექსანდრე იაგორის-ძე ჰარუნ-სარქისოვი
ამოსვენება შახპარუნიანის საავადმყოფოდან კვირას, 4 იანვარს დილის 11 საათზე № 559-2—2

ქართული დრამა
მსახიობთა ამხანაგობა
სეზონი 1924—25 წ.
ჰეერმანსი ოთხშაბათს, იანვრის 7-ს წარმ № 4.
„იმედი“-ს დაღუპვა
დრამა 4 მოქ. თარგმ. დ. მესხისა
მონაწილენი: ანკარა ს. ანდრონიკაშვილი ქეთო, ივერიელი ა. რონელი ბ., ქიქოძე ანეტა, ქორიძე მ., ქორიძე მარი, ჩხეიძე ნინო, არაბიძე ვ., ადამიძე ვ., ბალახჩივაძე ვ., გამყრელიძე ვ., დგებუაძე ა., იმედაშვილი ა., მამულაიშვილი ნ., მგალობლიშვილი ა., მატარაძე ვ., მებუკე ი., საფაროვი ზ., ფრონისპირელი გ., ქუთათელაძე შ.
დადგმა. მ. ქორელისა.
დეკორაციები ვ. სიდამონ-ერისთავისა
სამხ. ნაწ. გამგე ქ. ანდრონიკაშვილი
ადგილების ფასი 30 კ. 2 მ. 50 კ.
დასის გამგე ა. იმედაშვილი დასაწყისი საღ. 8 ს.

სახელმწ. ოპერა
დღეს, კვირას, 4 იანვარს
მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებისათვის
აბესალომ და ეთერი

1925 წ. 1 იანვრიდან „მიწის მუშის“ მაგიერ გამოვა

ყოველკვირეული სასოფლო გლეხური გაზეთი

„ახალი სოფელი“

გაზეთი ღირება: ერთი თვით — — სამი შაური.
ორი თვით — — ხუთი შაური.
სამი თვით — — შვიდი შაური.
ნახევარი წლით — სამი აბაზი.
ერთი წლით — — მანეთი.

გაზეთის გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის ქუჩა № 24, „ახალი სოფელი“-ს რედაქციას. გამოწერა შეიძლება აგრეთვე ფოსტის ყველა კანტორაში.

ფულის მაგიერ მიიღება საფოსტო მარკები.

ნის. 4130—7.

სახელმწიფო დრამა

დღეს კვირას, 4 იანვარს

ფუენტე ოვეხუნა

(ცხვრის წყარო)

ნ. № 656 2—1 დადგმა: კ. მარჯანიშვილის.

გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობა

აწვდის კრედიტს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს და კერძო პირებს

საწყობებში მოეპოვება უმაღლესი ხარისხ. ნატურალური

კახური ღვინო

ხელმისაწვდომ ფასებში

საწყობები—გურჯაანში. პირობების გაგება შეიძლება გურჯაანის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობასთან

ნ. 502 3—3 გამგეობა

თბილისის დამზღვევ კასის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 7 იანვარს ა/წ. საღამოს 5 საათზე საქართველოს პროფკავშირთა სახლის დიდ დარბაზში

შესდგება თბილისის დამზღვევ კასის

რწმუნებულების კონფერენცია

დღის წესრიგი:
1. სოციალური დაზღვევა წინეთ და ეხლა;
2. რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოს მოხსენება;
3. თბილისის დამზღვევ კასის გამგეობის ანგარიში;
4. დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილების ანგარიში;
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება;
6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყველა რწმუნებულები, რომლებიც არჩეულ იქნენ საზოგადო კრებებზე უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ დროს. რწმუნებულებს სათანადო მანდატებს აძლევს ადგილკომები და ფაბ-ქარხკომები.

3245 1—1 დამზღვევ კასის პრეზიდიუმი.

ფოტოგრაფია და სურათების გადიდება

სამხატვრო ატელიე

„დელტა“

კარგი საჩუქარი

მხატვრულად გადიდებული სურათი პატარა სურათიდან ატელიე „დელტა“

ფ. პ. მიშკორუდნიკოვის პლეხან. პრ. № 82

ატელიესთან

ფოტოგრაფია აწარმოებს სურათების გადაღებას ღამის 11 საათამდე და აგრეთვე სახლებში წინასწარ დაპირებულ დროს.

სასწრაფო სამუშაო სრულდება ერთ დღე-და ღამეში. დაკვეთა სრულდება ზეთის საღებავებით და ტუშით.

ვამზადებთ რევოლიუციის ბელადის ლენინის და სხვების სურათებს, ალბომებს და სხვ.

პლეხანოვის პროსპექტი № 82

ფ. პ. მიშკორუდნიკოვის

ნ. № 534 10—1

ეპისკ. ქრისტეფორეს უკანონო მოქმედებისა გამო

თბილ. რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენლების საოლქო კრების დადგენილება 1925 წ. იანვრის ორს

კრების თავმჯდომარედ იყო **თედო სახოკია**

კრებას დაესწრნენ: დეკანოზი ი. მარაბამშვილი (საკათალიკოსო საბჭოს წევრი), დეკ. ანდ. თოთიბაძე, დეკ. გურგენიძე, დეკ. გარსიაშვილი, მღ. ელისაბედაშვილი, მღ. ფარესიშვილი, დეკ. ნათაძე, დეკ. ფხალაძე, ივ. რატიშვილი, (საკათალიკოსო საბჭოს წევრი), ვეკ. მანჯგალაძე (მთავარი ხუცესი), დეკ. ასათიანი, თედო სახოკია, ნინო ჯაიანისა, მთ. კილურაძე, ანნა გაჩეჩილაძე, ნ. უგრილაძე, თებრონ ხორავა და მრავალი სხვანი თბილისის ოლქის საეკლესიო საბჭოთა წარმომადგენელნი.

დაადგინეს: ეპ. ქრისტეფორემ თვითნებობით მიითვისა მოსაყდრის სახელწოდება.

ეპ. ქრისტეფორემ უკანონოდ კოოპტაციით მოწვეულ წევრთაგან შეადგინა საკათალიკოსო საბჭო.

ეპ. ქრისტეფორეს მიერ უკანონოდ მოწვეულმა საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა წინააღმდეგ საეკლესიო კრების დადგენილებისა მისცეს ეპ. ქრისტეფორეს მიტროპოლიტობა.

ყველა ამის გამო **უნდობლობა გამოეცხადოს ეპ. ქრისტეფორეს**

ეთხოვოს საკათალიკოსო საბჭოს დაუყოვნებლივ დაითხოვონ კოოპტაციით მოწვეულნი პირნი საბჭოდან და კანონიერი წევრებით შეავსონ საბჭო.

პირველ შესაძლებლობისთანავე მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება

ხელს აწერენ ცხრამეტი დეკანოზი და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლები.

1925 წ., იანვრის 2 დღეს. კრების თავმჯდომარე **თ. სახოკია.**

ნის. 571. 2—1

ქუთაისის პირველი სახელმწიფო თამბაქოს ქარხანა 26 კომუნარის სახელობის

აცნობებს ყველა მოქალაქეთ, რომ მას საშუალება აქვს თუთუნის ხარისხის მიხედვით

გამოუშვას ომამდე არსებულზე უკეთესი პაპიროსები

ქარხანა უშვებს შემდეგ პაპიროსებს:

25 ოქტომბერი—25 ცალი კოლოფში, 1000 ცალი ღირს 8 მან. 75 კ. ამავე სახელის ათკაპიკიანები 8 მან. 75 კ.

უნიკა—25 ცალი კოლოფში—1000 ც.—8 მ. 50 კ.

რესპუბლიკანური—25 ცალი—კონა—7 მან.

ელექტრა—25 ც.—1000 ც.—6 მ. 50 კ.

მებრძოლი—10 ც.— „ 6 მ. 50 კ.

კავშირი—20 ც. „ 5 მან.

თ უ თ უ ნ ი

№ 5—3 მან. 55 **კაპ. № 30 - 2 მან. 25 კაპ.**

ჩვენი ქარხნის ყოველგვარი თუთუნი და პაპიროსი იყიდება სახელმწიფო-სავაჭრო აპარატებში და კოოპერატიულ ორგანიზაციებში

ნის. 494. 3—3. ადმინისტრაცია.

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

25—21

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—25

დავკარგე მე იაკინთე ათანასეს ძე სადრაძემ ჩემი პირადი წიგნაკი (ფ. № 4) აღებული ფოთის სამხედრო მაზრიდან № 1248. ჩაითვალოს გაუქმებულად.

7 1—1

დავკარგე [illegible] პროფკავშირის წიგნაკი № 594 ბ გოგა ტარიელის ძე ჯმუხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

4 1—1

დავკარგე არჩილი [illegible] ძე მიროტაძის სახელზე [illegible] პროფკავშირის წიგნაკი № 575 ჩაითვალოს გაუქმებულად

5 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ბარათი მოცემული ამბროლაურის რაიონიდან გალაქტიონ კერესელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

6 1—1

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 22 5. ჩაითვალოს გაუქმებულად. ალ. ალავერდელი.

13 1—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 407832 მოცემული [illegible] რაიონის მილიციის სამართველოს მიერ ვანი დიმიტრის ძე ნოზაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

10 1—1

დავკარგე ქალ. თბილისის საბჭოს წევრობის წიგნაკი № 34 და ქალ. ტრამვაის წიგნაკი № 183. ჩაითვალოს გაუქმებულად. პლატონ მელქისედეკის ძე კვირკველია.

11 1—1

დავკარგე საწევრო წიგნაკი № 14.3, [illegible]შვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

12 1—1

დღეს, 4 იანვარს, დილის სრულ 10 საათზე ოპერის თეატრში შესდგება სრულიად საქართველოს მასწავლებელთა 1-ლი ყრილობის საზეიმო [illegible]

ყრილობის დღის წესრიგი:

1) საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი და საბჭოთა აღმშენებლობის უახლოესი ამოცანები მომხსენებელი **ამხ. მამია ორახელაშვილი**
2) მასწავლებლობა და კომპარტია—მომხსენებელი **ამხ. ფილიპე მახარაძე**
3) განათლების ამოცანები საბჭოთა აღმშენებლობაში—მომხსენებელი **ამხ. მარიამ ორახელაშვილი**
4) მასწავლებლობა და პროფმოძრაობა—მომხსენებელი **ამხ. ყურულაშვილი**
5) მასწავლებლობა და ახკომკავშირი—მომხსენებელი **ამხ. კეკელია**

საზეიმო სხდომაზე მოწვეულნი არიან თბილისის ყველა მასწავლებელი, პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციები

ნის. 567. 2—2 ც. ბ. სამდივნო.

თბილისის ბირჟის კომიტეტი

საჭიროდ სთვლის აცნობოს სახელმწიფო ორგანოებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, და შერეულ საზოგადოებებს, რომლებიც თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფ. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. 19 სექტემბრის დადგენილებისა № 46, და ამიერ-კავკასიის შინაგან ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1924 წლის 16 ოქტომბრის ინსტრუქციისა, ვალდებული არიან გაატარონ ბირჟის რეგისტრაციაში ყველა თავისი ბირჟის გარეშე დადებული გარიგებანი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბირჟის გარეშე დადებული გარიგებანი არ გაატარეს თავის დროზე ბირჟის რეგისტრაციაში, ან გვერდი აუხვიეს რეგისტრაციას, ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები

მიცემული იქნებიან პასუხისგებაში

საქართველოს საბ. სოც. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 110 და 111 მუხლების ძალით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი:

მუხლი 110. ხელისუფლების წარმომადგენელის უმოქმედობა, ე. ი. თანამდებობის პირის მიერ იმ ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც თავისი სამსახურის მოვალეობით უნდა შეესრულებინა, ისჯება სასჯელით, რომელიც გათვალისწინებულია 108 მუხლის 1 და 2 ნაწილში.

მუხლი 111. გულგრილი დამოკიდებულება სამსახურისადმი, ესე იგი უყურადღებო და უდიერი მოპყრობა დაკისრებულ მოვალეობისადმი, რომელიც იწვევს საქმის გაჭიანურებას, დაგვიანებას საქმის წარმოების დროს უწესრიგობას საქმის და ანგარიშის წარმოებაში და სხვა უყურადღებობანი სამსახურში, ისჯება სასჯელით, რომელიც გათვალისწინებულია 108 მუხლის 1 და 2 ნ წილში.

108 მუხლის 1 ნაწილი.—თავისუფლების აღკვეცა ან იძულებითი სამუშაო ვადით ერთ წლამდე, ან სამსახურიდან დათხოვნა.

108 მუხ. 2 ნაწ. თუ ასეთივე საქციელს მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები ან ჩადენილ იქნა თანამდებობის პირის მიერ ანგარებით ან პირადი სარგებლობის მიზნით, მაშინ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმცირეს ერთი წლისა მკაცრი იზოლიაციით

1—1 ნ. 562. თბილისის ბირჟის კომიტეტი.

საბჭოთა კავშირის ს.მ.უ.ს.

ცენტრალური რაიონის

ლითონის დამმუშავებელი სინდიკატი

„მეტალოსინდიკატ“

„Металосиндикат“

გამგეობა მოსკოვში: „კუზნეცკი მოსტ“, № 10

განყოფილებები და წარმომადგენლობანი: კიევში, ტულაში. ნ.-ნოვგოროდში, მარიუპოლში, ეკატერინოსლავში, ლენინგრადში, ბაქოში და **თბილისში.** იღებს შეკვეთებს და აწარმოებს საქონლის გაცემას **თბილისის საწყობებიდან** ბითუმათ და ნახევრათ ბითუმათ.

სინდიკატის მიზნები და ამოცანები: სინდიკატში შემავალ ტრესტების და წარმოებების სავაჭრო, საქონლის დამზადების და ფინანსიური მოღვაწეობის შეთანხმება და გაერთიანება; ლითონის მრეწველობის ბაზრის მოწესრიგება და ტრესტების პროდუქციის რეალიზაცია

ჰყიდის გამოძრავებლები, ბინათმოწყობის და სანიტარული ტეხნიკის საგნები, დაზგები, მოწყობილობანი: ტორფის, წისქვილების, ბამბის, ზეთის გამოხდის და სხვა; წყალსადენის, გაზების და საკანალიზაციო მილები; ინსტრუმენტები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ფოლადი, რკინა, თუჯი და სხვა.

კანტორა თბილისში, რუსთაველის პრ., 21. ტელ. 14—13

ქირიოადი საწყობები: 19 თებერვლის ქუჩა და ბუზის მოედანი, № 80, ბახჩივანჯ ქარვასლა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით ჩინებულად დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 დან—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—4

ექიმი

ე. ჯ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—20

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23

2746 13—5

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—5

ექიმი

კ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს.

მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.

25—16

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3033 25—15

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372—100—17

ს. ს. რ. კ. ს. მ. უ. ს.

მოსკოვის რაიონის კამვოლის, საღებავ და სააპრეტურო ფაბრიკების სახელმწიფო გაერთიანება

კამვოლის ტრესტი

სამმართველო, მოსკოვი, სოფიკა 17.

განყოფილებანი: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, კიევი, ოდესა, როსტოვი, ეკატერინბურგი, ნოვო-ნიკოლაევსკი, ტაშკენტი და ბაქო. ქ. **თბილისი,** რუსთაველის პროსპ. № 9 (ყოფ. სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ). **აქვით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ამ ჟამად** **ტრესტის განყოფილებამ მიიღო საქონლის ახალი დიდი პარტია**

საქონლის მიღება განუწყვეტლივ სწარმოებს. საქონლის ზორის მოიპოვება ახლად დამუშავებული მდიდარი ასორტიმენტი როგორიც:

მატულის და ბამბა-ნარევი ქსოვილები ქალების ტანთსაცმელის და მამაკაცთა კოსტიუმებისათვის, ცხვირ-სახოცები, საბნები და სხვა საქონელი

კოოპერაციას და სახელმწიფო ორგანოებს შეღავათიანი პირობები

ნის. № 550 2—2